# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

19 მაისი **ხუთშაბათი** 2011

№ 115 (13412) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოურინიოც ასე იწყებდა

↳9




## პორტუ 2010/11

ფალკაომ ევროპის ლიგა 17 გოლით დაასრულა

33 წლის ანდრე ვილაშ-ბოაში ევროპის ლიგის (უეფას თასის) ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული მწვრთნელი გახდა

ფალკაომ სეზონში 38 გოლი გაიტანა, პორტუმ - 137

პორტუს ჩემპიონატში 30 მოგება და 3 ფრე აქვს

პორტუს ჰეთ-ტრიკის შესრულების შანსი აქვს: ამისთვის კვირას პორტუგალიის თასის ფინალში გიმარაეშში უნდა დაამარცხოს

# სამი სამახსოვრო ფედერაციისთვის

ჩვენს ფეხბურთს რეფორმა მართლაც სჭირდება, მაგრამ, რა საჭიროა ხალტურები, ხუშტურები...

ჩემპიონატში ყველაფერი სპორტული პრინციპით, მოედანზე უნდა წყდებოდეს

მედია არ არის მარტო TV

ნუ გავიწყდებათ პრესა, თორემ ის თავს შეგახსენებთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ჩემპიონატის რეფორმა

# სიჭინავას პროექტი: 12 გუნდი უმაღლეს ლიგაში

## ახალი სისტემა ჩემპიონატს ყველა დონეზე დაძაბავს

ბოლო წლებია, ჩემპიონატის მინუ-რულს სისტემატურად ვრცელდება ხმები, რომ უმაღლესი ლიგის მონაწილეთა რაოდენობა გაიზრდება – ასე უმთავრესად გასავარდნ გუნდებს აიმედებდნენ, მაგრამ ხმები იშვიათად მართლდებოდა.

გუშინ კი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა.

*"მომდევნო სეზონიდან საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა 12-გუნდიანი გახდება.*

*გარდა პირველი ლიგის გამარჯვებული ორი გუნდისა, რომლებიც მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში გადმოინაცვლებენ, შანსი სხვა გუნდებსაც მიეცემათ - ამ შემთხვევაში მიმდინარე სეზონში უმაღლესი ლიგიდან პირველ ლიგაში დაქვეითებულ „სამტრედიას", „სპარტაკს" და პირველი ლიგის მესამე და მეოთხეადგილოსან კლუბებს, რომლებიც უმაღლეს ლიგაში დამრჩენ-გადმომსვლელის ვინაობას სწორედ „სამტრედიასთან" და „სპარტაკთან" გადათამაშებაში გაარკვევენ"* - თქვა სიჭინავამ.

### ახალი ჩემპიონატის სტრუქტურული ცვლილების პროექტი:

#### 2010-11 წლების გათამაშება

დასკვნითი ეტაპი. უმაღლესი ლიგა

2010-11 წლების ჩემპიონატის დასრულების შემდეგ 1-8 ადგილზე გასული კლუბები რჩებიან უმაღლეს ლიგაში. პირველი ლიგიდან უმაღლეს ლიგაში პირდაპირ გადმოდიან 1-2 ადგილებზე გასული კლუბები. უმაღლეს ლიგაში მე-9 ადგილზე გასული გუნდი ნეიტრალურ სტადიონზე ერთმატჩიან პლეი ოფში შეხვდება პირველ ლიგაში მე-4 ადგილზე გასულ გუნდს; მე-10 ადგილზე გასული გუნდი, ასევე ნეიტრალურ სტადიონზე, ერთმატჩიან პლეი ოფში შეხვდება პირველ ლიგაში მე-3 ადგილზე გასულ გუნდს. პლეი ოფში გამარჯვებული კლუბები მომდევნო სეზონში ითამაშებენ უმაღლეს ლიგაში.

#### 2011-12 წლების გათამაშება

I ეტაპი

#### უმაღლესი ლიგა

*12 გუნდი პირველ ეტაპს ატარებს ორ წრედ. თითოეული გუნდი თამაშობს 22 მატჩს.*

#### პირველი ლიგა

*ამავე პერიოდში სრულდება პირველი ლიგის გათამაშება, რომელშიც ორ წრედ მონაწილეობს 16 გუნდი.*

II ეტაპი

*I ეტაპზე უმაღლეს ლიგაში 1–8 ადგილებზე გასული გუნდები ორ წრედ, განახევრებული ქულებით გააგრძელებენ ბრძოლას ჩემპიონობისა და უეფას საგზურებისთვის.*

#### გასავარდნი პლეი ოფი

*I ეტაპის ბოლოს უმაღლეს ლიგაში მე-9-მე-12 ადგილებზე გასული გუნდები პირველი ლიგის 1-4-ადგილოსნებთან ერთად, ორ წრედ, გასავარდნ პლეი ოფში, განულებული ქულებით გააგრძელებენ ბრძოლას უმაღლესი ლიგის ოთხი საგზურისთვის, ბოლო ოთხეულის გუნდები გადავლენ პირველ ლიგაში.*

*უმაღლესი ლიგის 4 გუნდი (9, 10, 11, 12 ადგილები) + პირველი ლიგის 4 გუნდი (1, 2, 3, 4 ადგილები)*

#### I ლიგის გათამაშება

პირველ ეტაპზე პირველ ლიგაში მე-5-მე-16 ადგილებზე გასული გუნდები გასავარდნ პლეი ოფში ორ ჯგუფად, განახევრებული ქულებით გააგრძელებენ ბრძოლას პირველ ლიგაში დასარჩენად. ჯგუფებში გუნდები გადანაწილდებიან პირველ ეტაპზე დაკავებული ადგილების მიხედვით შემდეგნაირად:

#### ჯგუფები

პირველ ჯგუფში მოხვდებიან კენტ ადგილებზე გასულები (5, 7, 9, 11, 13, 15 ადგილები), მეორე ჯგუფში კი ლუწ ადგილებზე გასულები (6, 8, 10, 12, 14, 16 ადგილები)

ჯგუფურ ეტაპზე გუნდები თამაშობენ ორ წრედ. ჯგუფებში მე-6 ადგილზე გასული გუნდები პირდაპირ ვარდებიან ლიგიდან. ხოლო მე-5-ადგილოსნებს შორის გამარჯვებული (1 მატჩი ნეიტრალურ სტადიონზე) დარჩება პირველ ლიგაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით დღეს, 19 მაისს, სფფ-ში გაიმართება ფედერაციის ხელმძღვანელობის შეხვედრა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგების კლუბების ხელმძღვანელებთან, პარასკევს, 20 მაისს კი ფედერაციის ალმასკომის წევრები იმსჯელებენ.

ჩვენი მხრივ ვიტყვით: ზოგადად უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდა დღევანდელ ვითარებაში და თანაც ჩემპიონატის დასრულებამდე, გაუმართლებელი გვგონია. ამან ჩემპიონატში ინტრიგა მოკლა.

მაგრამ თავად სისტემა საინტერესოა. ანალოგიურ მოდელზე წლების წინაც ლაპარაკობდნენ, რადგან "დომინოს პრინციპი" ჩემპიონატს ყველა დონეზე სასურველ დაძაბულობასა და ინტრიგას შესძენს - უმაღლეს ლიგაშიც, პირველშიც და რეგიონულშიც.

ამას გარდა, სიჭინავამ კიდევ ერთი სიახლე გაამხილა – ახალი 2011-12 წლების სეზონიდან უმაღლესი და პირველი ლიგების ჩემპიონატების და თასის გათამაშებისთვის დაწესდება საპრიზო ფონდი, დაახლოებით 1 მილიონი ლარის ოდენობით.

**მერაბ მამულაშვილი**



ილია კოკაია ფოტო: www.fczestafoni.ge



გიორგი არევაძე

### ილია კოკაია

## დებულების ამ დროს გადაკეთება მარაზმია!

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** განცხადებას საფეხბურთო სამყაროში დიდი რეზონანსი მოჰყვა. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებულ პროექტს უმაღლესი ლიგის 12 გუნდამდე გაზრდის შესახებ კატეგორიულად ეწინააღმდეგება „ზესტაფონის" პრეზიდენტი **ილია კოკაია:**

- ჯერ იმით დავიწყოთ, რომ 12-გუნდიანი ჩემპიონატი რომ გვქონდეს, უპირველესად, 12 ნორმალური სტადიონი და მოედანია საჭირო. თუ 20 მაისს ალმასკომი ლიგის გაზრდაზე მიიღებს გადაწყვეტილებას, ეს ჩემთვის გაუგებარი იქნება.

**- ჯერ ხომ საკითხი არ დამტკიცებულა და ალმასკომზე განიხილავენ.**

- მე სწორედ ეს არ მესმის, რა საჭიროა ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე ფორმატის შეცვლა? ეს მიმაჩნია აბსოლუტურ მარაზმად და ამ გადაწყვეტილებას გავაპროტესტებთ ალმასკომზეც და ყველა იმ ინსტანციაში, სადაც ეს შესაძლებელი იქნება. ჩვენ კი არ ვზარალდებით, მაგრამ კლუბების წარმომადგენლებს და ალმასკომის წევრებს მოვუწოდებ - კიდევ ერთ ლახვარს ნუ ჩასცემენ ქართულ ფეხბურთს. მიკვირს, ასეთ პროექტზე რომ მუშაობენ, კლუბებთან დალაპარაკება და ჩვენი აზრის მოსმენა არ აინტერესებთ? გეფიცებით, თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება ფეხბურთს თავი მივანებო.

### გიორგი არევაძე

## 12-გუნდიანი? რატომაც არა!

ბოლნისის "სიონში" "მადნეულის" წარმომადგენელი **გიორგი არევაძე** კი ახალ პროექტს იწონებს:

**- მართალია, რომ გუნდების რაოდენობა სახელმწიფოს დახმარების იმედად გაიზარდა? თითქოს ყველა კლუბს მილიონი ლარით დააფინანსებენ.**

- იყო ამაზე ლაპარაკი და ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება იქნება.

**- დაფინანსების ამბავი გადაწყვეტილია?**

- ჯერ არა, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, ამ საკითხს აქტიურად განიხილავდნენ და, მგონი, დადებითადაც გადაწყდება. ცხადია, ლაპარაკი არ არის კერძო კლუბების დაფინანსებაზე, მათ პატრონი ისედაც ჰყავთ.

**- ასე თუ მოხდა, "მადნეული" "სიონს" კვლავ დააფინანსებს?**

- კლუბი სახელმწიფოს საკუთრებაშია, ჩვენი კომპანია კი სპონსორად დარჩება.

**- 12-გუნდიანი ჩემპიონატი მისაღებად მიგაჩნიათ?**

- რატომაც არა?! ჩემპიონატში ხომ მეტი რეგიონის გუნდები ჩაერთვებიან.

**- "ზესტაფონის" პრეზიდენტმა იკითხა, სად არის საკმარისი მოედნები და სტადიონებიო.**

- მოედნების ხარისხის გაუმჯობესება დაწყებულია და ეს პრობლემას არ შეგვიქმნის.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. XXXV ტური

# ტორპედომ მეოთხე გაინაღდა

18.05. ქუთაისი. ტორპედო. 1200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 1 |
| სპარტაკი | 0 |

1:0 ჩიკვილაძე (65)

| ტორპედო 4-4-2 | სპარტაკი 4-3-2-1 |
|---|---|
| მიგინეიშვილი | დაუშვილი |
| ფოფხაძე | ჭაფოძე |
| ს. თოდუა | მგელაძე |
| ფარულავა | ფრიდოლინი |
| ჩიკვილაძე | მანჩხავა |
| თარხნიშვილი | მამუჩიშვილი |
| დილმელაშვილი | თ. შონია |
| ქებაძე | კილასონია |
| ბაკურაძე | ჯაკობია |
| გოცირიძე | დეკანოიძე |
| საბანაძე | მეტრეველი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი |
| გ. გიგატაძე | ზ. კვარაცხელია |

**ტორპედო**

46. ბაკურაძე - **გუგუჩია**
46. საბანაძე - **კემუხტაშვილი**
83. გოცირიძე - **მ. გიგაური**

*სათადარიგოები: ქვილითაია, მაჭავარიანი, გურული, ჩხეტიანი*

**სპარტაკი**

55. კილასონია - **ბუზალაძე**
61. ჯაკობია - **ვ. ბოლქვაძე**
81. დეკანოიძე - **ზერეკიძე**

*სათადარიგოები: ხომერიკი, ალავიძე, ბურძენაძე, კაკაშვილი*

გაფრთხილება: დილმელაშვილი (30)
არბიტრი: ლ.სილაგავა

„ტორპედომ" „სპარტაკის" დამარცხებით მეოთხე ადგილი გაინაღდა, თუმცა მატჩმა ადგილობრივ ქომაგებში მაინცდამაინც დიდი ინტერესი ვერ გამოიწვია. ასეთი სიხალვათე „ტორპედოს" არენაზე მიმდინარე სეზონში არ ყოფილა. სამაგიეროდ, შეხვედრის მიმართ ინტერესი საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** გამოიჩინა და თამაშს დაესწრო.

მასპინძლებს წამყვანი ფეხბურთელები: **სეთურიძე, დოლიძე, მეგრელაძე, დათუნაიშვილი** და **კვარაცხელია** აკლდათ, მაგრამ მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდნენ, თუმცა ცხინვალელებსაც ჰქონდათ საგოლე შანსები.

პირველად სტუმრებმა შეაწუხეს მეტოქის გოლკიპერი - **ჯაკობიამ** საჯარიმოს გარედან დაარტყა, თუმცა **მიგინეიშვილს** არ გასჭირვებია ბურთის დაუფლება. ორიოდე წუთში ტორპედოელებმაც უპასუხეს - **ჩიკვილაძემ** მარჯვენა ფლანგიდან ჯარიმა შეასრულა, ჩაწოდებულ ბურთს **ქებაძე** მახვილი კუთხიდან, მცველების გარემოცვაში ურტყამდა და ბურთი გარედან მოხვდა ბადეს. მე-7 წუთზე მასპინძლებმა აშკარა საგოლე მომენტი გაუშვეს ხელიდან. **თარხნიშვილმა** ფლანგზე გაილალა და მეკარის ბაქანთან ახლოს **გოცირიძეს** გადააწოდა, რომელსაც ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ ბურთი ვერ მოირგო და ფაქტობრივად ცარიელი კარი ვერ დალაშქრა. ტორპედოელთაგან გამოსარჩევია თენგიზ ჩიკვილაძის კარგი თამაში. იგი დაცვაშიც ყურადღებიანი იყო, შეტევებშიც ხშირად ერთვებოდა და აკი გამარჯვების გოლიც გაიტანა. მე-20 წუთზე მისი საჯარიმო დარტყმა მეკარემ მუშტებით მოიგერია. 32-ე წუთზე ჩიკვილაძის ძლიერი დარტყმა მეკარემ ისევ კუთხურზე გადააგდო. ხუთი წუთის შემდეგ კი თენგომ საკუთარი გუნდი იხსნა აშკარა გოლისგან - ჯაკობიას დარტყმის შემდეგ კარში მიმავალ ბურთს გადაეღობა.

კარგად ჩაერთო თამაშში შეცვლაზე შესული **ლუკა გუგუჩია.** 65-ე წუთზე ის სამ მცველს შორის გაძვრა. სპარტაკელებმა მისი შეჩერება წესების დარღვევით შეძლეს. სახიფათო საჯარიმო მატჩის გმირმა ჩიკვილაძემ შესანიშნავად შეასრულა და მეკარისგან მარჯვენა ცხრიანში მოათავსა ბურთი - 1:0 ამის შემდეგ შეხვედრა ორმხრივი შეტევებით წარიმართა, მომენტებიც ორივე კართან შეიქმნა. უნდა ითქვას, რომ ბოლო ათ წუთში მოულოდნელად საკმაოდ ფიცხელი ორთაბრძოლა გაჩაღდა. ამას ჯერ სპარტაკელი **დეკანოიძის** ტრავმა და თამაშიდან ნაადრევად გამოთიშვა მოჰყვა, ბოლოს კი შეცვლაზე შესულმა **კემუხტაშვილმა ბოიომოსთან** შეჯახებისას გაიტეხა თავი და შეხვედრა თავშეხვეულმა ჩაამთავრა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის

**ბორის სიჭინავას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ლევან (ლეო) ჟორდანიას ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქართული ფეხბურთის სახელოვანი ვეტერანის

**ბორის სიჭინავას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერანი ფეხბურთელები მწუხარებას გამოთქვამენ ვეტერანი ფეხბურთელის

**ბორის სიჭინავას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

18.05. თბილისი. შატილი. 300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| დინამო | 2 |

0:1 ლექვთაძე (43), 0:2 ტატანაშვილი (83. ჯუისის პასით)

| ვიტ ჯორჯია | დინამო |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-2-3-1 |
| ა. მიქაბერიძე | ლორია |
| ხურცილავა | ციმაკურიძე |
| ადამაძე | თომაშვილი |
| გოგიაშვილი | კაკუბავა |
| ლანიაშვილი | ხმალაძე |
| ვასაძე | ფირცხალავა |
| კასრაძე | კვეკვესკირი |
| კორიფაძე | რობერტინიო |
| გიორგი გურეშიძე | თექთურმანიძე |
| ჯანელიძე | ლექვთაძე |
| ჩიმაკაძე | ფანცხავა |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ზ. ბერიძე | კ. კაჭარავა |

**ვიტ ჯორჯია**

36. კასრაძე – **ზაქრაძე**
80. გიორგი გურეშიძე – **გაბრიჭიძე**
84. კორიფაძე – **ჯულელი**

*სათადარიგოები: ძაძამია, გ. ლობჟანიძე, ჭანკვეტაძე, ი. ქავთარაძე*

**დინამო**

49. რობერტინიო – **ჯუისი**
63. ფირცხალავა – **ედნილსონი**
81. ფანცხავა – **ტატანაშვილი**

*სათადარიგოები: ზარქუა, მაროვიჩი, კუხალეიშვილი, გ. კვარაცხელია*

გაფრთხილება: ლექვთაძე (13), გიორგი გურეშიძე (71)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

# დერბი, რომელიც არაფერს წყვეტდა

*"თუ ამას აპირებდნენ, სჯობდა, სეზონის დასრულების შემდეგ მაინც გამოეცხადებინათ, რომ გუნდებისთვის მოტივაცია არ დაეკარგვინებინათ",* - "შატილის" ტრიბუნაზე შეკრებილი ქომაგები ამ სიტყვებს ხშირად იმეორებდნენ. თუკი "ვიტ ჯორჯია"-"დინამო" სხვა დროს უპრინციპულესი მატჩი იქნებოდა, გუშინ ულიმლამოდ ჩაიარა და პუბლიკის განსასჯელი თემაც თამაშზე მეტად ეროვნული ჩემპიონატის რეგლამენტში შესატანი ცვლილებები იყო.

"დინამომ" საჩემპიონო შანსი წინა ტურში დაკარგა, "ვიტ ჯორჯიას" ევროთასებზე გასვლა არ გამოუვიდა და ამიტომაც თავიდანვე ნათელი იყო, რომ მატჩს არ ექნებოდა ის ხიბლი, ამ გუნდების დაპირისპირებას რომ ახასიათებს ხოლმე. მასპინძლებმა რაც შეეძლოთ, იბრძოლეს, მაგრამ სტუმრებმა უფრო მაღალი კლასი არცთუ საუკეთესო შემადგენლობითაც გამოავლინეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს.

თამაში სანახაობრივი და საგოლე მომენტებით დახუნძლული არ ყოფილა, მაგრამ ალაგ-ალაგ საინტერესო ეპიზოდები მაინც იქმნებოდა. დებიუტში **ჩიმაკაძეს** "დინამოს" მცველებმა არ დაარტყმევინეს, **რობერტინიომ** კი არაზუსტად დაარტყა. "დინამოს" ბრაზილიელმა მე-14 წუთზე ანგარიშის გახსნის უფრო რეალური შანსი გაუშვა ხელიდან – ველარავინ აბრკოლებდა, მაგრამ ახლო მანძილიდან მიზანს ააცილა.

თამაში ნორმალურ ტემპში კი გაგრძელდა, მაგრამ ბურთი ძირითადად მოედნის შუა ნაწილში ტრიალებდა და ნელ-ნელა სანახაობა მოსაწყენი გახდა. ყველა უკვე შესვენებაზე ფიქრობდა, მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს **ირაკლი ლექვთაძემ** თამამად შეუტია, რამდენიმე მეტოქეს აუარა გვერდი და თავისიანები ეფექტური გოლით დააწინაურა.

ვერ ვიტყვით, რომ "ვიტ ჯორჯია" უშანსოდ იყო, მაგრამ ვეტერინარებმა თამაშის გადასარჩენი რესურსი მაინც ვერ იპოვეს. მათ ფლანგურ იერიშებსა და შორეულ დარტყმებს "დინამოსთვის" რეალური ხიფათი არ შეუქმნია. ერთადერთი, **ჯანელიძის** დარტყმის გახსენება შეიძლება, რომელიც ოდნავ არაზუსტი გამოდგა, თუმცა, ერთი შეხედვით, ლორია სიტუაციას აკონტროლებდა.

"დინამოს" მეორე საგოლე კომბინაცია ლამაზი გამოვიდა. თამაში **ციმაკურიძემ** გაამწვავა, რომელმაც ბურთი **ჯუისს** გადააწოდა. ამ უკანასკნელმა პენალტის ნიშნულის სიახლოვეს მყოფი **ტატანაშვილი** მოძებნა და მოედანზე ახალშესულმა დიმამ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

დიდი ხანია, "დინამოს" "ვიტ ჯორჯია" ასე დამაჯერებლად არ დაუმარცხებია...

**ლევან ჯანეზაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორის ფოტო



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# იდეა, ფული და ერთი შანსი

18.05. სამტრედია. ე. მანჯგალაძე. 100 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სამტრედია | 0 |
| ოლიმპი | 4 |

0:1 ტყემალაძე (6), 0:2 მოდებაძე (11. ბოლქვაძის პასით), 0:3 ტყემალაძე (21. ბოლქვაძის პასით), 0:4 ბოლქვაძე (74).

| სამტრედია | ოლიმპი |
|---|---|
| 4-3-2-1 | 3-5-2 |
| ჯინჭარაძე | ბათიაშვილი |
| ხაჭაპურიძე | ჯაფარიძე |
| ხუმარაშვილი | მურველაშვილი |
| თ. შალიკაშვილი | რეხვიაშვილი |
| ენდელაძე | ჭელიძე |
| ლომაშვილი | ი. მაისურაძე |
| ჩხიკვაძე | ტყემალაძე |
| ცხადაია | დობროვოლსკი |
| ნინუა | დ. ბოლქვაძე |
| დვალიშვილი | აბურჯანია |
| გ. მიქაბერიძე | მოდებაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ლ. ანჯაფარიძე | თ. მაისურაძე |

**სამტრედია**

46. ნინუა - **ხვადაგიანი**
59. ენდელაძე - **შენგელია**
74. ლომაშვილი - **კერძევაძე**

*სათადარიგოები: ბანძავა, ახობაძე*

**ოლიმპი**

57. აბურჯანია - **ქოჩლაძე**
74. ჯაფარიძე - **კანდელაკი**
80. ჭელიძე - **ბახტაძე**

სათადარიგოები: ბედიაშვილი, ლ. სეთურიძე, პავლიაშვილი, ქემოკლიძე

გაფრთხილება: ლომაშვილი (72), რეხვიაშვილი (79)

არბიტრი: ჯ. ხორავა (ხობი)

რუსთაველებმა იოლად დაჩაგრეს მასპინძლები და შეიძლება ითქვას, რომ იმერლებმა ერთ-ერთი ყველაზე ცუდი თამაში აჩვენეს სტადიონზე მოსულ ასიოდ ქომაგს. მატჩის დასაწყისი ასეთი ანგარიშის ვარაუდის საშუალებას არ გვაძლევდა, მაგრამ სამტრედიელების სახიფათო ჩხვლეტებმა შედეგი არ გამოიღო.

სამაგიეროდ, ლამის პირველივე შეტევა **ვაკო ტყემალაძემ** თავისი ყოფილი გუნდის კარის დალაშქვრით დაასრულა — მის დარტყმულზე **ჯინჭარაძეს** რეაგირება მართებდა, თუმცა ტრავმამოუშუშებელმა მეკარემ თავისიანების გადარჩენა ვერ შეძლო - 0:1.

მალევე ჯერ **ირაკლი მოდებაძემ** გაზარდა მატჩის და თავისი გოლების ანგარიში, ხოლო შემდეგ ისევ ტყემალაძემ გამოიჩინა თავი - ორივე შემთხვევაში საგოლე გადაცემები მატჩის ერთ-ერთი გამორჩეული მობურთალის, **დავით ბოლქვაძის** ანგარიშზეა. მან „საკუთარი" გოლიც გაიტანა, როცა 74-ე წუთზე ანგარიშს საბოლოო და გამანადგურებელი სახე მისცა, თუმცა მაშინაც უფრო საგოლე გადაცემა გამოუვიდა - ბოლქვაძემ საჯარიმოს მისადგომებიდან ბურთის კარის შორეულ კუთხეში გაგზავნა სცადა, ბურთი **ხუმარაშვილს** მხარზე მოხვდა, მიმართულებაშეცვლილი კი სულ სხვა კუთხეში წავიდა - 4:0. მსაჯებმა გოლი „ოლიმპის" მოთამაშეს ჩაუწერეს.

მატჩის მიმდინარეობის პარალელურად, სამტრედიელი ქომაგები და კლუბის მესვეურები იმ შანსზე საუბრობდნენ, რომელიც დილით სფფ-ის თავკაცმა გაახმოვანა. ამ დღეებში იმ მინიმალური სახსრების მოძიებას შეეცდებიან, რომელიც „სამტრედიას" საპლეიოფო მზადებასა და ფეხბურთელთა წახალისებაში დაეხმარება. თუმცაღა, ყველა იმაზე თანხმდება, რომ სპონსორის გარეშე არაფერი გამოვა - წლევანდელი სეზონიც ამის მაგალითია, როცა საკმაოდ საინტერესო გუნდი გასავარდნად გაიწირა. სამტრედიელებს არცთუ იოლი მისია აქვთ შესასრულებელი: ფეხბურთის ფედერაციის იდეა მათთვის მისწრებაა, მიცემულ შანსს გამოყენება უნდა და მერე უკვე სპონსორზეც უნდა იფიქრონ. მოკლედ, იდეა არის, ერთი შანსიც და ყველაზე მთავარი - ფულია საჭირო...

**მამუკა ქანთარია**
სამტრედიიდან

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 35 | 23 | 6 | 6 | 68 | 19 | 75 |
| 2 | დინამო | 35 | 21 | 9 | 5 | 54 | 20 | 72 |
| 3 | ოლიმპი | 35 | 19 | 6 | 10 | 50 | 30 | 63 |
| 4 | ტორპედო | 35 | 13 | 13 | 9 | 29 | 21 | 52 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 35 | 14 | 6 | 15 | 35 | 37 | 48 |
| 6 | ბაია | 35 | 12 | 5 | 18 | 32 | 50 | 41 |
| 7 | სიონი | 35 | 10 | 9 | 16 | 26 | 43 | 39 |
| 8 | კოლხეთი | 35 | 10 | 9 | 16 | 25 | 47 | 39 |
| 9 | სპარტაკი | 35 | 7 | 10 | 18 | 32 | 42 | 31 |
| 10 | სამტრედია | 35 | 6 | 7 | 22 | 26 | 68 | 25 |

| ბომბარდირები | გოლი (პენალტით) |
|---|---|
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 17 |
| მოდებაძე (ოლიმპი) | 15 (1) |
| წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) | 13 (1) |
| მეგრელაძე (ტორპედო) | 13 (2) |
| დვალი (ზესტაფონი) | 12 |

**ბოლო ტური. 22 მაისი. კვირა**

სპარტაკი-კოლხეთი
ბაია-სამტრედია
ოლიმპი-სიონი
ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია
დინამო-ტორპედო

18.05. ფოთი. ფაზისი. 1000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 2 |
| ბაია | 1 |

0:1 შ. ლომია (76), 1:1 სიჭინავა (85), 2:1 სამადაშვილი (94)

| კოლხეთი | ბაია |
|---|---|
| 4-5-1 | 4-2-3-1 |
| ძაგანია | სომხიშვილი |
| ცხვიტარია | აკობია |
| ინწკირველი | გ. ქვარცხავა |
| მახვილაძე | ნ. შონია |
| მეგრელიშვილი | რიგვავა |
| გოგონაია | შ. ლომია |
| გვალია | ენდელაძე |
| პ. დათუნაიშვილი | სიხარულია |
| ჯანაშია | წურწუმია |
| კვერენჩხილაძე | ეხვაია |
| მდივნიშვილი | ჩანგელია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ს. ფილია | ე. ქომეთიანი |

**კოლხეთი**

20. კვერენჩხილაძე – **სამადაშვილი**
63. ჯანაშია – **სიჭინავა**
78. გოგონაია – **წიქარიშვილი**

*სათადარიგოები: ლობჟანიძე, ლემონჯავა, გელაჭეიშვილი, გულუა*

**ბაია**

46. ენდელაძე – **სამუშია**
64. ჩანგელია – **კუკავა**
78. ლომია – **ზ. ქვარცხავა**

*სათადარიგოები: მაქაცარია, შანავა, ახვლედიანი, ახალაია*

გაფრთხილება: აკობია (51), სიხარულია (65), დათუნაიშვილი (90)

არბიტრი: თ. გვანცელაძე

# ბოლო წუთების ამბავი: გოლი+დავიდარაბა

სტუმრებს დისკვალიფიკაციისა და ტრავმის გამო სამი ძირითადი ფეხბურთელი აკლდათ. (**აფაქიძე, გამრეკლიძე, ქობალია**). ამიტომ მათი პოზიციები ყმაწვილმა ფეხბურთელებმა შეავსეს. ფოთელები პირველ ტაიმში სამჯერ სახიფათოდ დაემუქრნენ **სომხიშვილის** კარს. ჯერ **დათუნაიშვილის** ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი ასცდა კარს, შემდეგ **ჯანაშიამ** ბურთს ორჯერ ააცილა ფეხი. სტუმრები გატანის შანსს ელოდნენ, რაც მეორე ტაიმში მოახერხეს კიდეც.

მეორე ტაიმი მასპინძლებმა კარგად დაიწყეს, თუმცა იერიშებისას უზუსტონი იყვნენ. მე-60 წუთზე **მდივნიშვილმა** ორი მცველი ჩამოიტოვა, მისგან თანაგუნდელები ფლანგიდან პასს ელოდნენ, მან კი ბურთი კარისკენ მაღალი ტრაექტორიით გაგზავნა. სომხიშვილმა ზუგდიდელები გოლს გადაარჩინა, ბურთი კუთხურზე გაგზავნა. ფაზისელთა შეტევები შეცვლაზე შესულმა **სიჭინავამ** გაამწვავა. 76-ე წუთზე ზუგდიდელთა კარგი შეტევა გოლით **ლომიამ** დაასრულა. მასპინძლებმა მობილიზება შეძლეს და უმეთვალყურეოდ დარჩენილმა **სიჭინავამ** წონასწორობა 85-ე წუთზე აღადგინა.

თამაშის ბოლოსკენ დაძაბულობამაც იმატა და ფეხბურთელებს შორის წაკინკლავებაც გახშირდა, რაც ცოტა ხანში მცირეოდენ არეულობაშიც გადაიზარდა, თუმცა სიტუაცია უმალვე ჩაწყნარდა. მალე ფეხბურთელებს შორის ისევ უთანხმოებამ იჩინა თავი, რაშიც მსაჯის ჩარევაც გახდა საჭირო. ყველა შეხვედრის ფრედ დასრულებას ელოდა, მაგრამ **სამადაშვილმა** გამარჯვების გოლის გატანა დამატებულ წუთებში მოახერხა. "ბაიას" ფეხბურთელებმა მსაჯს დამატებული დრო გაუპროტესტეს და ხელით ანიშნებდნენ კიდეც, რომ მან შეხვედრის დროს ათი წუთი გადაამეტა, თუმცა ამას არაფერი შეუცვლია და ფოთელებმა სამი ქულა მიითვალეს.

**ელგუჯა ქომეთიანი (ბაია):** *"ბიჭებმა მაქსიმუმი გააკეთეს და შეეძლოთ კიდეც მოგება, მაგრამ ბოლოსკენ ვერ შეინარჩუნეს, თუმცა მათი თამაშით უკმაყოფილო არ ვარ, ფოთელებს კი ვულოცავ ამ გამარჯვებას და ვიტყვი, რომ ამ გუნდების ურთიერთშეხვედრა ყოველთვის დაძაბულობას ინარჩუნებს"*

**სოსო ფილია (კოლხეთი):** *"ჩვენ ორი განსხვავებული ტაიმი ვითამაშეთ, პირველ ნახევარში ცუდად გამოვიყურებოდით, მაგრამ მეორე ტაიმში თამაშის დალაგება შევძელით და შედეგიანადაც დავასრულეთ, თუმცა მეტოქის ახალბედა ფეხბურთელებს გარჯა მინდა დავუფასო. დღეს ამ ბიჭებმა გვაჩვენეს, რომ გუნდს პოტენციალი აქვს და მათ წარმატებებს ვუსურვებ"*

**ლაშა გოგილავა**
ფოთიდან

## საქართველოს ჩემპიონატი

# ჩემპიონობისგან გადაღლილები

18.05. ბოლნისი. თ. სტეფანია.
800 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სიონი | 1 |
| ზესტაფონი | 0 |

1:0 ჯიქია (38)

| სიონი 4-3-2-1 | ზესტაფონი 3-5-2 |
|---|---|
| გოგლიაშვილი | მამალაძე |
| სვანიძე | ბენაშვილი |
| დიდავა | კოზახიძე |
| ორბელაძე | ხიდეშელი |
| გოგოგერიშვილი | ფოფხაძე |
| ნოზაძე | აფციაური |
| ნ. კვასხვაძე | გორგიაშვილი |
| ჩირიკაშვილი | ძარია |
| ლ. ჩხეტიანი | ბაბუნაშვილი |
| ჯიქია | დვალი |
| რეხვიაშვილი | წინამძღვრიშვილი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ხ. ქასრაშვილი | გ. გეგუჩაძე |

**სიონი**

64. რეხვიაშვილი – **ქუცურუა.**
79. ჯიქია – **ისიანი.**
*სათადარიგოები: ზუხბაია, გ. ოქროპირიძე, შალამბერიძე, ადამაშვილი, კობაური.*

**ზესტაფონი**

46. ხიდეშელი - **გ. ონიანი**
57. აფციაური - **ბრიგალაშვილი**
61. ფოფხაძე - **ს. ლომია**
*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, დაუშვილი, გენაძე, ალადაშვილი.*

გაფრთხილება: ისიანი (83).
არბიტრი: გ. ვადაჭკორია

14 მაისს "ზესტაფონი" ჩემპიონი გახდა და მას შემდეგ გუნდი ოქროს მედლების ღირსეულ მოპოვებას აღნიშნავდა, მაგრამ გუშინდელმა ბოლნისურმა შეხვედრამ გამოაჩინა - ბოლო ჭიქა არ უნდა დაელიათ.

ხუმრობა იქით იყოს და, მიზანმიღწეული ადამიანიც ეშვება და გუნდიც, მით უფრო, ქართველებს გვჭირს ასეთი ზნე.

"ზესტაფონმა" ჩემპიონისთვის შეუფერებლად ითამაშა, პირველ ტაიმში კარგი მომენტებიც შექმნა, მაგრამ უფრო მოტივირებულმა "სიონმა" პირველ ტაიმში გატანილი **რეზო ჯიქიას** გოლით გაიმარჯვა: მეკარე **ზურაბ მამალაძე** და **გიორგი ხიდეშელი** ერთმანეთს შეასკდნენ და კარის წინ მარტო დარჩენილ ბოლნისელ თავდამსხმელს ანგარიშის გახსნა არ გასჭირვებია.

მამალაძეს მანამდეც მოუვიდა მსგავსი შეცდომა, საჯარიმოს ხაზთან ორ მეტოქესთან "მატაობა" დაიწყო, **გიორგი რეხვიაშვილმა** ბურთი აართვა, მაგრამ წინ **ალეკო გოგობერიშვილს** რომ გადააწოდა, ამ უკანასკნელს არბიტრმა თამაშგარე მდგომარეობა დაუფიქსირა.

სტუმრები პირველ ტაიმში კიდევ ქმნიდნენ მომენტებს, მეორეში მთელი გუნდით შეუტიეს, მაგრამ ანგარიში მაინც ვერ გაათანაბრეს და "სიონი" უმაღლეს ლიგაში გადათამაშების გარეშე დარჩა.

**მერაბ მამულაშვილი**
ბოლნისი-თბილისი

## ლეგიონერი



ალექსანდრე ამისულაშვილმა ნიღბით ივარჯიშა

# ამისულაშვილი კრასნოდარს ნიღბით შეუერთდა

გამართლდა "კრასნოდარის" სამედიცინო შტაბის ოპტიმისტური ვარაუდი და **ალექსანდრე ამისულაშვილმა** გუნდთან ერთად ვარჯიში განაახლა. "კრასნოდარის" ქართველი კაპიტანი ინდივიდუალური პროგრამით რამდენიმე დღის განმავლობაში ემზადებოდა, რის შემდეგაც ექიმებისგან ბურთთან "ურთიერთობის" ნებართვაც მიიღო. უახლოესი პერიოდის განმავლობაში ამისულაშვილი, რომელმაც ყბა-სახის მძიმე ტრავმა და ოპერაცია გადაიტანა, სპეციალური დამცავი ნიღბით ივარჯიშებს და ითამაშებს. ეს ნიღაბი გერმანიაში დამზადდა და მის მოსარგებად ამისულაშვილს იქ ჩასვლა დასჭირდა. შესაძლოა, ალეკო "კრასნოდარის" უახლოეს ოფიციალურ მატჩშიც ვიხილოთ.

საქართველოს ნაკრები კი, სავარაუდოდ, სერიოზულ დანაკლისს გადაურჩება. 3 ივნისს ამისულაშვილს ხორვატთა წინააღმდეგ თამაშის რეალური შანსი გაუჩნდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ფიფას რეიტინგი

# უთამაშებლად დავქვეითდით

ფიფასა და "კოკა კოლას" მაისის რეიტინგში განსაკუთრებული ცვლილებები არ მომხდარა, რაც არც არის გასაკვირი – წინა რეიტინგის გამოქვეყნების შემდეგ მსოფლიოს ნაკრებთა უმრავლესობას საერთოდ არ უთამაშია, მათ შორისაა საქართველოც.

თემურ ქეცბაიას გუნდი დღეს მსოფლიოს 57-ე ნაკრებია. წინა რეიტინგთან შედარებით, საქართველოს ნაკრები ერთი საფეხურით დაქვეითდა.

რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენს მეტოქეებს, ხორვატია, საბერძნეთი და ისრაელი, შესაბამისად, მე-10, მე-12 და 33-ე პოზიციებზე დარჩნენ, ლატვია 76-ედან 77-ეზე ჩამოქვეითდა, მალტა კი 163-ედან 161-ეზე ავიდა.

საუკეთესო ათეულში ცვლილებები არ მომხდარა: 1. ესპანეთი, 2. ჰოლანდია, 3. ბრაზილია, 4. გერმანია, 5. არგენტინა, 6. ინგლისი, 7. ურუგვაი, 8. პორტუგალია, 9. იტალია, 10. ხორვატია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## I ლიგა, XXXII ტური

**ადელი-ნ/დინამო 4:1**

16.05. ბათუმი. ადელი. 200 მაყურებელი

1:0 ა. აბუსერიძე (11), 2:0 დ. ჯალალანია (23), 2:1 ა. ხვთისავრიშვილი (47), 3:1 ა. აბუსერიძე (67), 4:1 გ. ქოქოლაძე (88).

ადელი: ი. დევაძე, ლ. კვანტალიანი, ს. კახიძე, გ. ხაჩიძე, ნ. წულუკიძე, მ. ფუტკარაძე, ნ. ნასუაშვილი (84. ნ. დავითაძე), ზ. მჟავანაძე (74. გ. ქოქოლაძე), დ. ჯალალანია, ა. აბუსერიძე, ა. ლორია (32. გ. სირაბიძე)

*სათადარიგოები: გ. რომანაძე, გ. დევაძე, გ. ზოიძე*

*მთავარი მწვრთნელი: გ. ჯორბენაძე*

ნ/დინამო: თ. ცინცაბაძე, გ. ჩუბინიძე, ზ. ძაგანია, გ. ლომიძე, გ. ჯაჭვაძე, ა. ხვთისავრიშვილი, გ. ქვარაია, ი. მახათაძე (81. ა. ბილიხოძე), ზ. კვარაცხელია, დ. ქიმერიძე (74. გ. თანიაშვილი), მ. ლომაია

მთავარი მწვრთნელი: ვ. გაგუა

არბიტრი: ზ. ანიაშვილი (გორი)

**მერცხალი-დილა 0:3**

16.05. ჩოხატაური. „ბ. პაიჭაძე".
300 მაყურებელი

0:1 რ. გოგინაშვილი (2), 0:2 დ. რაყამაშვილი (37), 0:3 ი. ლომიძე (56)

მერცხალი: ი. მურუსიძე, ვ. ტუტოიანი, ვ. რამიშვილი (46. რ. ჭეიშვილი), გ. ხამაშურიძე, ზ. ტულუში, ლ. ჩხაიძე (46. ზ. ხურციძე), თ. ცეცხლაძე, სერგო გ. ჩიგოგიძე (46. ო. ჭელიძე), სერგო ვ. ჩიგოგიძე, ლ. კოტრიკაძე, ლ. ათუაშვილი

*სათადარიგოები: ბ. გოლიაძე, ნ. ხინთიბიძე, ი. ბაჯელიძე*

*მთავარი მწვრთნელი: ხ. ჩხატარაშვილი*

დილა: ბ. შეყრილაძე, დ. ჭითანავა, გ. ქარქუზაშვილი, ლ. თედიაშვილი, ი. ლომიძე, ვ. ჯოჯუა (62. ო. ცარიელაშვილი), ვ. ნემსაძე, ნ. ნოზაძე, ნ. სადალაშვილი, დ. რაყამაშვილი (46. ა. სირბილაძე), რ. გოგინაშვილი (56. გ. იჩქითი)

*სათადარიგოები: ბ. კეჩხუაშვილი, რ. ახალკაცი, თ. ბარამიძე, დ. ტლაშაძე*

*მთავარი მწვრთნელი: გ. ცეცაძე*

გაფრთხილება: რ. ჭეიშვილი; ლ. თედიაშვილი

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი (ყვარელი)

**ჩხერიმელა-სქური 0:0**

16.05. ხარაგაული. „ს. აბაშიძე".
600 მაყურებელი

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, ვ. ტაბატაძე, ნ. ხარაბაძე, ა. ქაშაკაშვილი, ც. ხარაბაძე, ა. ლაბაძე (59. ლ. გუმბერიძე), გ. კუხიანიძე, რ. ჩიხლაძე (85. გ. გიორგობიანი), გ. თურმანიძე, გ. ხეცურიანი, გ. ზაქარაშვილი

*სათადარიგოები: მ. ლომსაძე, კ. კუბლაშვილი, ვ. თაბუკაშვილი*

სქური: ვ. ჯომიდავა, ბ. გვილია (40. ბ. სვანიძე), ე. ფარფანია, თ. გერგედავა, ზ. მოლაშხია, დ. რაფავა (46. დ. ჩახაია), ბ. გუჯეჯიანი, ლ. გაბუნია, ლ. ქანთარია, გ. ჭკუასელი (84. ა. მიქენაია), დ. კუტალია

სათადარიგოები: ტ. ხარჩილავა, გ. აკობია, ი. ნაჭყებია, გ. კვირკვია

*მთავარი მწვრთნელი: ვ. გულორდავა*

არბიტრი: მ. ურუშაძე (თბილისი)

**ლოკომოტივი-ჩიხურა 0:1**

16.05. საგურამოს საწვრთნელი ბაზა.
200 მაყურებელი

0:1 თ. მუმლაძე (69)

ლოკომოტივი: გ. ნაჭყებია, გ. მჭედლიშვილი, ზ. გვაძაბია, ნ. ჭანტურია, ლ. კვარაცხელია (75. დ. ჯიქია), გ. ბოჭორმელი, ბ. მახარაძე, გ. შარანგია (60. მ. მაკარაშვილი), ა. შენგელია, გ. კაპანაძე (46. დ. მიქავა), დ. დარციმელია

*სათადარიგოები: თ. ოდიკაძე, გ. ხატიაშვილი, ა. ძიძიგური, ნ. შერაზადიშვილი*

მთავარი მწვრთნელი: ლ. ჭალიაშვილი

ჩიხურა: გ. ბეგაშვილი, ე. ზივზივაძე, ლ. ჩაგელიშვილი. ი. გვეტაძე, ი. ტყებუჩავა, ი. ზაბახიძე, გ. ქიმაძე, დ. ქამუშაძე, ა. ივანიშვილი (75. ა. ალავიძე), თ. მუმლაძე (83. ბ. პეტრიაშვილი), დ. ჩაგელიშვილი (86. თ. მეტრეველი)

*სათადარიგოები: შ. დოლაძე, ნ. მაჭარაშვილი*

*მთავარი მწვრთნელი: ს. ფრუიძე*

გაფრთხილება: გ. მჭედლიშვილი, ბ. მახარაძე; ი. ტყებუჩავა, მ. მუმლაძე

არბიტრი: ჯ. ხორავა (ხობი)

**სამგურალი-ჭიათურა 3:1**

16.05. წყალტუბო. „26 მაისი".
300 მაყურებელი

1:0 გ. უგულავა (34), 2:0 ლ. ცხადაძე (38), 3:0 ზ. კუხალაშვილი (44)

სამგურალი: დ. ხურცილავა (89. ბ. ფირცხალავა), ლ. ცხადაძე, დ. ჩაკვეტაძე, ზ. ჩიხლაძე, გ. ჩიხლაძე, ხ. უგრეხელიძე (65. გ. ბუხაიძე), ნ. უგრეხელიძე, ზ. კუხალაშვილი. გ. უგულავა, ზ. ქუთათელაძე, ლ. ნავერიანი (73. ლ. მესხი)

*სათადარიგოები: გ. თევდორაძე, გ. ჯიმშელეიშვილი, ზ. სალინაძე, მ. მესხი*

მთავარი მწვრთნელი: ტ. მანაგაძე

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი (46. ა. დარბაიძე), გ. ზაბახიძე (39. ვ. ჯელაძე), გ. ბრეგვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ლ. ცუცქირიძე, დ. ტაბატაძე, ა. დოლონაძე, ზ. ნოზაძე, ლ. ქურდაძე, ლ. კობახიძე, დ. სევასტოპულო (46. ჯ. ლაშხი)

*მთავარი მწვრთნელი: ა. სევასტოპულო*

გაფრთხილება: დ. ჩაკვეტაძე, გ. უგულავა; ა. დოლონაძე

გაძევება: გ. უგულავა

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი (თბილისი)

**კოლხეთი (ხ)-ბათუმი 1:2**

16.05. ხობი. ცენტრალური.
600 მაყურებელი

1:0 თ. ღლონტი (6), 1:1 კ. მაკარიანი (19), 1:2 ნ. დიასამიძე (52)

კოლხეთი: ზ. გელაშვილი, გ. გოგენია (73. ლ. ჩაჩიბაია), ლ. გოგენია, ო. ფიფია, ვ. ფირცხელავა (67. ი. კუტალია), მ. ჭკადუა, ც. ბუკია, ლ. მეფიშვილი, კ. ალანია, გ. ლომაია, თ. ღლონტი (84. პ. გაბრავა).

*სათადარიგოები: გ. ხუნჭუა, კ. გოგენია, გ. ფაჩულია, რ. ადონია*

მთავარი მწვრთნელი: კ. ხურცილავა

ბათუმი: შ. მამინაშვილი, დ. სამსეიშვილი, მ. ფარტენაძე, ა. ბაჯელიძე, კ. მაკარიანი, მ. ყვანია, ზ. ლობჟანიძე, ე. გრიგალაშვილი (46. მ. კაკალაძე), ნ. დიასამიძე (54. გ. მანწკავა), ზ. ხაჭიპერაძე, ა. ბაციკაძე (64. თ. ბერიძე)

*სათადარიგოები: რ. თევდორაძე, მ. ჯორბენაძე, ლ. რამიშვილი*

მთავარი მწვრთნელი: ა. გოგიტიძე

გაფრთხილება: ა. ბაციკაძე, მ. კაკალაძე

არბიტრი: გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**იმერეთი-გაგრა 0:3**

16.05. ლანჩხუთი. „ე. შევარდნაძე".
200 მაყურებელი

0:1 ლ. შარიქაძე (10), 0:2 ვ. ორდინსკი (15), 0:3 გ. გაბედავა (38)

იმერეთი: გ. ნიქაბაძე, ა. თელია (46. დ. ხაბურძანია), ბ. ბიბილაშვილი (46. ჯ. ჯანელიძე), თ. ხარებავა, ვ. ბრეგაძე, რ. კაშია (46. გ. უგლავა), მ. ჩხარტიშვილი, ლ. კირკიტაძე, ბ. ჩხეტიანი, გ. ცაგარეიშვილი, რ. კვერნაძე

*სათადარიგოები: ა. მეტონიძე, ი. ასათიანი, ი. შენგელია, გ. ქობალია*

მთავარი მწვრთნელი: დ. ჭელიძე

გაგრა: ლ. ნადირაშვილი, დ. გიგაური, ჯ. გაბუნია, გ. ტყეშელაშვილი, ი. ხუციძე, ზ. ჩხეტიანი, ლ. შარიქაძე (46. გ. ყურულაშვილი), ნ. ჭკუასელი, ნ. ჯიშკარიანი, შ. კვანტალიანი (29. გ. გაბედავა), ვ. ორდინსკი (65. მ. კობერიძე)

სათადარიგოები: კ. სეფიაშვილი, თ. მოსიაშვილი, დ. ჯანაშია, დ. ციცხვაია

მთავარი მწვრთნელი: ა. პისკოვეცი

არბიტრი: ო. ხეცაძე (თბილისი)

**მეშახტე-გურია 2:0**

16.05. ტყიბული. „ვ. ბოჭორიშვილი".
200 მაყურებელი

1:0 გ. ბოხუა (48), 2:0 დ. გოგოლაძე (89)

მეშახტე: ი. ორბელაძე, ა. ქუთათელაძე, თ. ღვინიაშვილი, ლ. მაჩალაძე, ა. გუბელაძე, ვ. ჭაჭიაშვილი (71. ვ. აფციაური), გ. ჯიშიაშვილი, ა. ნოზაძე, გ. აბურჯანია, დ. გოგოლაძე (90. ა. სახელაშვილი), გ. ბოხუა (89. ბ. ჯიშიაშვილი)

*სათადარიგო: დ. ოდიშარია*

*მთავარი მწვრთნელი: მ. ბაბუხადია*

გურია: გ. გოგუაძე, რ. კუკულაძე, გ. ჭეიშვილი, ბ. წერეთელი, ს. ფირცხალაიშვილი, ნ. ტოროტაძე (76. გ. კუკულაძე), თოლორდავა, გ. შეწირული (71. ვ. ქვრივიშვილი), ი. კილაძე, თ. სივსივე, ლ. რუსიეშვილი (68. ს. ბახია)

სათადარიგო: ი. ხვედელიძე

მთავარი მწვრთნელი: ი. ფაცურია

გაფრთხილება: გ. ბოხუა, დ. გოგოლაძე, გ. აბურჯანია; ი. კილაძე

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 30 | 22 | 5 | 3 | 70-17 | 71 |
| 2. მარტვილი | 30 | 20 | 7 | 3 | 56-15 | 67 |
| 3. დილა | 30 | 18 | 9 | 3 | 55-21 | 63 |
| 4. ჩიხურა | 30 | 19 | 5 | 6 | 55-24 | 62 |
| 5. ბათუმი | 30 | 17 | 8 | 5 | 64-17 | 59 |
| 6. გურია | 31 | 14 | 4 | 13 | 50-57 | 46 |
| 7. კოლხეთი | 30 | 11 | 10 | 9 | 27-33 | 43 |
| 8. მეშახტე | 30 | 10 | 5 | 15 | 32-43 | 35 |
| 9. ჩხერიმელა | 30 | 7 | 13 | 10 | 34-42 | 34 |
| 10. იმერეთი | 30 | 10 | 4 | 16 | 32-41 | 34 |
| 11. ნ\დინამოელი | 30 | 9 | 5 | 16 | 37-57 | 32 |
| 12. მერცხალი | 31 | 8 | 7 | 16 | 40-67 | 31 |
| 13. ადელი | 30 | 9 | 2 | 19 | 36-52 | 29 |
| 14. სამგურალი | 30 | 8 | 5 | 17 | 37-61 | 29 |
| 15. ლოკომოტივი | 30 | 7 | 7 | 16 | 30-44 | 28 |
| 16. სქური | 30 | 7 | 5 | 18 | 27-50 | 26 |
| 17. ჭიათურა | 30 | 7 | 5 | 18 | 26-67 | 26 |

**XXXIII ტური. 20 მაისი**

ბათუმი-გაგრა
გურია-მარტვილი
ნ. დინამო-სამგურალი
დილა- ჩხერიმელა
ჩიხურა-ადელი
სქური-ლოკომოტივი
ჭიათურა-კოლხეთი (ხ)
იმერეთი-მეშახტე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინციდენტი

# რასიზმი სწრაფი ინგლისურით


დემბა ბა

გუშინ „ვესტ ჰემის" წვეულებაზე ამტყდარი ჩხუბის ამბავი მოგიყევით. დღეს ამ ისტორიას იმას დავამატებთ, რომ მისი მთავარი მოქმედი პირი, 25 წლის სენეგალელი თავდამსხმელი **დემბა ბა** თავს იმართლებს. ბას თქმით, ფანებმა, რომლებთანაც მან იჩხუბა, რასისტული შეურაცხყოფა მიაყენეს.

მათთვის, ვინც ეს ამბავი პირველად გაიგო: ორშაბათს „ვესტ ჰემმა" ლონდონის სასტუმრო „გროსვენორ ოტელში" დიდი წვეულება გამართა. როგორც ირკვევა, პრემიერლიგიდან წინადღეს გავარდნილი გუნდი თავისი საფეხბურთო აკადემიისთვის სახსრებს აგროვებს და საღამოც საქველმოქმედო იყო. სწორედ ამ ქეიფში მოხდა სამარცხვინო ამბავი — ბასთან რამდენიმე გულშემატკივარი მივიდა და ავტოგრაფი სთხოვა, ფეხბურთელმა კი ისინი თავიდან მოიშორა, მოიმიზეზა, დაღლილი ვარო. ამას ისეთი შეხლა-შემოხლა მოჰყვა, რომ სასტუმროს პატრონებს პოლიციის რამდენიმე მანქანის გამოძახება დასჭირდათ.

მეორე დღეს ინგლისურმა გაზეთებმა ეს ამბავი ქვეყანას ამცნეს, მესამე დღეს კი ბას კომენტარიც გამოაქვეყნეს. სენეგალელი ამბობს:

*„ტყუილია, თითქოს მე იმ კაცს ავტოგრაფი არ მივეცი. ხელი მოვუწერე, მაგრამ ის ჩხუბის მიზეზს ეძებდა. მან მკითხა, როგორ ხარო, მე ვუპასუხე კვირის თამაშის შემდეგ დაღლილი ვარ-მეთქი. „უიგანთან" მართლაც ძალიან მძიმე თამაში გვქონდა. დაღლა რომ ვახსენე, დამცინა, ჩვენ კიდევ ყოველ კვირა შენი თამაშის ყურება გვღლისო. აი, მერე კი გიჟივით ღრიალი დაიწყო. მე კარგად ვერ მივხვდი, რას ამბობდა სწრაფი ინგლისურით, მაგრამ ჩემს გვერდით მყოფებმა მითხრეს, რომ რასისტულ შეურაცხყოფას მაყენებდა".*

აღსანიშნავია, რომ ბას საქმის სასამართლოში გადატანა არ სურს. მან თქვა, რომ ინციდენტის დავიწყება და ჩაფარცხვა ურჩევნია. „ვესტ ჰემი" კი საზოგადო კრიტიკის საგნად იქცა. საზოგადოებამ კლუბი გავარდნიდან 24 საათში ქეიფის მოწყობისთვის გააკრიტიკა. შეგახსენებთ, რომ კვირასვე „ჩაქუჩების" პატრონებმა თანამდებობიდან მოხსნეს მწვრთნელი **ავრამ გრანტი**.

კრიტიკის პასუხად „ვესტ ჰემის" პრესმდივანმა ასეთი განცხადება გაავრცელა:

*„ის, რაც ორშაბათ საღამოს გაიმართა, ქეიფი არ იყო. ეს გახლდათ ფანების შეხვედრა ფეხბურთელებთან. მათ მიეცათ საშუალება, შეხვედროდნენ მოთამაშეებს და მათგან „ანგარიში" მოესმინათ. იმ დღის ჩანაფიქრი უმეტესობამ სწორად გაიგო და შეხვედრით კმაყოფილიც დარჩა, თუმცა რამდენიმე ადამიანის ქცევამ ყველაფერი დაჩრდილა".*

გუშინაც მოგახსენეთ, რომ „გროსვენორ ოტელში" გამართული წვეულება კაცზე 275 ფუნტი დაჯდა, მაგრამ ჩხუბმა მართლაც ყველაფერი დაჩრდილა. ისეთი ამბავი ატყდა, რომ „ვესტ ჰემის" ფეხბურთელების ერთ ნაწილს ჩარევა მოუხდა.

ბამ განაგრძო: *„ზოგმა ფეხბურთელმა წასვლა მირჩია. მათ იმ ბიჭის დაშოშმინებაც სცადეს, მან კი თეფშებისა და ჭიქების ლეწვა დაიწყო. თან, მაგინებდა. ჰოდა, მეც წამოვდექი, რათა მეჩვენებინა, რომ მისი საქციელი არ მომეწონა... როგორც შევატყვე, მთვრალი იყო. მისი დაწყნარება დენი გებიდონმაც სცადა, მაგრამ ის მოუტრიალდა და გებიდონის ლანძღვაც დაიწყო".*

ეს, რაც შეეხებოდა ჩხუბსა და სკანდალს, ხოლო რაც შეეხება ავრამ გრანტის სავარაუდო შემცვლელს, აქ საქმეები ასეა:

სტივ მაკლარენმა და **გუსტავო პოიეტმა** უკვე განაცხადეს, რომ „ჩაქუჩების" თავკაცის თანამდებობა არ აინტერესებთ. მოგეხსენებათ, ეს ორი კაცი გაზეთებმა გრანტის მოხსნის დღესვე დაასახელეს მთავარ კანდიდატებად. ამასთან, პოიეტი ურუგვაელია, „ვესტ ჰემის" ერთ-ერთმა მეპატრონემ, **დევიდ სალივანმა** კი განაცხადა, რომ გუნდის მომავალი მწვრთნელი ინგლისელი უნდა იყოს.

დღეისათვის მასმედია **მარტინ ო'ნილის, სემ ელერდაისის, კრის ჰაფტონის, მელკი მაკეის** და... **რობერტო დი მატეოს** კანდიდატურას განიხილავს, თუმცა ეს უკანასკნელი ინგლისელი არ არის — პოიეტის მსგავსად ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ ინგლისში ჩარჩენილი უცხოელია.

სალივანმა თქვა: *„ვფიქრობ, ჩვენთვის ამ ეტაპზე ყველაზე მისაღები ინგლისელი... ბრიტანელი მწვრთნელის აყვანაა. ჩვენ გვჭირდება ადამიანი, რომელსაც ადგილობრივი კულტურა ესმის, ხოლო თუ ლონდონის ისტენდის ცხოვრებაც ეცოდინება, უკეთესი იქნება. ჯერ დაველოდით, ვნახავთ, ვინ გამოგვეხმაურება, მაგრამ ვფიქრობ, საბოლოო გადაწყვეტილებას ორ კვირაში მივიღებთ".*

სკანდალი

# ჟიველის საქმე



„ბლექბერნის" ახალმა მეპატრონეებმა განაცხადეს, რომ **გაელ ჟივეს** საქმესთან დაკავშირებით საკუთარ, შიდასაკლუბო გამოძიებას წამოიწყებენ. გეხსომებათ, რომ გაზეთმა „სანმა" გამოაქვეყნა სენსაციური წერილი, სადაც 29 წლის ფრანგი მცველის „მარსელისგან" ყიდვის საქმესთან დაკავშირებულ უცნობ და უცნაურ დეტალებზე გაამახვილა ყურადღება. კერძოდ, ჟივემ ჟურნალისტებს უამბო, რომ 2009 წელს, მას დაუკავშირდა მავანი მანჩესტერელი მკერავი **ფილ ბლექი**, რომელმაც მის ტრანსფერში გარკვეული როლი ითამაშა, შემდეგ კი 50 ათასი ფუნტი გამოართვა. მკერავი ბლექი ფიფას ლიცენზირებული აგენტი არ არის.

გაზეთმა ჩანაწერები და საბუთების ასლები ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასაც წარუდგინა. ასოციაციამ, ბუნებრივია გამოძიება დაიწყო და თუ დაამტკიცა, რომ საქმეში ისეთი პირია ჩარეული, რომელსაც, კანონით, სააგენტო საქმიანობა ეკრძალება, შეიძლება „ბლექბერნ როვერსიც" დასაჯოს და ჟივეც.

„ბლექბერნის" ახალმა მეპატრონეებმა, კორპორაცია „ვენკის" წარმომადგენლებმა ვითარებას უცბათ აუღეს ალღო და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თავადაც დაუყოვნებლივ დაიწყეს გამოძიება. მათმა წარმომადგენელმა თქვა:

*„ჩვენს კომპანის „სანში" გამოქვეყნებული მასალები არ გაკვირვებია და არც ის გააკვირვებს თუ მომავალშიც გამოჩნდება ახალი ფაქტები. ეს ყველაფერი მანამდე მოხდა, სანამ „ბლექბერნ როვერსს" ჩვენ შევიძენდით".*

გამოხმაურება

# სიტი მესამეზე

„მანჩესტერ სიტი" „სტოკ სიტის" ეთამაშა, გუნდს, რომელსაც შაბათს ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში 1:0 აჯობა. მეორე შეხვედრაც ისტლენდელებისა აღმოჩნდა. **რობერტო** მანჩინის ბიჭებმა ამჯერად უფრო შთამბეჭდავად, 3:0 მოიგეს და, რაც მთავარია, მესამე ადგილზე გადავიდნენ — „არსენალი" უკან ჩამოიტოვეს. ახლა, პრემიერლიგის სეზონის ბოლო შეხვედრაში „სიტი" ბოლტონს ესტუმრება, ხოლო „არსენალი" ლონდონშივე ითამაშებს, ოღონდ „კრეივენ კოტეჯზე", „ფულჰემთან". თუ ორივე მოიგებს, მესამეზე, ბუნებრივია, „სიტი" დარჩება და მომავალ სეზონში, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფშიც ის ჩაჯდება, ხოლო „მეთოფეებს", იქამდე მისასვლელად, შესარჩევი ეტაპის გადალახვა მოუწევთ. რამდენად მოტივირებულნი იქნებიან ბოლო დღეს ისტლენდელთა და „მეთოფეთა" მეტოქეები? მიკიბ-მოკიბვის გარეშე შეგვიძლია ვთქვათ: ამ სეზონისგან არც „ბოლტონს" უნდა რამე და აღარც „ფულჰემს".

*„მესამე ადგილზე გასვლა დიდებული იქნება, - თქვა მანჩინიმ, - ჩვენთვის მთავარი ოთხეულში მოხვედრა იყო, რადგან ამ სეზონში მიზნად ჩემპიონთა ლიგაში ადგილის დაბევება გვქონდა, მაგრამ თუ ამას მესამე ადგილით მოვახერხებთ, კიდევ უკეთესი. მესამე და მეოთხე ადგილებს შორის განსხვავება ის არის, რომ მეოთხე ადგილზე გასული შეჯიბრებას საკვალიფიკაციო ეტაპიდან იწყებს, მესამე ადგილზე გასული კი პირდაპირ ჯგუფში ხვდება".*

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ მიცემულ ინტერვიუში „მანჩესტერ სიტის" არგენტინელმა ფორვარდმა **კარლოს ტევესმა** ინტერვიუში თქვა, რომ მომავალი სეზონიდან შესაძლოა სხვა გუნდში გადავიდეს. ტევესი ამბობდა, რომ ყველაფერი მისი ოჯახის გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული. „სტოკ სიტისთან" შეხვედრაში არგენტინელმა სამიდან ორი გოლი გაიტანა და

# ტევესი სიტიში!


კარლოს ტევესი

როდესაც 88-ე წუთზე მანჩინიმ ის **დედრიკ ბოიატათი** შეცვალა, ფეხზე წამომდგარმა სტადიონმა ოვაცია მოაწყო.

მანჩინიმ თქვა: *„მე ბოლო 20 დღის განმავლობაში კარლოსს ძალიან ბევრჯერ ველაპარაკე და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ის ჩვენგან არსად წავა. ყველაზე მთავარი მისი ნათქვამია — მან მითხრა, რომ ჩვენთან უნდა დარჩენა. გარდა ამისა, მას „მანჩესტერ სიტისთან" უკვე აკავშირებს ხუთწლიანი კონტრაქტი. მართალია, დეკემბერში გარკვეული პრობლემა ჰქონდა, მაგრამ ახლა ყველაფერი მოგვარებულია. ბოლოს და ბოლოს, ადამიანებს შეხედულებები ეცვლებათ".*

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ „სტოკთან" შეხვედრა ტევესის ბოლო თამაში იყო ისტლენდელი პუბლიკის წინაშე, მაშინ მას დიდებული გამოთხოვება მოუწყვია: მე-14 წუთზე მან ჯერ **ადამ ჯონსონთან** შესანიშნავად გაათამაშა ბურთი, ხოლო შემდეგ, საჯარიმოში ეფექტურად მოატყუა ორი მცველი და საუცხოოდაც დაარტყა. მეორე გოლი კი დაახლოებით 25 მეტრიდან, საჯარიმო დარტყმით გაიტანა. ეს გოლიც ზღაპრული სილამაზისა გახლდათ: ბურთმა კედელს „გარედან" კარგა დიდი ტრაექტორიით შემოუარა, შემდეგ კარისკენ დაბრუნდა და ლურსმანივით შეერჭო ცხრიანში. ამ გოლს დამარცხებულთა თავკაცმა **ტონი პულისმა** განსაკუთრებული უწოდა.

ამ ორი გოლის წყალობით, ტევესი ბომბარდირთა დავაში „მანჩესტერ იუნაიტედის" ბულგარელ ფორვარდ **დიმიტარ ბერბატოვს** გაუტოლდა.

მოედანს მიღმა

# სასოწარკვეთილი ცოლისა


ბენ ფოსტერი

საინტერესო შარში გაეხვია „ბირმინგემის" 28 წლის მეკარე **ბენ ფოსტერი**, რომელსაც ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში 5 თამაში აქვს ჩატარებული. მის წინააღმდეგ თანაგუნდელის ცოლმა სოციალური ქსელის, „ტვიტერის" საშუალებით გაილაშქრა.

თურმე, ფოსტერი და მისი თანაგუნდელი, „ბირმინგემის" მესამე მეკარე, 25 წლის ირლანდიელი **კოლინ დოილი** სამშაბათს გამთენიისას, 4 საათზე, ნასვამები დოილის სახლში მისულან, რამაც დიასახლისი გააცოფა. მისის დოილი, სახელად **ბეკი**, შურის საძიებლად კომპიუტერს მივარდნია და მთვრალ მეკარეთა მეგობრობის ამბავი „ტვიტერში" გამოუქვეყნებია — ორშაბათს „ვესტ ჰემისა" არ იყოს, „ბირმინგემმაც" მოაწყო სეზონის დამთავრებასთან დაკავშირებული საღამო, ოღონდ ეს ქეიფი კი არა დაჯილდოება იყო. ფოსტერს სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი გადასცეს. თუმცა, როგორც ჩანს, ფოსტერმა და კომპანიამ საღამო მაინც ქეიფით გააგრძელეს, არადა, მოგეხსენებათ, სეზონის დამთავრებამდე ერთი ტური კიდევ არის დარჩენილი. თან, ბირმინგემელებს სულაც არ აქვთ თავი ქუდში. გავიხსენოთ ცხრილი: ფოსტერისა და დოილის გუნდს 39 ქულა აქვს და გასავარდნთა ზონაში მყოფ „ბლექპულსა" და „უიგანს" მხოლოდ გატანილ-გაშვებულთა უკეთესი სხვაობით აღემატებიან. კვირას, ბოლო ტურში, „ბირმინგემი" ლონდონში „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" თამაშობს. „ტოტენჰემი" კი მას სჯობია კიდეც და მოგებაც სჭირდება — წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება „ლივერპულმა" გადაასწროს და მეხუთე ადგილი წაართვას. ერთი სიტყვით, დიდი შანსია რამდენიმე დღეში „ბირმინგემი" გავარდეს, ასე რომ, რა დროს ქეიფი იყო, თითქოს, გაუგებარია.

თუმცა, როგორც ჩანს, ქეიფი ყოველთვის კარგია, ოღონდ, თუ კოლეგის ცოლს ღამის 4 საათზე არ გააღვიძებ. განრისხებული ბეკი დოილი „ტვიტერში" წერდა:

*„ის და ჩემი ქმარი, მთვრალები, ღამის 4 საათზე დამადგნენ და გამაღვიძეს. რა აქეიფებდათ? ერთი კვირაღა დარჩათ, მოამთავრონ საქმე და დალიონ მერე, რამდენიც უნდათ. ცოტა პატივისცემა ხომ უნდა გამოამჟღავნო?"*

თუმცა, მისის დოილს ინტერნეტიდან თავისი ნაწერის წაშლა ძალიან მალე მოუხდა, რადგან მიხვდა (ან მიახვედრეს), რომ უამრავი ადამიანის განრისხება გამოიწვია, ეს კი სახიფათოა. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ გუნებაზე დადგებოდნენ „ბირმინგემის" ფანები, როდესაც წაიკითხავდნენ, რომ სანამ ისინი ნერვიულობენ და ბოლო ტურს ღელვით ელოდებიან, მათი ფეხბურთელები, განსაკუთრებით კი მეკარე ფოსტერი დაქეიფობს და ღამით შინ არ შედის.

შეგახსენებთ, რომ ფოსტერმა გასულ კვირაშიც ამოჰყო თავი გაზეთების პირველ გვერდზე, როდესაც განაცხადა, რომ კარგა ხანს ინგლისის ნაკრებში აღარ ითამაშებს. აღსანიშნავია, რომ დოილის ცოლის განცხადების მიუხედავად „ბირმინგემს" ფოსტერი და დოილი არ დაუსჯია. მწვრთნელმა, **ალექს მაკლიშმა** გადაწყვიტა მომხდარზე თვალი დახუჭოს, თითქოსდა მოთამაშეებს გადამწყვეტი მატჩის წინ რეჟიმი არ დაურღვევიათ. ზოგიერთი წყაროს თანახმად ფოსტერი და დოილი ძალიან მთვრალებიც არ იყვნენ, რადგან მეორე დილას ვარჯიშზე დანიშნულ დროს გამოცხადდნენ.

ამ ამბავთან დაკავშირებით „ბირმინგემ სიტიმ", რომელმაც მიმდინარე სეზონში „ქარლინგის თასი" მოიპოვა, ოფიციალური განცხადება გაავრცელა. განცხადებაში წერია:

*„ეს საღამო, ყველასათვის, ვინც ჩვენს კლუბთან კავშირშია, ისტორიული სეზონის აღნიშვნის შანსი გახლდათ. ამასთან, მთელი ღონისძიების განმავლობაში ისმოდა, რომ კვირას გუნდს, პრემიერლიგაში დასარჩენად, გადამწყვეტი თამაში ელის. როგორც ფეხბურთელები, ასევე მწვრთნელები სრულად არიან მობილიზებულნი „ტოტენჰემ ჰოთსპურის" წინააღმდეგ სათამაშოდ".*

გვერდი მოამზადა
ილია **ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ინტერვიუ. ბასტიან შვაინშტაიგერი

# კლინსმანის დროსაც მთავარი ლიოვი იყო

**რუსულმა "სპორტ ექსპრესმა" ისარგებლა, რომ გუშინ პეტერბურგში ამხანაგური მატჩისთვის მიუხენის "ბაიერნი" იყო ჩასული და ბასტიან შვაინშტაიგერს ინტერვიუ სთხოვა. ვფიქრობთ, მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავის მოსაზრებები "ლელოს" მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება. მასალა ძალიან დიდი გამოვიდა. ჩვენ მას შემოკლებით გთავაზობთ.**



ბასტიან შვაინშტაიგერი ბაიერნში წელს ერთ-ერთი საუკეთესო იყო

**- თქვენ შობამდე რამდენიმე დღით ადრე მინდვრიდან ამცნეთ ფანებს კონტრაქტის გახანგრძლივების შესახებ. თქვენი იდეა იყო?**

- დიახ, ჩემი. მინდოდა, ფანებს ჩემგან გაეგოთ ეს ამბავი. არც ერთ გაზეთს იქამდე ერთი სტრიქონიც კი არ ეწერა ამის შესახებ. არადა კლუბში ყველამ იცოდა.

**- ამბობენ, რომ თქვენ "ჩელსის", "რეალისა" და "იუვენტუსისგან" გქონდათ შემოთავაზებები. რატომ დარჩით?**

- მართალია, შემოთავაზებები მქონდა. დიდხანს ვფიქრობდი, რა იქნებოდა ჩემი კარიერისთვის უკეთესი და მივხვდი, რომ მიუნხენში მშვენიერი გუნდი გვყავდა. როცა ხედავ ისეთ ბიჭებს, როგორრებიც არიან ლამი, რიბერი, რობენი, გომესი, მიულერი და ბადშტუბერი, გუნდის პერსპექტივაში ეჭვს ველარ შეიტან. მალე ჩვენთან ნოიერი გადმოვა, ალბათ კიდევ მაღალი კლასის ორ ფეხბურთელს ვიყიდით და გვეყოლება გუნდი სუსტი წერტილების გარეშე. ამ სეზონში სხვანაირად იყო. როცა მთელი ძალით ვთამაშობთ, "ბაიერნი" ევროპის 4 საუკეთესო გუნდში შედის. მჯერა, რომ მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგის მოგებას შევძლებთ.

**- მით უფრო, რომ ფინალი მიუნხენშია.**

- საკუთარ არენაზე ტიტულის მოგება ჩემი ოცნებაა. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც დავრჩი.

**- შეიძლება იმის თქმა, რომ მომავალ წელს თქვენი მთავარი მიზანი ჩემპიონთა ლიგის მოგება იქნება?**

- რა თქმა უნდა.

**- უშვებთ იმას, რომ შეიძლება კარიერის ბოლომდე "ბაიერნში" დარჩეთ?**

- არ ვიცი. იმედია, ჩემი კარიერა კიდევ დიდხანს გაგრძელდება. შეიძლება ოდესმე უცხოეთში ძალების გამოცდა გადავწყვიტო, თუმცა უახლოეს წლებს ნამდვილად აქ გავატარებ.

**- ვან ბომელის წასვლის შემდეგ გუნდის ვიცე-კაპიტანი გახდით. კაპიტნობაზე არ ოცნებობთ?**

- ჩემთვის ეს გადამწყვეტი არ არის. გუნდისთვის სარგებლის მოტანა უფრო ძვირად მიღირს, ვიდრე სამკლავურის ტარება.

**- სუპერკლუბებში აკადემიის აღზრდილები იშვიათად მკვიდრდებიან. თქვენ როგორ მოახერხეთ ეს?**

- რაღაც წილად გამიმართლა, რადგან იმ მომენტში გუნდს რამდენიმე ტრავმირებული ჰყავდა. როცა ერთი შანსი გეძლევა, ის აუცილებლად უნდა გამოიყენო, რადგან მეორე შეიძლება აღარც იყოს. მე ასე მოვიქეცი. თუკი დღევანდელ "ბაიერნს" შეხედავთ, მისი აკადემიის აღზრდილ ბევრ ფეხბურთელს აღმოაჩენთ - ბადშტუბერს, ლამს, კონტენტოს, ოტლს, კრაფტს. ტრადიციის შესანარჩუნებლად ეს მნიშვნელოვანია. ჯერ კიდევ იუნიორთა გუნდებში ასპარეზობისას ვიცოდი, რომ ყოველთვის გამარჯვებისთვის უნდა გვეთამაშა. სწორედ იმიტომ ვართ ძლიერები, რომ ამგვარი დამოკიდებულება გაჩვევს წნეხს გულშემატკივრების მხრიდან.

**- "ბაიერნში" საუკეთესო იყო მარიო გომესი, ვინც 28 გოლით ბომბარდირთა დავა მოიგო. არადა, მას მიუნხენში ადაპტაცია საკმაოდ გაუჭირდა.**

- "შტუტგარტში" ის ლიდერი იყო, ეგონა, "ბაიერნშიც" ასე უნდა ყოფილიყო, თუმცა სულ სხვა კატეგორიის კონკურენციას შეეჯახა. მას თამაშის სტილის შეცვლაც კი მოუხდა. ახლა მარიო მეტს მოძრაობს და დაცვასაც უფრო ეხმარება. თუმცა ჩვენ ვიცით, რომ მას სეზონში 28 კი არა, 35 გოლის გატანა შეუძლია. არ გამიკვირდება, თუკი ის ამას მოახერხებს.

**- რით ახსნით "დორტმუნდის" ფენომენს, რომელმაც ჩემპიონატი ბრწყინვალე სტილში მოიგო?**

- ისინი ძალიან კარგად თამაშობენ და... ძალიან ბევრს მოძრაობენ. კარგი ფეხბურთელებიც ჰყავთ – გიოტცე, ბარიოსი, ჰუმელსი. შეიძლება მათ არ ჰყავდეთ სუპერვარსკვლავები, მაგრამ გუნდი საკმაოდ ახალგაზრდულია და შეიძლება რომელიმე ბორუსიელი მომავალში ჩამოყალიბდეს კიდეც ასეთად. ამის მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, რომ "ბაიერნი" მაინც მასზე ძლიერია. ვნახოთ, როგორ ითამაშებს "ბორუსია" ჩემპიონთა ლიგაში. იმედია, ყველაფერი გამოუვათ, რადგან ეს გერმანიის სახელი იქნება. ამას გარდა, დორტმუნდელებისთვის ჩემპიონობა იმასაც შეიძლება ნიშნავდეს, რომ ნაკრებში თავს უფრო დამაჯერებლად იგრძნობენ.

**- მწვრთნელებიდან რომელთან მუშაობა იყო ყველაზე კომფორტული?**

- აუცილებლად უნდა აღვნიშნო სადებიუტო სეზონი ვან გაალის ხელში. ეს მოხდა პირველად ჩემს პროფესიულ კარიერაში, როდესაც საყვარელ პოზიციაზე, საყრდენ ნახევარმცველად მთელი სეზონი ვითამაშე. ლუისთან ურთიერთობამ ბევრი მასწავლა.

**- პირველ სეზონში ლამის ყველაფერი მოიგეთ, მეორეში ყველა ფრონტზე დამარცხდით. რა შეიცვალა?**

- ერთ წინადადებაში ამის ჩამოყალიბება ძნელია. როცა ვეღარ იგებ, საკუთარი თავის რწმენას კარგავ. ხანდახან ისე ვთამაშობდით, რომ ჩვენს მოგებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მეორეში კი თამაშს უიმედოდ ვაგებდით. "ინტერთან" ასე დაგვემართა. გასვლაზე მოვუგეთ, მიუნხენში 60 წუთი ვჯობდით, შესვენებაზე 4:1-ით უნდა გავსულიყავით და ბოლოს რა მოხდა?!

**- ვილაცებს მიაჩნიათ, რომ მეორე სეზონში გუნდი დაიღალა ვან გაალის ავტორიტარული სტილის გამო.**

- ყველას სახელით ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ მე ასეთი განცდა არ მქონია. იონკერის ხელში 4 თამაში მოვიგეთ და ერთხმად ვთქვით, რომ მწვრთნელის გამოცვლა დროული იყო, მაგრამ მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ვან გაალი ძლიერი სპეციალისტია. მეორე სეზონში ქულებს ვერ ვაგროვებდით და ამან თავისი როლი ითამაშა.

**- რას ელით უიპ ჰაინკესისგან?**

- იმედი მაქვს, ის ჩვენ გამარჯვებებსა და ტიტულებს დაგვიბრუნებს. იუპი ძალიან გამოცდილია, რაც დაამტკიცა კიდეც ბოლო სეზონში. თანაც ძალიან წყნარი ადამიანია და ამის გამო ული ჰიონესთან პრობლემა არ შეექმნება (იღიმის).

**- 11 წლის წინ ევრო 2000-ზე გერმანიის ნაკრები უმძიმეს კრიზისში იყო. შემდეგ იქ თქვენი თაობა მივიდა...**

- 2000 წლის ჩემპიონატს შინ ვუყურებდი. შეგრძნებები, რა თქმა უნდა, სევდიანი იყო. 4 წლის მერე მე და ლუკას პოდოლსკი უკვე თავად ვთამაშობდით ევროპის ჩემპიონატზე. მაშინ ჯგუფიდან გასვლა ვერ მოვახერხეთ, მაგრამ მას მერე ნაკრები სულ უფრო და უფრო ძლიერად თამაშობს. იმედია, კიდევ უფრო მოუმატებს, რადგან ბუნდესგუნდში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოჩნდა. ბოლო 2 წლის განმავლობაში ჩვენ ახალგაზრდული (21-წლამდელთა) და იუნიორთა (19-წლამდელთა) ევროპის ჩემპიონატები მოვიგეთ. ჩვენ დიდი მომავალი გვაქვს.

**- ნაკრებში "დორტმუნდის" ბევრი წარმომადგენელი თამაშობს. მათთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**

- არანაირი პრობლემა არ გვაქვს. ეროვნულ გუნდში ხომ ჩვენ ყველანი საერთო საქმეს ვაკეთებთ. ისინი წელს ჩემპიონთა ლიგაში გამოიწვრთნებიან, რაც ნაკრებშიც წაადგებათ. 2012 წლის გუნდის ჩამოსაყალიბებლად ეს ძალიან კარგი იქნება.

**- რა შეცვალეს ნაკრებში კლინსმანმა და ლიოვმა?**

- სიმართლე ვთქვათ, ეს უფრო ლიოვმა გააკეთა. ჩვენ ლამაზი ფეხბურთის თამაში დავიწყეთ და ამისგან სიამოვნებას ვღებულობთ.

**- რატომ იყო კლინსმანი ნაკრებში ასეთი წარმატებული და "ბაიერნში" წარუმატებელი?**

- "ბაიერნი" პირველი კლუბი იყო, რომელსაც ის წვრთნიდა, ნაკრებში კი მას ლიოვი ეხმარებოდა. გუნდის შიგნით ყველას ესმოდა, რომ დამრიგებელი რეალურად სწორედ იოგი იყო. კლინსმანს კი მწვრთნელად მხოლოდ ხალხი მიიჩნევდა.

**- 2010 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი მიულერი გახდა. როგორ შეიძლება 20 წლის ასაკში ასეთ დონეზე თამაში?**

- საქმე ის არის, რომ ის არანორმალურია (იღიმის). სულ ლაპარაკობს, რადიოსავით წამითაც კი არ ჩუმდება. სასტუმროში როცა ყველას სძინავს, კედლის იქიდან მისი ხმა გამოდის. თომასი სასაცილო ბიჭია. გუნდისთვის უმნიშვნელოვანესია მისნაირი ხასიათის მქონე მოთამაშე. ხოლო იმაზე, როგორი ფეხბურთელია, აღარაფერს ვიტყვი.

ამბები


ფათიჰ თერიმი

## გაუმარჯოს იმპერატორს

"გალათასარაის" დამრიგებელი მომავალ სეზონში 57 წლის **ფათიჰ თერიმი** იქნება, გვამცნეს გუშინ თურქულმა ვებგვერდებმა. გეტყვით, რომ "იმპერატორს" როგორც მას სამშობლოში უწოდებენ, მას შემდეგ, რაც 2009 წელს ნაკრების თავკაცობიდან გადადგა, არსად უმუშავია. მან "წითელ-ოქროსფრებთან" 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

თერიმის ანგარიშზეა თურქეთის ჩემპიონატის 4 ოქრო, 2 თასი და 1 სუპერთასი. ამას გარდა, "გალამ" სწორედ მისი ხელმძღვანელობით მიაღწია ყველაზე დიდ წარმატებას ისტორიაში, როცა 2000 წელს უეფას თასის ფინალში "არსენალი" დაამარცხა. თერიმს შესანიშნავი შედეგები ჰქონდა სანაკრებო ასპარეზზეც. მან 1996 წელს პირველად გაიყვანა ეროვნული გუნდი ევროპის ჩემპიონატზე, ხოლო 2008 წელს ამავე ტურნირის ნახევარფინალში გერმანიასთან წააგო და ისიც ბოლო წუთებზე.

## მარსელს სისოკო სურს

"მარსელის" თავკაცმა **დიდიე დეშამმა** "იუვენტუსში" დაწუნებული **მოჰამედ სისოკოს** გადაბირება მოისურვა, - გვამცნობს "გაძეტა დელო სპორტი". 26 წლის მალელმა უკვე რა ხანია, დაადასტურა "ქალბატონის" მიტოვების სურვილი. ამის მიზეზი მისი უთამაშებლობაა. წელს მის ანგარიშზე სულ რაღაც 17 მატჩია. ერთადერთი წინააღმდეგობა, რაც შეიძლება ტრანსფერს წინ აღუდგეს, ფეხბურთელის სახელფასო მადაა. აფრიკელი ფრანგებისთვის წარმოუდგენლად მაღალ ხელფასს ითხოვს.

## ბლოხინის პირველი გაელვება

უკრაინის ნაკრების თავკაცმა **ოლეგ ბლოხინმა** ნაკრების მწვრთნელად დამტკიცების შემდეგ გუნდს პირველად უხმო. გეტყვით, რომ ევრო 2012-ის თანამასპინძლებს 1-ელ ივნისს უზბეკეთთან, ხოლო 6-ში საფრანგეთთან მატჩები ელით. ბუნებრივია, გამოძახებულთა სიას მთელი ქვეყანა მოუთმენლად ელოდა. ეროვნულს დააკლდნენ **პაველ იაკოვენკოს** განკარგულებაში მყოფი 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელები. ალბათ იცით, რომ ახალგაზრდებს მალე ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე უწევთ გამოსვლა. ბლოხინმა მოულოდნელად ნაკრებში 4 ვეტერანი დააბრუნა - ლაპარაკია **ვიაჩესლავ შევჩუკზე, სერგეი ნაზარენკოზე, ანდრეი რუსოლსა** და **სერგეი კრავჩენკოზე**. არიან დებიუტანტებიც: **მაქსიმ კოვალი, ნიკოლაი იშჩენკო**.

გთავაზობთ სრულ შემადგენლობას:

მეკარეები: **ანდრეი პიატოვი** (შახტარი), **ანდრეი დიკანი** (სპარტაკი, მ. რუსეთი), **მაქსიმ კოვალი** (დინამო, კ)

მცველები: **ალექსანდრ კუჩერი, ნიკოლაი იშჩენკო, ვიაჩესლავ შევჩუკი, ვასილი კობინი** (ყველა შახტარი), **ანდრეი რუსოლი, ვიტალი მანძიუკი** (ორივე დნიპრო), **არტემ ფედეცკი** (კარპატი)

ნახევარმცველები: **ოლეგ გუსევი** (დინამო, კ), **რუსლან როტანი, სერგეი ნაზარენკო, სერგეი კრავჩენკო** (ყველა დნიპრო), **იგორ ხუდობიაკი, დენის კოჟანოვი** (ორივე კარპატი), **დენის ოლეინიკი** (მეტალისტი), **ანატოლი ტიმოშჩუკი** (ბაიერნი, გერმანია)

თავდამსხმელები: **ანდრეი შევჩენკო, არტემ მილევსკი** (ორივე დინამო, კ), **მარკო დევიჩი** (მეტალისტი), **ევგენი სელეზნიოვი** (დნიპრო), **ანდრეი ვორონინი** (დინამო, მ. რუსეთი).

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**


ოლეგ ბლოხინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არგენტინა. კლაუსურა. XIV ტური

# სუპერკლასიკო და... მასზე უკეთესი

## ბოკა-რივერი: ბაჯო ტრიბუნაზე, კარისოს ტრაგედია, პალერმოს გაბრწყინება, ალმეიდას გაგიჟება

| | |
|---|---|
| **გოდოი კრუსი-კილმესი** | **2:0** |

**გოლები:** 1:0 რამირესი (13), 2:0 ვილიარი (29)

| | |
|---|---|
| **ხიმნასია-ბანფილდი** | **2:0** |

**გოლები:** 1:0 გრაფი (37), 2:0 კაპურო (55)
**გაძევება:** მ. დოს სანტოსი (89. ბანფილდი)

| | |
|---|---|
| **სან ლორენსო-არხენტინოსი** | **1:2** |

**გოლები:** 0:1 ე. ერნანდესი (7), 1:1 რომანიოლი (20), 1:2 ბასუალდო (45)

| | |
|---|---|
| **ოლ ბოისი-არსენალი** | **1:0** |

**გოლი:** 1:0 ჯილიოტი (54)

| | |
|---|---|
| **კოლონი-ურაკანი** | **3:0** |

**გოლები:** 1:0 დ. დიასი (7), 2:0 ფუერტესი (28), 3:0 დ. დიასი (39)

| | |
|---|---|
| **რასინგი-ნიუელსი** | **3:0** |

**გოლები:** 1:0 გუტიერესი (17), 2:0 აველდანო (34), 3:0 გუტიერესი (85)
**გაძევება:** ლემა (63. ნიუელსი)

| | |
|---|---|
| **ესტუდიანტესი-ტიგრე** | **2:2** |

**გოლები:** 1:0 ფერნანდესი (45-პენ), 1:1 ლეონე (51), 2:1 პერესი (59), 2:2 ეჩევერია (74)

| | |
|---|---|
| **ბოკა-რივერი** | **2:0** |

**გოლები:** 1:0 კარისო (28 ს.კ.), 2:0 პალერმო (3[illegible])
**გაძევება:** როდრიგესი (90. ბოკა), ალმეიდა (90. რივერი)

| | |
|---|---|
| **ოლიმპო-ინდეპენდიენტე** | **1:2** |

**გოლები:** 0:1 პარა (48), 0:2 როდრიგესი (88), 1:2 ფურხი (90)
**გაძევება:** დომინგესი (88. ოლიმპო)

| | |
|---|---|
| **ლანუსი-ველესი** | **3:2** |

**გოლები:** 0:1 რამირესი (4), 1:1 იოსი (15), 1:2 რამირესი (28), 2:2 ვალერი (40), 3:2 რომერო (52)



მარტინ პალერმოს უკანასკნელი გოლი სუპერკლასიკოზე

**გთავაზობთ არგენტინის საშემოდგომო პირველობის მე-14 ტურის შეჯამებას. ტური კი მართლაც გამორჩეული იყო „სუპერკლასიკოს“ გამო...**

## ტურის მოვლენები

„სუპერკლასიკო“ თავისთავად უკვე მოვლენაა - „ბოკა ხუნიორსისა“ და „რივერ პლეიტის“ დაპირისპირება უმნიშვნელოვანესი მატჩია, მიუხედავად იმისა, როგორი სატურნირო მდგომარეობა აქვთ ამ კლუბებს. პლანეტის მთავარი დერბის შესახებ მეორე დღეს მედია რადიკალურად განსხვავებულ სტატიებს წერდა. ერთნი თუ აღფრთოვანებულნი იყვნენ დაპირისპირებით, მეორენი ამტკიცებდნენ, რომ „სუპერკლასიკოზე“ ფეხბურთი თითქმის არ იყო. თუმცა მეორე ტაიმში ორივე გუნდმა შემტევი ფეხბურთი აჩვენა და „რივერი“, მიუხედავად იმისა, რომ 0:2 მარცხდებოდა, ერთი წამითაც არ დანებებულა. თუმცა, ვაღიაროთ, „ბოკა“ მაინც უკეთესი გუნდი იყო იმ დღეს „ბომბონერაზე“. სხვათა შორის, ამ თამაშს **რობერტო ბაჯო** დაესწრო, იტალიელი დიდი ხანია გულშემატკივრობს „ბოკა ხუნიორსს“.

ეს იყო ბოლო „სუპერკლასიკო“ „ბოკას“ ვეტერან **მარტინ პალერმოსთვის** - მე-18 და უკანასკნელი და ის გოლით დაემშვიდობა დერბის. ხუთი მატჩიც და პალერმო საბოლოოდ დაგვემშვიდობება, მისთვის ფეხბურთი სრულდება.

„ესტუდიანტესმა“ კლუბის ისტორიაში ანტირეკორდი გაიმეორა - ზედიზედ მე-11 მატჩში ვერ მოიგო. ეს კი 16 წლის წინანდელი „მიღწევაა“. **ბერიცო** ჯიუტად რჩება პოსტზე და, რაც ყველაზე საკვირველია, მას არც „ესტუდიანტესის“ ხელმძღვანელობა აგდებს.

ტურნირის ერთპიროვნულმა ლიდერმა „ველეს სარსფილდმა“ ხელიდან გაუშვა დაწინაურების ბრწყინვალე შანსი, „ლანუსთან“ წააგო და სატურნირო მდგომარეობა გაიუარესა. „ველესს“ ქულით ჩამორჩება „გოდოი კრუსი“, რომელიც ლიდერისგან განსხვავებით, ორ ფრონტზე არ იბრძვის. ამ სენსაციური მოგებით თავად „ლანუსმაც“ შეინარჩუნა ჩემპიონობის შანსი.

„ხიმნასია ლა პლატამ“ 7-მატჩიანი მოუგებელი სერია, როგორც იქნა, შეწყვიტა - „მგლებმა“ „ბანფილდი“ 2:0 დაამარცხეს. ეს მწვრთნელ **დარიო ორტისის** პირველი გამარჯვებაა. „ინდეპენდიენტემ“ კი მოგებით გავარდნის საფრთხე ფაქტობრივად აიცილა თავიდან.

## ტურის ციფრები

სულ 28 გოლი გავიდა, 2,8 საშუალოდ ერთ მატჩში. მასპინძლებმა 20:8 მოიგეს. სამმა ფეხბურთელმა ამ ტურში დუბლი შეასრულა: **დამიან დიასმა** (კოლონი), **ტეო გუტიერესმა** (რასინგი) და **დავიდ რამირესმა** (ველესი). თუკი პირველი ორის გოლებმა თავიანთ გუნდებს გაამარჯვებინა, რამირესის მონადინება ამაო გამოდგა. ახლა ბომბარდირთა დავაში ორი ლიდერია, გუტიერესი „ტიგრეს“ ფორვარდ **დენის სტრაკვალურსის** დაეწია (9-9 გოლი).

## ტურის მატჩი

**ლანუსი-ველესი**

დიახ, ამ ტურში „სუპერკლასიკოზე“ საინტერესო მატჩი ვიხილეთ. მართლაც თვალსასეირო და დრამატული შეხვედრა იყო, რომელშიც მასპინძლები ორჯერ აგებდნენ და საბოლოოდ გამარჯვებულები დარჩნენ.

## ტურის გმირი

**დიეგო ვალერი** (ლანუსი): ტურის საუკეთესო და უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში გოლი და საგოლე პასი მიითვალა. ვალერი მართლაც საუკეთესო იყო ორივე გუნდში.

## ტურის სკანდალი

სკანდალი „სუპერკლასიკოს“ არბიტრის, **პატრისიო ლუსტოს** მსაჯობამ გამოიწვია. მან რამდენიმე მომენტში (საეჭვო სიტუაციებში) არ დადო პენალტი მასპინძელთა კარში, რითაც „მილიონარესის“ ფეხბურთელთა წყრომა გამოიწვია. სხვათა შორის, ლუსტოს არც უნდა ემსაჯა ეს შეხვედრა. თავიდან არგენტინაში ყველაზე ავტორიტეტული არბიტრი **ექტორ ბალდასი** დანიშნეს, რომელსაც, მოულოდნელად, ბრმა ნაწლავმა შეუტია.

თამაშის მიწურულს „რივერის“ ვეტერანმა **მათიას ალმეიდამ** სულ დაკარგა თავის კონტროლი და ეჩხუბა ყველასა და ყველაფერს ირგვლივ, რისთვისაც სამართლიანად გააძევეს. **გატუზო** მონაგონია ალმეიდასთან!

## ტურის კურიოზი

საბრალო **ხუან პაბლო კარისო** (რომელიც ესპანური პრიმერადივიზიონიდან გემახსოვრებათ), „რივერ პლეიტის“ მეკარემ ასეთ მატჩში უდიდესი შეცდომა დაუშვა - „ბოკა“ კუთხურს აწოდებდა, როცა ჩაწოდებული, გამოტანის მაგივრად საკუთარ კარში შეაგდო. სასტიკად არ გაუმართლდა „რივერის“ მართლაცდა კარგ კარის დარაჯს.

## ტურის გოლები

**პატრისიო როდრიგესი** (ინდეპენდიენტე): გუნდის მეორე გოლი „ოლიმპოს“ კარში.

**ლეანდრო რომანიოლი** (სან ლორენსე): გოლი „არხენტინოს ხუნიორსის“ კარში.

**ემანუელ ჯილიოტი** (ოლ ბოისი): გამარჯვების გოლი „არსენალის“ კარში.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ველესი | 14 | 8 | 3 | 3 | 27-14 | 27 |
| 2. გოდოი კრუსი | 14 | 8 | 2 | 4 | 26-21 | 26 |
| 3. ლანუსი | 14 | 6 | 5 | 3 | 19-13 | 23 |
| 4. ოლიმპო | 14 | 6 | 4 | 4 | 25-20 | 22 |
| 5. რასინგი | 14 | 7 | 1 | 6 | 21-16 | 22 |
| 6. არხენტინოსი | 14 | 5 | 7 | 2 | 12-8 | 22 |
| 7. რივერი | 14 | 6 | 4 | 4 | 11-10 | 22 |
| 8. ბოკა | 14 | 6 | 3 | 5 | 16-15 | 21 |
| 9. ტიგრე | 14 | 5 | 5 | 4 | 20-18 | 20 |
| 10. კოლონი | 14 | 6 | 2 | 6 | 17-19 | 20 |
| 11. სან ლორენსო | 14 | 5 | 4 | 5 | 16-12 | 19 |
| 12. ინდეპენდიენ. | 14 | 4 | 7 | 3 | 19-16 | 19 |
| 13. ესტუდიანტესი | 14 | 5 | 4 | 5 | 14-15 | 19 |
| 14. ოლ ბოისი | 14 | 5 | 4 | 5 | 11-14 | 19 |
| 15. ბანფილდი | 14 | 5 | 3 | 6 | 15-19 | 18 |
| 16. ხიმნასია | 14 | 3 | 6 | 5 | 15-18 | 15 |
| 17. არსენალი | 14 | 3 | 5 | 6 | 18-19 | 14 |
| 18. კილმესი | 14 | 3 | 4 | 7 | 18-23 | 13 |
| 19. ურაკანი | 14 | 2 | 5 | 7 | 14-27 | 11 |
| 20. ნიუელსი | 14 | 2 | 2 | 10 | 13-30 | 8 |

**ბომბარდირები:** 9 - სტრაკვალურსი (ტიგრე), გუტიერესი (რასინგი); 8 - კამპორა (ურაკანი); 7 - ფუერტესი (კოლონი); 6 - ბარეირო (ოლიმპო), ვალერი (ლანუსი), ობოლო (არსენალი), რამირესი (ველესი).

**მომდევნო ტური**

20 მაისი: **ნიუელსი-ოლ ბოისი, ბანფილდი-გოდოი კრუსი.**

21 მაისი: **ტიგრე-ლანუსი, არხენტინოსი-ოლიმპო, ურაკანი-ესტუდიანტესი, ინდეპენდიენტე-კოლონი.**

22 მაისი: **კილმესი-რასინგი, ველესი-ხიმნასია, რივერი-სან ლორენსო, არსენალი-ბოკა**

● სატრანსფერო სპეკულაციები



ფორლანისა და აგუეროს დუეტი დაიშლება

# ვინ, საით?

## 7 ესპანური ჭორ-მართალი

**ესპანეთის ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა, თუმცა უკვე გაიხსნა სატრანსფერო სპეკულაციების „სეზონი“. შეგახსენებთ, რომ სატრანსფერო ფანჯარა ოფიციალურად 1 ივლისს გაიხსნება, თუმცა მანამდე შეიძლება ბევრი რამ გაირკვეს და გადაწყდეს. თუნდაც, დორტმუნდიდან ნური შაჰინის ამბავი გავიხსენოთ. ახლა კი იმ სატრანსფერო სიახლეებზე მოგიყვებით, რომლებიც ესპანურ მედიაშია აქტუალური.**

**1.** მადრიდის „ატლეტიკოს“ არგენტინელი თავდამსხმელი **სერხიო აგუერო** ყველაზე მსუყე სატრანსფერო ლუკმად მიიჩნევა. 22 წლის აგუეროს ძალიან ბევრ კლუბთან აკავშირებენ, მაგრამ ყველაზე ხშირად ტურინის „იუვენტუსს“ და მადრიდის „რეალს“ ახსენებენ. არადა, აგუეროს 2014 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი „ატლეტიკოსთან“ და სულ რაღაც ერთი კვირის წინ თავად ფეხბურთელმა თქვა, რომ „ვისენტე კალდერონზე“ სურს დარჩენა. ესეც არასაკმარისი გამოდგა. ამიტომ, „ატლეტიკოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა **მიგელ ანხელ ხილ მარინმა** გუშინ ოფიციალურად განაცხადა, რომ კლუბი აგუეროს არ ყიდის. დაუსვამს თუ არა ეს წერტილს სპეკულაციებს, დრო გვიჩვენებს.

**2.** ისევ „ატლეტიკოს“ თავდამსხმელი - **დიეგო ფორლანი**, თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის გუნდიდან წავა. საქმე იმაშია, სად? ბოლო კვირაში ყველაზე აქტუალური თურქული „ბეშიქთაში“ იყო, თუმცა თურქებს კონკურენტი პლანეტის სულ სხვა მხრიდან, ბრაზილიიდან გამოუჩნდათ - „გლობსპორტი“ იუწყება, რომ „ფლამენგო“ დაინტერესებულია მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელის შეძენით. ფორლანი „ტოტენჰემსაც“ სურს.

**3.** „ბარსელონას“ ახალგაზრდა ფორვარდმა **ბოიან კრკიჩმა** ვერც ამ სეზონში მოახერხა „ბლაუგრანას“ შემტევი ტრიოს ძირითადი ფეხბურთელი გამხდარიყო. **პედრო-მესი-ვილიას** ტრიოს 20 წლის ბოიანმა ძვრა ვერ უყო. ამიტომ, მას უკვე ხშირად აკავშირებენ სხვა კლუბებთან. ბოლო სიახლე „სპორტმა“ შემოგვთავაზა - თურმე ბოიანის ხილვა „მესტალიაზე“ სურთ, რათა ის **რობერტო სოლდადოს** შეუწყვილონ. კრკიჩის ტრანსფერს ინგლისის მიმართულებითაც ვარაუდობენ.

**4. როისტონ დრენტეს** იჯარა „ერკულესში“ სრულდება და ის „სამეფო კლუბს“ უბრუნდება, მაგრამ ჰოლანდიელს **ჟოზე მოურინიო** სულაც არ ელის. ასე რომ, „ტუტოსპორტის“ ინფორმაცია, რომ მას „იუვენტუსი“ ეპატიჟება, არ უნდა იყოს მთლად ჰაერიდან მოტანილი.

**5. კაკა** „მილანში“ - იტალიური მედიის საყვარელი თემაა. ვფიქრობთ, მხოლოდ მედია არაფერ შუაშია და „მილანი“ მართლაც იყო მისი დაბრუნებით დაინტერესებული, მაგრამ, ალბათ, იყო და აღარაა. ახლა ბრაზილიელს ინგლისში გადასვლას უწინასწარმეტყველებენ, რაც დედამისის მიერ „ტვიტერზე“ დაწერილმა ფრაზამ ააგორა. თავად კაკამ კი ორი დღის წინ განაცხადა: „რეალში“ ვრჩები! ვნახოთ, რა მოხდება სინამდვილეში.

**7.** „ერკულესის“ ფრანგი ფორვარდის, **დავიდ ტრეზეგეს** აგენტი პირდაპირ აცხადებს, რომ მისი კლიენტისთვის საუკეთესო გამოსავალი (მოგეხსენებათ, ვალენსიური კლუბი პრიმერადივიზიონიდან გავარდა) კარიერის იტალიურ „ნაპოლიში“ გაგრძელება იქნება.

**8.** თურქეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი „ტრაბზონი“ „სევილიას“ ნახევარმცველ **დიდიე ზოკორას** უმიზნებს. თურქებს 30 წლის ზოკორას სანაცვლოდ დაახლოებით 8 მილიონ ევროს გადაუხდიან, დაახლოებით იმდენს, რაც მასში „სევილიამ“ 2009 წელს „ტოტენჰემს“ გადაუხადა კოტდივუარელში.

● ბარსელონა

## ბარსაა თუ ოლ ბლექსი

გუშინ ესპანეთის ჩემპიონმა „ბარსელონამ“ 2011/12 წლების სეზონის სათამაშო ფორმის პრეზენტაცია მოაწყო. ჩვენ უკვე შემოგთავაზეთ საშინაო ფორმის ესკიზები, რომლებიც „ფეისბუქზე“ ოფიციალურ პრეზენტაციამდე გაჩნდა. მაშინვე ითქვა, რომ „ბარსას“ საგარეო ფორმა შავი ფერის იქნებოდა და მართლაც, გუნდის კაპიტანმა **კარლეს პუიოლმა** მთლიანად შავი ფორმა წარმოგვიდგინა (შავია მაისური, ტრუსი და წინდაც).



პუიოლი ახალი ფორმის პრეზენტაციაზე

## დასწრება გაიზარდა

„ბარსელონას“ ოფიციალური საიტის მიხედვით, წლევანდელ სეზონში „კამპ ნოუზე“ საშუალო დასწრებამ 79 390 ათასი კაცი შეადგინა მატჩზე. ეს კი შარშანდელ შედეგზე 2,7%-ით მეტია. შარშანდელი მაჩვენებელი 77 033 იყო - შთამბეჭდავი მატებაა. 80-ათასიან ნიშნულს „კამპ ნოუზე“ დასწრება სეზონში 9-ჯერ (19-დან) გადასცდა. ყველაზე მეტი გულშემატკივარი კი „ელ კლასიკოს“ დაესწრო ნოემბერში, როცა „ბარსამ“ „რეალი“ 5:0 გაანადგურა - 98 255. ამის შემდეგ ყველაზე დიდი დაინტერესება კატალონიაში „ესპანიოლისა“ (89 994) და „ვალენსიას“ (87 975) ვიზიტებმა გამოიწვია.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## უცხოური ფეხბურთი

● ბაიერნი

# პაინკესს კლოზე სჭირდება!

## მირო კი ორწლიან კონტრაქტს ითხოვს



მიროსლავ კლოზე

**დარჩება** თუ არა **მიროსლავ კლოზე** „ბაიერნში“, ეს ამ დღეებში უნდა გადაწყდეს. როგორც იცით, 32 წლის თავდამსხმელს მიუნხენურ კლუბთან კონტრაქტი ივნისის ბოლოს უმთავრდება, ახალი ხელშეკრულება მისთვის დღემდე არავის შეუთავაზებია. რეკორდმაისტერის ხელმძღვანელები კლოზეს მომავლის შესახებ კომენტარს აქამდე არ აკეთებდნენ, გუშინ კი „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** თქვა, ამ დღეებში მიროს დაველაპარაკებით და ყველაფერს გავარკვევთო.

ვითარება გუნდის მომავალი მწვრთნელის, **იუპ ჰაინკესის** მიუნხენში ვიზიტმა შეცვალა. „ბილდის“ ინფორმაციით, „დონ იუპმა“ მიუნხენური გრანდის ბოსებს უთხრა, კლოზე მჭირდებაო, რის შემდეგაც, რუმენიგემ და ჰიონესმა მიროსთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება გადაწყვიტეს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, კლოზე მხოლოდ ორწლიანი კონტრაქტის გაფორმებაზე იქნება თანახმა, რუმენიგეს და ჰიონესს კი, სავარაუდოდ, მისთვის მხოლოდ ერთწლიანი ხელშეკრულების გაფორმება სურთ.

„ბაიერნის“ ყოფილი დამრიგებლის, **ლუის ვან გაალისგან** განსხვავებით, ჰაინკესი როტაციის მოყვარული მწვრთნელია და რაკი თქვა, რომ კლოზე სჭირდება, მისთვის ორწლიანი კონტრაქტის გაფორმებასაც მოითხოვდა. იმ შემთხვევაში, თუ მირო და შეფები ვერ მორიგდებიან, ტურინის „იუვენტუსი“ და „ვალენსია“ მზად არიან, გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი ხელში უფასოდ ჩაიგდონ.

კლოზესთან ერთად, მიუნხენიდან აბარგების უპირველესი კანდიდატია 28 წლის თურქი ნახევარმცველი **ჰამით ალთინთოფიც**, რომელსაც მადრიდის „რეალში“ ეპატიჟებიან. „ბილდი“ წერდა, რომ მას უკვე შეხვდნენ **მესუთ იოზილი** და „რეალში“ ახლახან გადასული **ნური შაჰინი** და მადრიდული გრანდის შესახებ ბევრ კითხვაზე უპასუხეს. გაირკვა, რომ ჰამითის გადაბირება ინგლისურ „ლივერპულსაც“ უნდა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ინგლისელები ალთინთოფს ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას აძლევენ.

● მიონხენგლადბახის ბორუსია

# როისი: არსადაც არ მივდივარ!

## გაისად მარკო 18 მილიონი ეღირება...

**მიონხენგლადბახის** „ბორუსიას“ 21 წლის გარემარბი **მარკო როისი** ამ სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი აღმოჩენაა – მის ანგარიშზე 10 გოლი და 9 საგოლე პასია. უსწრაფესმა და ძალიან ტექნიკურმა ფლანგის ნახევარმცველმა მთელი სეზონის განმავლობაში იმდენად კარგად ითამაშა, რომ არაერთ გრანდს გაუჩნდა მისი ყიდვის სურვილი. „ბოხუმთან“ პირველი სარელეგაციო მატჩის წინ, რომელიც დღეს გაიმართება და რომელშიც ბუნდესლიგის საგზური დევს სასწორზე, მარკომ თქვა, რომ მომდევნო სეზონსაც აუცილებლად „გლადბახში“ გაატარებს – მნიშვნელობა არ აქვს, დარჩება თუ არა გუნდი პირველ ბუნდესლიგაში. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მომავალი ზაფხულისთვის როისის კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც, მარკოს ყიდვა მხოლოდ საკმაოდ დიდი თანხის გადახდის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი.



მარკო როისი გლადბახის ერთგულია

*„მნიშვნელობა არ აქვს, როგორ დამთავრდება „ბოხუმთან“ პლეი ოფის შეხვედრები, „გლადბახში“ ვრჩები. მეორე ბუნდესლიგაშიც რომ აღმოვჩნდეთ, აქედან მაინც არ წავალ,“* - ამბობს როისი „შპორტ-ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

„ბილდის“ ცნობით, მის კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც, 2012 წლის ზაფხულში, მარკოს მსურველმა კლუბმა „გლადბახს“ 18 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს. 2013 წელს, ეს თანხა 15 მილიონამდე შემცირდება, 2014 წელს კი 12-მდე. ამ ზაფხულისთვის კი, მიონხენგლადბახელებსა და როისს ხელშეკრულებაში არანაირი პუნქტი არ აქვთ ჩადებული. „გლადბახის“ მენეჯერ **მაქს ებერლის** თქმით, ამ ზაფხულს როისის გაყიდვა კატეგორიულად გამორიცხულია.

● ტრანსფერი

# დორტმუნდმა ლომი იყიდა!

## კრის ლიოვემ ხემნიტციდან პირდაპირ ჩემპიონებში ამოყო თავი



კრის ლიოვე

**გერმანიის** ჩემპიონმა დორტმუნდის „ბორუსიამ“ ერთ-ერთი უმთავრესი საკადრო პრობლემა მოაგვარა: მას მერე, რაც გაირკვა, რომ ბრაზილიელი **დედე** გუნდს დატოვებდა, ცხადი გახდა, რომ BVB-ს მომავალი სეზონისთვის აუცილებლად დასჭირდებოდა ახალი მარცხენა მცველი, რადგან **იურგენ კლოპის** განკარგულებაში ამ პოზიციის მხოლოდ ერთი წარმომადგენელი (**მარსელ შმელცერი**) რჩებოდა. ახლა კი პრობლემა უკვე მოგვარებულია: გუშინ „ბორუსიამ“ რეგიონალლიგის წარმომადგენელი „ხემნიტცის“ ახალგაზრდა მარცხენა გარემარბ **კრის ლიოვეს** ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

22 წლის ლიოვე (Loewe ქართულად ლომს ნიშნავს) ყველასათვის უცნობი ფეხბურთელია, მაგრამ როგორც ირკვევა, კლოპი მას დიდხანს აკვირდებოდა და დარწმუნდა, რომ ეს უკანასკნელი „ბორუსიაში“ თამაშის ღირსია. ლიოვეს მარცხენა ფლანგზე ნებისმიერი ფუნქციის შესრულება შეუძლია – მარცხენა მცველობაც ეხერხება და ნახევარმცველობაც. კლუბებს სატრანსფერო თანხა არ გაუხმაურებიათ, თუმცა ფაქტია, რომ დორტმუნდი ყველასათვის უცნობ მოთამაშეში დიდ თანხას არ გადაიხდიდა.

**მორიტც ლაიტნერის** (მიუნხენ 1860-დან) და **ილქაი გიუნდოგანის** (ნიურნბერგიდან) შემდეგ, კრის ლიოვე გერმანიის ჩემპიონის რიგით მესამე ახალწვეულია.

● ამბები



იოახიმ ლიოვი (მარცხნივ) და ბასტიან შვაინშტაიგერი

### შვაინის გარეშე?

**დიდი** შანსია, რომ უახლოეს მატჩებში გერმანიის ნაკრებს ერთ-ერთი უმთავრესი მოთამაშე, **ბასტიან შვაინშტაიგერი** ვერ დაეხმაროს. როგორც იცით, 29 მაისს ბუნდესგუნდი ურუგვაისთან ტესტ-მატჩს ატარებს, 3 და 7 ივნისს კი, ავსტრიასთან და აზერბაიჯანთან ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები აქვს.

„ბაიერნის“ სამედიცინო შტაბმა მხოლოდ ახლა გაახმაურა, რომ 26 წლის შვაინშტაიგერს ბუნდესლიგის 31-ე ტურში საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიუღია, ბოლო ტურებში კი ტკივილგამაყუჩებლებით თამაშობდა. *„ბასტიანის ტრავმის შესახებ განზებ არაფერი ვთქვით, რადგან დიდი იყო იმის შანსი, რომ მასთან სპეციალურად ეუხეშათ და ტრავმა უფრო დამძიმებულიყო,“* - ეს მიუნხენური კლუბის პრესმდივნის, **მარკუს ჰიორვიკის** განცხადებაა.

### ვერდერმა ექიჩი გაიფორმა

**როგორც** მოსალოდნელი იყო, ბრემენის „ვერდერმა“ მიუნხენის „ბაიერნის“ ახალგაზრდა ნახევარმცველი **მეჰმეთ ექიჩი** გადაიბირა. თურქეთის ნაკრების 20 წლის ფეხბურთელი ამ სეზონში რეკორდმაისტერიდან „ნიურნბერგში“ იყო განათხოვრებული და ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა (32 მატჩი, 3 გოლი). მიუხედავად ამისა, „ბაიერნის“ ძირითად შემადგენლობაში თამაშის პერსპექტივა არ ჰქონდა, რის გამოც, ბავარიელებმა მისი საბოლოოდ გასხვისება გადაწყვიტეს და ნიჭიერი ნახევარმცველი „ვერდერს“ დაუთმეს. ექიჩიმ ბრემენულ კლუბთან კონტრაქტი 2015 წლამდე გააფორმა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ვერდერს“ მეჰმეთი ხუთი მილიონი ევრო დაუჯდა.

### ჩუპო-მოტინგი მაინცელია!

**ევროპის** ლიგის საგზურის განაღდებისა და სეზონის ძალიან წარმატებით დამთავრების შემდეგ, „მაინცმა“ მომავალი სეზონისთვის ზრუნვა დაიწყო და პირველი ტრანსფერი განახორციელა. კარნავალელებმა „ჰამბურგიდან“ თავდამსხმელი **ერიკ-მაქსიმ ჩუპო-მოტინგი** გადაიბირეს. აღსანიშნავია, რომ „მაინცმა“ კამერუნის ნაკრების 22 წლის ფეხბურთელი ხელში უფასოდ ჩაიგდო (ჰამბურგთან კონტრაქტი დაუმთავრდა) – ჩუპო-მოტინგმა **თომას ტუხელის** გუნდთან სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

*„ერიკი ძალიან კარგი, ზუსტად ის ფეხბურთელია, რომელიც გვჭირდება და შეგვეფერება. მას წინა ხაზზე ყველა პოზიციაზე შეუძლია თამაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი გუნდის პოტენციალს მნიშვნელოვნად გაზრდის,“* - ეს „მაინცის“ თავკაც ტუხელის სიტყვებია.

● ინტერვიუ. კევინ გროსკროიტცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავი ზღაპარში მგონია

## ჩემპიონთა ლიგაში ჩვენნაირი სულისკვეთების მქონე მეტოქე მინდა: ნაპოლი ან სელტიკი

**ცოტა ხნის წინ, კევინ გროსკროიტცი ჯერ კიდევ „ვესტფალენშტადიონის“ სახმრეთ ტრიბუნაზე იდგა ხოლმე, სხვა ფანებთან ერთად, ფეხბურთს კი ძალიან დაბალი დონის გუნდში, „ალენში“ თამაშობდა. 22 წლის შემტევი ნახევარმცველი „დორტმუნდის“ მწვრთნელმა იურგენ კლოპმა აღმოაჩინა და მას BVB-ს ფორმა მოარგო. ამ სეზონში კევინმა 33 მატჩი ჩაატარა, 6 გოლი გაიტანა და 7 საგოლე გადაცემა გააკეთა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის უკვე „ბორუსიას“ ერთ-ერთი ლიდერია. თანაც, გერმანიის ნაკრების ფეხბურთელიც გახდა...**

**- ჰერ გროსკროიტც, დორტმუნდში დაიბადეთ და დორტმუნდში გაიზარდეთ, ბავშვობაში აუტების დროს „ვესტფალენშტადიონზე“ ბურთის მიმწოდებელი იყავით, მერე კი სახელგანთქმულ სამხრეთ ტრიბუნიდან ქომაგობდით BVB-ს. დღევანდელი შემადგენლობიდან, გუნდში ყველაზე ნაღდი დორტმუნდელი თქვენ ხართ. როგორ იზეიმეთ ჩემპიონობა? გუნდის წარმატება დაახლოებით ნახევარმა მილიონმა ფანმა აღნიშნა...**

- ასეთი რამ გერმანიაში მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ჩემპიონი „ბორუსიაა“ ხოლმე. BVB-ს ყველაზე ერთგული ფანები ჰყავს და ამ მხრივ ვერასდროს ვერავინ გვაჯობებს. ეს ზღაპრული დღეებია.

**- ათასობით გულშემატკივარმა ჩემპიონების ახლოს ნახვა ვერ შეძლო, რადგან ქუჩებში 450 000-ზე მეტი ფანი გამოვიდა, თქვენ კი ყველგან ვერ მიხვედით.**

- ვფიქრობ, უკმაყოფილო არავინ დარჩენილა. ყველასთან მისვლა მართლა შეუძლებელი იყო, მაგრამ არა უშავს, ავტოგრაფების ჩამორიგებას სხვა დროსაც მოვასწრებთ.

**- ორი-სამი წლის წინ წარმოგედგინათ, რომ „ბორუსიას“ ფეხბურთელის რანგში გერმანიის ჩემპიონი გახდებოდით?**

- ცხადია, ამას ვერ წარმოვიდგენდი. პირველ რიგში იმიტომ, რომ მაშინ ყველასათვის უცნობი ფეხბურთელი ვიყავი და მხოლოდ ოცნების დროს თუ ვიფიქრებდი იმას, რომ ერთხელაც BVB-ს მოთამაშის რანგში ჩემპიონობას ვიზეიმებდი. ორი წლის წინ მე თვითონ მხოლოდ გულშემატკივარი ვიყავი, ფეხბურთს კი მეორე და მესამე ბუნდესლიგებში, „ალენის“ ფორმით ვთამაშობდი. ხომ გეუბნებით, ჩემს შემთხვევაში მოვლენები მართლა ისე განვითარდა, როგორც ზღაპრებში ხდება ხოლმე.

**- გიხარიათ, შვებულება რომ დაიწყო?**

- რა თქმა უნდა, რადგან ძალების აღდგენაა საჭირო. მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშებთ და იქაც ძალიან კარგად უნდა ვიასპარეზოთ. ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებაც გვინდა.



კევინ გროსკროიტცი

**- ახლა ჩემპიონები ხართ და ცხადია, რომ მომდევნო სეზონში უმძიმესი წნეხის ქვეშ მოექცევით...**

- პირადად მე არ მახსოვს სეზონი, როცა „დორტმუნდი“ წნეხის ქვეშ არ იყო. კარგია, რომ ფანები გვენდობიან. მათ იციან, რომ თავს არც ერთი ჩვენგანი არ დაზოგავს, ეს კი ყველაზე მთავარი რამაა.

**- ჩემპიონთა ლიგაში უდიდესი გამოწვევის წინაშე დადგებით. უკვე იცით, რომელ გუნდებთან ერთად გსურთ ჯგუფში მოხვედრა?**

- ყველაზე დიდი სიამოვნებით იქ ვთამაშობ, სადაც სტადიონზე ბევრი ფანი მოდის და იდეალური საფეხბურთო ატმოსფერო იქმნება. აქედან გამომდინარე, მინდა, რომ მაგალითად, „ნაპოლისთან“ ან გლაზგოს „სელტიკთან“ ერთად მოვხვდეთ. სამწუხაროდ, „ლივერპული“ ჩემპიონთა ლიგაში არ იასპარეზებს, თორემ პირველ რიგში ამ გუნდთან თამაშს მოვინდომებდი. არა უშავს, სამაგიეროდ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგაც სიამოვნებით ვითამაშებთ.

**- ამ სეზონში „ბორუსია“ ევროპის ლიგაზე ასპარეზობდა და ვინც თქვენს მატჩებს უყურა, ფიქრობს, რომ BVB-ს საერთაშორისო ასპარეზზე ბევრის მიღწევა არ შეუძლია. როგორ ფიქრობთ, „რეალთან“ ან „ბარსელონასთან“ დაპირისპირების შემთხვევაში გამარჯვების შანსი არ გექნებათ?**

- ჩემი აზრით, ევროპის ლიგაში უბრალოდ არ გაგვიმართლა. გაიხსენეთ, ყველა შეხვედრაში დომინანტის რანგში ვიყავით, „სევილია“ ათი კაცით მივაჯაჭვეთ საჯარიმოს. უბრალოდ, გოლები ვერ გავიტანეთ და 0:1 წავაგეთ. მოკლედ, მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემპიონთა ლიგაში კარგად ვიასპარეზებთ.

**- ნური შაჰინმა გუნდი დატოვა. რამდენად მტკივნეულია ეს „ბორუსიასთვის“?**

- მე მისი ძალიან კარგად მესმის – ნურის გაკრიტიკება არ შეიძლება. მას შესანიშნავი პერსპექტივა გაუჩნდა და ამაზე უარის თქმას ვერავინ აიძულებდა. რვა წელია, რაც შაჰინს ვიცნობ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან კარგი ადამიანია. ეს „დორტმუნდის“ ქომაგებმაც იციან. მჯერა, „რეალის“ ლიდერი გახდება და ჩვენს სკოლას ასახელებს.

**- არადა, შაჰინი ძალიან ბევრმა ქომაგმა გააკრიტიკა...**

- არა მგონია, რომ მასზე ბევრი იყოს გაბრაზებული. ჩემი აზრით, ვინც ახლა შაჰინს ლანძღავს, ის ფეხბურთის აზრზე არაა. ნაღდი ფანები მას ძალიან აფასებენ და ემადლიერებიან.

**- გუნდს თქვენი უსაყვარლესი ფეხბურთელი, დედეც დატოვებს...**

- დედეზე მე ახალს ვერაფერს ვიტყვი – ყველამ იცის, რამდენად დიდი ადამიანია. ფაქტია, რომ ბრაზილიელი სიკვდილამდე მეყვარება. სხვათა შორის, 9 ივლისს ბრაზილიაში მივყვები. ვამაყობ, რომ მისი მეგობარი ვარ.

**- მომდევნო სეზონში, შესაძლოა, ერთმანეთის წინააღმდეგ თამაში მოგიხდეთ. ამბობენ, დედეს გადაბირება ბერლინის „ჰერტას“ და „ბოხუმს“ უნდათო...**

- ეს ძალიან სამწუხარო იქნებოდა. არ მინდა, რომ დედემ ბუნდესლიგაში რომელიმე სხვა გუნდის ფორმით ითამაშოს. ასე იქნება, თუ ისე, მის ნებისმიერ გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

● მილანი

# პროცესი დაიძრა, ახალი კონტრაქტები მზადდება




ტიაგო სილვას ახალი კონტრაქტი გაუმზადეს

„მილანის" გულშემატკივრები ჯერ კიდევ ზეიმობენ მოგებულ სკუდეტოს, კლუბის მესვეურები კი მუშაობის ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდნენ და ისეთ საქმეს მოჰკიდეს ხელი, რომელიც უკვე კარგა ხანია იტალიურ საფეხბურთო საზოგადოებაში განხილვის საგანია. ლაპარაკია მოთამაშეებთან ხელშეკრულებების გახანგრძლივებაზე, პროცესზე, რომელიც არა და არ დაიწყო და უკვე ბევრი ალაპარაკდა იმის შესახებ, რომ „მილანს" წამყვანი ფეხბურთელები ტოვებენ. უმეტესმეტწილად, ვეტერან ფეხბურთელებზეა საუბარი: **კლარენს ზეედორფზე, ანდრეა პირლოსა** და თვით კაპიტან **მასიმო ამბროზინიზეც** კი. თუმცა, რამდენჯერმე სატრანსფერო ჭორი ახალგაზრდა ფეხბურთელებზეც გავრცელდა, უფრო კი ეს **ტიაგო სილვაზე** ითქმის, რომელიც ინგლისური პრემიერლიგის გუნდებს, „მანჩესტერ სიტის" და ლონდონის 'ჩელსის" სურთ. გუშინ გავრცელებული ინფორმაცია „მილანის" გულშემატკივრებს უთუოდ გაახარებთ - კლუბის მესვეურებმა დაიწყეს ახალ კონტრაქტებზე მუშაობა და სამ ფეხბურთელს უკვე გაუმზადეს კიდეც ხელშეკრულება - ერთი ზემოთხსენებული ტიაგო სილვა გახლავთ, მეორე **მარკ ვან ბომელი**, ხოლო მესამე **ფლავიო რომა**.

„გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვან ბომელს და რომას თითო-თითო წლით შესთავაზებენ თანამშრომლობის გაგრძელებას, აი სილვას კი ხუთწლიან ხელშეკრულებას დაუდებენ მაგიდაზე. პირობების შესახებ ჯერჯერობით საინტერესო არაფერი თქმულა, მაგრამ ცხადია, რომ ბრაზილიელ მცველს როგორც მინიმუმ შეუნარჩუნდება გასამრჯელო. „მილანის" დირექტორთა საბჭოს წარმომადგენლის, **არიედო ბრაიდას** თქმით, კონტრაქტების გახანგრძლივების პროცესი გაგრძელდება:

„ძალიან ბევრი უსაფუძვლო ჭორი გავრცელდა ჩვენს ფეხბურთელებთან დაკავშირებით, რომელთა აბსოლუტურ უმეტესობას სიმართლესთან კავშირი არ აქვს. მესმის, რომ რამდენიმე ფეხბურთელს უმთავრდება ხელშეკრულების ვადა, მაგრამ მათ გახანგრძლივებაზე უკვე ვმუშაობთ და არა მგონია, პრობლემა შეიქმნეს. ტიაგო სილვას მართლაც შევთავაზეთ ახალი კონტრაქტი და ჩემი ინფორმაციით, მზად არის ნებისმიერ დროს მოაწეროს ხელი. ბრაზილიელს პაოლო მალდინის ნაკვალევზე სურს სიარული და ეს ჩვენ ძალიან გვახარებს. რაც შეეხებათ ვეტერან ფეხბურთელებს, ბევრი რამე მასიმილიანო ალეგრიზეა დამოკიდებული, რომელსაც სეზონის დასრულების შემდეგ დაველაპარაკებით და დანარჩენს უკვე მასთან შეთანხმებით გავაკეთებთ. ვფიქრობ, რომ ხელშეკრულებათა გახანგრძლივების პროცესი გაგრძელდება".

ვეტერანებში ზემოთ ხსენებული პირლო, ამბროზინი, ზეედორფი და გნებავთ **ჯენარო გატუიზო** მოიაზრებიან, ფეხბურთელები, რომლებმაც უკან მოიტოვეს საუკეთესო წლები და ძველებურად მაღალ სისწრაფეებზე აღარ ძალუძთ თამაში. თუმცა, იგივე ზეედორფი ერთ-ერთი საუკეთესოა ამ სეზონში და დიდი წვლილი შეიტანა „მილანის" გაჩემპიონებაში. თავად კლარენსი პრესასთან საუბარში **ადრიანო გალიანისთან** გამართული შეხვედრის შესახებ საუბრობს:

*„გალიანის მართლაც შევხვდი და დიდხანს ვისაუბრეთ. ძირითადად განვლილი სეზონი გავიხსენეთ და რა თქმა უნდა, სამომავლო თანამშრომლობასაც შევეხეთ. როგორ სენიორ ადრიანომ მითხრა, პირადად მას ძალიან უნდა ჩემთან კონტრაქტის გახანგრძლივება, თუმცა ყველაფერი სეზონის დასრულების შემდეგ, მასიმილიანო ალეგრისთან მოლაპარაკებით გადაწყდება. ისიც კარგად ვიცი, რომ ალეგრი კარგად არის ჩემ მიმართ განწყობილი და მენდობა, ასე რომ, ჩემი „მილანში" დარჩენის ალბათობა დიდია. თუმცა, ჯერ მაინც არაფერია გადაწყვეტილი და წინასწარ თავს ვერაფერზე დავდებ".*

ცნობილი ამბავია, რომ ზეედორფს ძალიან უყვარს ბრაზილია და გამომდინარე აქედან, სამხრეთ ამერიკიდან არაერთი შეთავაზება მიიღო. კარგა ხანს ლაპარაკობდნენ „კორინთიანსის" შესახებ, ბოლო დროს კი წინა პლანზე „ბოტაფოგოს" ვარიანტმა წამოიწია. მედიაში იმის შესახებაც ითქვა, კლარენსი ამ კლუბის მესვეურებს შეხვდა და მათთან სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწიაო. ჰოლანდიელი ამ ინფორმაციას უარყოფს: *„მორიგი ჭორია, „ბოტაფოგოს" მესვეურებს ნამდვილად არ შევხვედრივარ და თუ ვინმე სხვამ გააკეთა ეს ჩემ მაგივრად, ვერაფერს გეტყვით. ისე კი ვიცი, რომ ჩემით ბრაზილიური კლუბები არიან დაინტერესებულნი და ეს ძალიან სასიამოვნო შეგრძნებაა. თუმცა, ჯერჯერობით „მილანის" ფეხბურთელი ვარ და მსურს კარიერა ამ გუნდში გავაგრძელო".*

უკვე თამამად შეგვიძლია იმაზე საუბარი, რომ მომდევნო სეზონიდან „მილანის" ამუნიციას **ფილიპ მექსე** მოირგებს - ფრანგი უკანახაზელი პრესასთან შემდეგ კომენტარს აკეთებს: *„რომიდან აბარგების გადაწყვეტილება ჯერ კიდევ ზამთარში მივიღე და ვფიქრობ, რომ არც შევცდარვარ. ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონე და მივხვდი, რომ დრო იყო, გარემო გამომეცვალა. პატარა აღარ ვარ და მსურს ტიტულები მოვიგო, რისი შესაძლებლობაც „მილანში" მომეცემა. „როსონერი" მსოფლიო ფეხბურთის აღიარებული გრანდია, ისეთი, როგორიც „რეალი", „მანჩესტერი" და „ბარსელონა" - ასე რომ, შეთავაზებაზე უარს ვერ ვიტყოდი".*

ამასობაში, ნიგერიელი მცველი **ტაიე ტაივოა** მილანში ჩასული და დღე დღეზე „როსონერისთან" სამწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს. 26 წლის მარცხენა მცველს „მარსელთან" უმთავრდება ხელშეკრულების ვადა და ლომბარდიულ გრანდში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადადის. ბუნებრივია, **ადრიანო გალიანის** ეს გარემოება შესანიშნავ ხასიათზე აყენებს. მისი თქმით, ტაივო ბრწყინვალე ფეხბურთელია და გუნდს საგრძნობლად გააძლიერებს.

**ლაშა ნიკლაური**

● ინტერი

# მორატი: უფრო პასტორე, ვიდრე სანჩესი

მიუხედავად იმისა, რომ „ინტერი" ახლოს არის კიდევ ერთხელ მოიგოს იტალიის თასის გათამაშება, სეზონი გუნდისთვის მაინც წარუმატებლად უნდა მივიჩნიოთ. იტალიურ სპორტულ პრესაში აქტიურად ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, თუ ვის გადაბირებას აპირებს ზაფხულში **მასიმო მორატი** და ზოგადად, რა გეგმები აქვს სატრანსფერო პერიოდში. „ნერაძურიში" გადასვლას ძირითადად ორ ფეხბურთელს უწინასწარმეტყველებენ: **ხავიერ პასტორეს** „პალერმოდან" და **ალექსის სანჩესს** „უდინეზედან". მოვუსმინოთ სენიორ მასიმოს:

*„პასტორე და სანჩესი ყველაზე მოთხოვნადი ფეხბურთელები არიან და ბუნებრივია, მათ მიმართ ინტერესი ჩვენც გვაქვს. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ორივეს გადაბირება მოვახერხოთ და არჩევანს ერთ-ერთზე შევაჩერებთ. რომელზე? - სანჩესი ძალიან ძვირია და თუ „უდინეზემ" ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, მისი შეძენა პრაქტიულად შეუძლებელი იქნება. ამიტომ, პასტორეს მიმართულებით ალბათ უფრო აქტიურები ვიქნებით. „პალერმოს" პრეზიდენტმა განაცხადა კიდეც, რომ მზად არის, ხავიერს შეელიოს, რაც მოლაპარაკებებში ჩაბმის სტიმულს გვაძლევს. კიდევ ვის გადაბირებას ვისურვებდი? - ერთია სურვილი და მეორე რეალობა. ჩემი ნება რომ იყოს, აუცილებლად ლიონელ მესმის ვიყიდდი, მაგრამ 10-ბალიანი შეფასებით ამის შანსი ნულია. იგივე შეიძლება ითქვას კრიშტიანო რონალდოსა და ზლატან იბრაჰიმოვიჩზე".*

ამასობაში, სულ უფრო და უფრო ხშირად ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ კლუბს ვეტერანი ფეხბურთელები: **დიეგო მილიტო** და **დეიან სტანკოვიჩი** დატოვებენ. ეს უკანასკნელი გაოცებულია გავრცელებული ჭორებით და შემდეგს აცხადებს: *„არ ვიცი, საიდან ვრცელდება ასეთი ინფორმაციები, მაგრამ ფაქტია, რომ მოლაპარაკებებს არავისთან ვმართავ და არც კლუბის გამოცვ;ლა მაქვს განზრახული. „ინტერში" თავს კომფორტულად ვგრძნობ და მსურს, რომ კარიერა ამ გუნდში დავასრულო. როგორც ვიცი, არც კლუბის მესვეურები არიან ამის წინააღმდეგნი, რაც ძალიან კარგ ხასიათზე მაყენებს. ასე რომ, მილანიდან ჩემი აბარგება პრაქტიკულად წარმოუდგენელია".*

**ლაშა ნიკლაური**




ხავიერ პასტორე

● ევროპის ლიგა. ფინალი

| 18 მაისი. დუბლინი | |
|---|---|
| **პორტუ (პორტუგალია)** | **1** |
| **ბრაგა (პორტუგალია)** | **0** |

**პორტუ (4-3-3):** ელტონი - სეპუნარუ, როლანდო, ოტამენდი, ა. პერეირა - გუარინი (73. ბელუში), ფერნანდო, მოუტინიო - ჰალკი, ფალკაო, ვარელა (79. ჯ. როდრიგესი).

**ბრაგა (4-3-3):** არტური - მ. გარსია, პაულაუ, ა. როდრიგესი (46. კაკა), სილვიო - კუსტოდიო, ვიანა (46. მოსორო), ვანდინიო - ალანი, ლიმა (66. მეიონგი), პაულუ სეზარი.

**გოლი:** 1:0 ფალკაო (44)

**გაფრთხილება:** ელტონი, როლანდო, სეპუნარუ - გარსია, სილვიო, ვიანა, კაკა, მოსორო

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 23-19; **თამაშგარე:** 4-6; **კარში დარტყმა:** 8-9 (6-2); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 45 391



ფალკაოს გოლი

# ფალკაოს ოქროს გასროლა

## განსაკუთრებულის მოწაფის განსაკუთრებული მიღწევა

ის, ვინც მთელი სეზონის განმავლობაში გუნდის ლიდერი იყო, ფინალის გმირიც გახდა - „დუბლინ არენაზე" „პორტუს" და მის 33 წლის მწვრთნელ **ანდრე ვილას-ბოასს** დიდი წარმატება სწორედ კოლუმბიელი **რადამელ ფალკაოს** ერთადერთმა გოლმა მოუტანა - 1:0. ეს ფალკაოს მე-17 გოლი იყო ევროპის ლიგაზე, მე-17 და უმთავრესი.

პირველად, ტურნირის ისტორიაში ტიტულის მფლობელის ვინაობას ორი პორტუგალიური გუნდი არკვევდა, რომელთა სტადიონებს შორის სულ რაღაც 47 კილომეტრია დაშორება. ორივე გუნდი ერთმანეთს ზედმიწევნით კარგად იცნობდა (ერთმანეთში სულ 131-ჯერ უთამაშიათ), რამაც ფინალს უთუოდ დაასვა დაღი.

პირველ ტაიმში **ფრედი გუარინსა** და **ჰალკს** ჰქონდათ მომენტები, მაგრამ „ბრაგა" ხშირად 11 კაცით იყო კედელივით აღმართული დაცვაში. თუმცა 44-ე წუთზე ყველაფერი **ალბერტო როდრიგესის** ცუდ პასს მოჰყვა, რომელიც გუარინმა ჩაჭრა, „პორტუს" ნახევარმცველმა 20 მეტრით წაიწია წინ და საჯარიმოში თავისუფალი ფალკაო მოძებნა, რომელსაც არ გასჭირვებია **არტურის** კარის დალაშქვრა.

**დომინგუშ პასიენსიამ** ეგრევე გამოცვალა შესვენებაზე როდრიგესი, ხოლო შეტევას **მოსორო** დაახმარა, მაგრამ „პორტუს" მხოლოდ ერთხელ, მეორე ტაიმის პირველ წამებზე გაუჭირდა, როდესაც მოსორომ ლამის ყველა მეტოქე მოატყუა იუბილარი გოლკიპერი **ელტონის** (33 წლის გახდა) გარდა. თუმცა მეტი დომინგუშ პასიენსიას ბიჭებმა ვერ მოახერხეს. სხვათა შორის, ეს ამ მწვრთნელის გამოსათხოვარი მატჩი იყო, ის „ბრაგადან" წავიდა.

ასე გახდა ანდრე ვილას-ბოასი ევროთასების მომპოვებელი ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი. მას ახლა სეზონში მესამე ტიტულის მოგებაც შეუძლია, კვირას პორტუგალიის თასის ფინალია, რომელშიც ვილას-ბოასის გუნდი „გიმარაეშს" ხვდება. „პორტუმ" კი ჯილდო (თუ უეფას თასს ვიგულისხმებთ) 2003 წლის შემდეგ დაიბრუნა. სხვათა შორის, მაშინ 12 თვეში **ჟოზე მოურინიომ** გუნდს ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა. ვნახოთ, რას იზამს მისი მოწაფე...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ვიქტორია ჩმილიტე

# ჩმილიტეს ოქროს სიმაღლე

**„შერატონმეტეხიპალასში" გუშინ დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც კონტინენტის თითქმის ყველა უძლიერესი დიდოსტატი მონაწილეობდა.**

თერთმეტტურიანი მარათონი შესანიშნავად განვლო ლიტველმა **ვიქტორია ჩმილიტემ**, რომელმაც წინა 11 ჩემპიონატში სამჯერ (2003, 2008, 2010 წ.წ.) ვერცხლის მედალი მოიპოვა. ბალტიისპირელი მოჭადრაკისთვის თბილისური ბატალიები იღბლიანი აღმოჩნდა - გუშინ რუს **სვეტლანა მატვეევას** დაუზავდა, 11 შესაძლებლიდან 9 ქულა მოაგროვა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, რითაც ოქროს მედალთან ერთად ტურნირის მთავარი ჯილდო - 20 ათასი ევროც დაიმსახურა. ვიქტორიას კონტინენტის ტიტულის მოპოვება ლიტვის პრეზიდენტმა **დალია გრიბაუსკაიტემაც** მიულოცა.

მეწინავენი ბოლო ტურის პარტიებში გუშინ განსაკუთრებული აგრესიულობით არ გამოირჩეოდნენ, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ 12 შეხვედრიდან 10 ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ: ელინა დანიელიანი (სომხეთი)-ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), ანასტასია ბოდნარუკი (რუსეთი)-ტატიანა კოსინცევა (რუსეთი), ბელა ხოტენაშვილი-ანა მუზიჩუკი (სლოვენია), კატერინა ლახნო (უკრაინა)-ქეთევან არახამია-გრანტი (შოტლანდია), ლელა ჯავახიშვილი-ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი), სოფიკო ხუხაშვილი-პია კრამლინგი (შვედეთი), მარია რომანკო (რუსეთი)-ჰოან თან თრანგი (უნგრეთი), ხაიალა აბდულა (აზერბაიჯანი)-ინა გაპონენკო (უკრაინა), ქეთი წანალაშვილი-ნინო ხურციძე. იმ ორ პარტიაში, რომლებიც შედეგიანად დამთავრდა, ქრისტინა-ადელა ფოიშორმა (რუმინეთი) ანა უშენინას (უკრაინა) სძლია, ხოლო ნატალია პოგონინამ (რუსეთი) ნაზი პაიკიძე დაამარცხა. აღსანიშნავია, ისიც, რომ მაკა ფურცელაძემ შავი ფიგურებით მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონ ალექსანდრა კოსტენიუკს მოუგო.

ამდენად, ჩემპიონატზე 16 საპრიზო ადგილი ასე განაწილდა: 1. **ვიქტორია ჩმილიტე,** ლიტვა-9 (ფულადი პრიზი-20 000 ევრო), 2. **ანტოანეტა სტეფანოვა,** ბულგარეთი-8,5 (15 000), 3. **ელინა დანიელიანი,** სომხეთი-8,0 (10 000), 4. **სვეტლანა მატვეევა,** რუსეთი- 8,0 (8000), 5. **ბელა ხოტენაშვილი,** საქართველო-7,5 (6000), 6. **კატერინა ლახნო,** უკრაინა-7,5 (5000), 7. **ლელა ჯავახიშვილი,** საქართველო-7,5 (4000), 8. **ტატიანა კოსინცევა,** რუსეთი-7,5 (3000), 9. **ქეთევან არახამია-გრანტი,** შოტლანდია-7,5 (2500), 10. **ანა მუზიჩუკი,** სლოვენია-7,5 (2000), 11. **ქრისტინა-ადელა ფოიშორი,** რუმინეთი-7,5 (1800), 12. **ანასტასია ბოდნარუკი,** რუსეთი-7,5 (1600), 13. **ნატალია პოგონინა,** რუსეთი-7,5 (1400), 14. **ნადეჟდა კოსინცევა,** რუსეთი-7,0 (1200), 15. **ევგენია ოვოდი,** რუსეთი-7,0 (1000), 16. **პია კრამლინგი,** შვედეთი-7.0 (500). ყველა ამ მოჭადრაკემ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებაც მიიღო. ქართველთაგან 7-7 ქულა მოაგროვეს: 18. ნინო ხურციძემ, 23. სოფიკო ხუხაშვილმა და 24. ქეთი წანალაშვილმა. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები - 28. ნაზი პაიკიძემ, 30. ნანა ძაგნიძემ, 32. მაკა ფურცელაძემ, 33. მერი არაბიძემ, 34. სალომე მელიამ, 36. ნათია ჯანჯღავამ.

გუშინ საღამოს „შერატონში" ევროპის ქალთა მე-12 ჩემპიონატი საზეიმოდ დაიხურა.

**ვაჟა დანელია**

წყალბურთი

# ფინალში ლიგამუსი და თბილისი ითამაშებენ

დასასრულს უახლოვდება წყალბურთელთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც ოთხი გუნდი მონაწილეობს. წრიული პაექრობების შემდეგ გუშინ პლეი ოფში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა „ლიგამუსმა" „ზვიგენებს" 24:8 (6:3, 6:0, 5:3, 7:2) სძლია.

**„ლიგამუსი":** სტრუიჩი, ბაქრაძე (2), შენგელია, პოპოვიჩი, კორდიჩი (3), ხვედელიანი (2), ტაბატაძე, რუსიშვილი (4), რურუა (4), გეგელაშვილი (8), ნიკოლეიშვილი, ჭუმბურიძე, მანძულაშვილი (1).

**„ზვიგენები":** ჩიხლაძე, ალხაზოვი, ქერქაძე, თორდია (1), ბერიშვილი (1), ჟღენტი (1), კანდელაკი (3), ბროლაძე, ჩხეიძე (1), ალიბეგაშვილი (1), გიორგაძე, კიწნურაშვილი, მაჭავარიანი.

მეორე ნახევარფინალში „თბილისი"-„ივერიის" დაპირისპირება თბილისელთა გამარჯვებით 17:10 (5:1, 6:2, 3:4, 3:3) დამთავრდა.

**„თბილისი":** ნამორაძე, ქენქაძე (4), ყავლაშვილი, ჩომახაშვილი, ლაითაძე (3), ბაბუნაშვილი, მანძულაშვილი, ბალათურია (7), ქავთარაძე (2), ჩერქეზიშვილი (1), გოგავა.



**„ივერია":** ფავლენიშვილი, ჩიქვინიძე (3), ბულაძე (2), დავითური, ცანკაშვილი (1), სხილაძე, ქართველიშვილი (2), გელაშვილი, ურუშაძე (2), სულაძე, ქარჩილაძე, პეიტრიშვილი, გოჩიტაშვილი.

ფინალური პაექრობები 20-21 მაისს გაიმართება „ოლიმპიკის" აუზში. 12 საათზე III ადგილისთვის „ზვიგენები" „ივერიას" შეხვდებიან, ხოლო ოქროსთვის 13 საათზე „ლიგამუსი" და „თბილისი" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

**ვაჟა დანელია**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ინტერვიუ რევაზ ლაშხთან

# ჩემპიონის ახალი ტვირთი

## ლაშხმა იცის, რომ ახლა უფრო მეტი მოეთხოვება

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე **რევაზ ლაშხისთვის** (60) წლევანდელი სეზონი იმდენად ფეხბედნიერად დაიწყო, უკეთესს ვერ ინატრებდა - აპრილის დასაწყისში დორტმუნდში ბრწყინვალედ მოიგო ევროპის ჩემპიონატი და ჩვენი ნაკრების ერთადერთი მედალოსანი გახდა. მისი შესაძლებლობები არც აქამდე იწვევდა ეჭვს, თუმცა ნიჭის რეალიზებას ვერაფრით ახერხებდა და „ამოუსვლელ ვარსკვლავად" რჩებოდა. ლამის იყო, ჩამოვწერეთ კიდეც, როცა ერთბაშად იფეთქა და საჭიდაო კაბადონი გაანათა. იმედია, „ვარსკვლავური ავადმყოფობა" არ შეეყრება და ეს წარმატება მხოლოდ გაელვებად არ დაურჩება.

ლაშხი უკვე შეუდგა ვარჯიშს და 10-12 ივნისს თბილისში გასამართი გივი კარტოზიასა და **ვახტანგ ბალავაძის** სახელობის „ოქროს დიდი პრიზისთვის" ემზადება, თუმცა ერთი პრობლემაა - გერმანიის შემდეგ ოპერაცია გაიკეთა და საკმაო დრო გაუცდა. სავარაუდოდ, ის გამოტოვებს ამ ტურნირს. მით უფრო, ნაკრების თავკაცი **ბეგი დარჩია** აცხადებს, რომ მას დაჯავშნილი აქვს ადგილი მსოფლიოს პირველობაზე წამსვლელ გუნდში, მაგრამ ჯერ მაინც დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას - თბილისში ჭიდაობა თავად სპორტსმენის დიდი სურვილია. ვნახოთ, როგორ ფორმაში იქნება ის იმ მომენტისთვის და რა გადაწყვეტილებას მიიღებენ მწვრთნელები...

**- თავდაპირველად თქვენი უახლოესი გეგმების შესახებ გვითხარით, გამოხვალთ თუ არა გივი კარტოზიას სახელობის „ოქროს დიდ პრიზზე"?**

- ამ შეჯიბრებისთვის ნამდვილად ვემზადები, მაგრამ ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებულმა ცხვირის ოპერაცია გავიკეთე, რის გამოც 3-4 კვირა გამიცდა. სულ 3 დღეა, რაც ვარჯიშები განვაახლე და ვნახოთ, ვიქნები თუ არა ფორმაში. არადა, ჭიდაობა ძალიან მინდა. ყველანაირად ვეცდები, მოვასწრო ძალების აღდგენა და ჩემი ქვეყანა, ჩემი ქომაგი კიდევ ერთხელ ვასახელო. დრო გვიჩვენებს, როგორ წარიმართება აღდგენის პროცესი - 3-4 დღეში ამის შეტყობა ძნელია. თან ჯერჯერობით ვერც სერიოზულ დატვირთვებს ვიღებ და საინტერესოა, როგორ მდგომარეობაში იქნება ორგანიზმი დატვირთვების გაზრდის შემდეგ. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ჭიდაობა ძალიან მინდა. სხვა თუ არაფერი, „ოქროს დიდი პრიზი" საქართველოში ტარდება და წარმატებით გამოსვლა ქვეყნის სახელია. გასაგებია, რომ ყველა ტურნირს პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდო, მაგრამ შენს ქვეყანაში გამართული ორმაგად საპასუხისმგებლოა. თანაც, ევროპის მოქმედი ჩემპიონი ვარ და ქომაგი ჩემგან ახლა უფრო მეტს მოითხოვს. ამიტომ მხოლოდ მონაწილეობაც ბევრს არ ნიშნავს - მთავარია, კარგად გამოხვიდე. მოგეხსენებათ, ეს მსოფლიოსთვის შესარჩევი ერთ-ერთი მთავარი ეტაპიცაა, მაგრამ მე იმ ვარიანტის განხილვაც კი არ მინდა, რა მოხდება იმ უმნიშვნელოვანესი პირველობისთვის, თუ ამჯერად ვერ ვიჭიდავებ - ჩემი სურვილი აქ ასპარეზობაა.

**- ევროპის ჩემპიონს მეტს სთხოვენო, თქვით, ამ მხრივ რა შეიცვალა გერმანული წარმატების შემდეგ?**

- გაიზარდა ყურადღება, პოპულარობა, მაგრამ - პასუხისმგებლობაც. ახლა ქომაგი ბევრად უფრო მეტს მოგთხოვს. მას არ აინტერესებს, ოპტიმალურ ფორმაში ხარ თუ არა, მოვლენებს სპორტსმენის გადასახედიდან არავინ აფასებს, ყოველთვის მეორე მხრიდან უყურებენ და არ აინტერესებთ, ტრავმა გქონდა თუ სხვა რამე ობიექტური მიზეზი იყო. ამას ჩვენი ხასიათიც ემატება - მაქსიმალისტები ვართ და მუდამ დიდ შედეგს ვითხოვთ. ევროპის ჩემპიონმა აქ თუ არ იჭიდავა, აქ თუ არ მოიგო, იქ რას იზამს - ასეთია მათი დამოკიდებულება.

თუმცა თბილისში ჭიდაობა და გამარჯვება, უპირველესად, ჩემთვისვეა საჭირო. ქომაგის სიხარული ამის თანამდევი პროცესია - უამისოდ ის არ იქნება.

**- მართლაც გიგრძვნიათ დიდი გამარჯვების ტვირთი. დორტმუნდული წარმატების შემდეგ ეს ასე აშკარად იგრძენით ქომაგთა დამოკიდებულებაში?**

- ყურადღება და პოპულარობა ნამდვილად გაიზარდა, თუმცა ამაში გასაკვირი და უჩვეულო არაფერია. განსაკუთრებული დაფასება მშობლიურ ბორჯომის რაიონში ვიგრძენი, სადაც დიდი შეხვედრა მომიწყვეს. რაიონის ისტორიაში პირველი ევროპის ჩემპიონი ვარ. მართალია, რაიონს ბევრი ცნობილი სპორტსმენი ჰყოლია, მაგრამ ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე აქამდე ოქროს მედალი არავის ჰქონდა მოპოვებული. ამ გამარჯვებამ ქომაგთა რაოდენობა ნამდვილად გაზარდა.

**- ევროპის ჩემპიონატს ახლა რომ აფასებთ, თქვენი აზრით, რამ მიგიყვანათ ამ მოგებამდე და ადრე რა გიშლიდათ ხელს წარმატებით ჭიდაობაში? ისიც საინტერესოა, ეს ჩემპიონობა სამომავლოდ რამდენად დაგეხმარებათ? წინ ხომ ბევრად უფრო ძლიერი და სოლიდური შეჯიბრებები გელოდებათ — მსოფლიოს ჩემპიონატი, ოლიმპიადა.**

- ჩემთვის მთავარი იყო, ფსიქოლოგიური ბარიერი გადამელახა. ადრე სწორედ ეს მიშლიდა ხელს, ახლა კი, ვფიქრობ, ეს პრობლემა დავძლიე და წარმატებაც ამან განაპირობა. ფსიქოლოგიურად ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვებაა. ცხადია, ევროპის ჩემპიონობა კარგი ამბავია, სასიამოვნო შეგრძნებაა, მაგრამ არ ვეკუთვნი იმ კატეგორიას, პოპულარობაზე ფიქრობდეს და წარმატება ამისთვის სჭირდებოდეს. ეს ჩემპიონობა საკუთარ ძალებში დასარწმუნებლად იყო საჭირო და მართლაც მომცა მომავლის იმედი, თუმცა ვიცი, რომ წინ ბევრად ძლიერი შეჯიბრებები მელოდება. გარდა იმისა, რომ ამჯერად არეალიც გაფართოვდება და მსოფლიოს ჩემპიონატზე ევროპელებს სხვა კონტინენტებიდანაც დაემატებიან, ჩემთან საჭიდაოდ უკვე ყველა განსაკუთრებულად მოემზადება. ესეც ჩვეულებრივი ამბავია - გერმანიაში მეც ასე ვიყავი თუნდაც იმავე ჰასან ალიევთან შეხვედრისას. მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ ჩემპიონს თუ ვერ დაამარცხებ, ისე ვერც გაიმარჯვებ და ვერც ვერაფერს მოიგებ. ამიტომ ყველა გაორმაგებული მონდომებით მოემზადება ჩემთან შესახვედრად.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ახლა კარტოზიას ტურნირზე ვფიქრობ, როგორც უახლოეს სტარტზე და არა ისეთ შორეულ შეჯიბრებებზე, როგორიც მსოფლიოს ჩემპიონატი და ოლიმპიადაა. აქედან უნდა მივყვე ეტაპობრივად და ისე მივიდე იმ ტურნირებზე, თორემ ახლავე რომ მათზე ვიფიქრო, ეს არაა ჩემი სტილი.

**- მთავარია, ვარსკვლავური ავადმყოფობა არ შეგეყაროთ და არ იფიქროთ, რაკი ერთხელ მოვიგე, სხვა დროსაც გავიმარჯვებო...**

- ნამდვილად არ მინდა, ამდენი ნაშრომი, ამდენწლიანი წვალება მხოლოდ ევროპის ჩემპიონობით დავასრულო. მერწმუნეთ, ჩემი დიდი სურვილია, უფრო მეტს მივაღწიო სპორტში და ვნახოთ, ღმერთი მოწყალეა.

**ირაკლი თავაძე**


რევაზ ლაშხი მწვრთნელებთან ერთად

მშვილდოსნობა. ევროპის თასი

# ბიჭები ქართულ მშვილდოსნობაში

სომხეთში, ქალაქ ეჩმიაძინში დაიწყო ევროპის ახალგაზრდული თასის გათამაშება მშვილდოსნობაში. ეს ამ რანგის პირველი შეჯიბრებაა მიმდინარე სეზონში და, სახელწოდების მიუხედავად, არა მხოლოდ ახალგაზრდების, არამედ ჭაბუკებისთვისაცაა განკუთვნილი. საქართველოდან იქ სწორედ ჭაბუკები გამოდიან, ახალგაზრდების გაგზავნა კი უფულობის გამო ვერ მოხერხდა.

ცხადია, ფინანსური პრობლემა ძალიან ცუდია, მაგრამ სასიამოვნოა, რომ ბოლო წლებში პირველად, ქართულ მშვილდოსნობაში აქცენტი არა მანდილოსანთა, არამედ მამაკაცთა გუნდზე გაკეთდა - ეს იმის ნიშნად გვესახება, რომ მათაც მოუმატეს შედეგებს და უახლოეს წლებში მათგანაც უნდა ველოდოთ რიგიან საერთაშორისო გამოსვლებს.

სომხეთში ბიჭების ტურნირში ოთხი ქართველი ჩაება, რომლებმაც გუშინ საკვალიფიკაციო ეტაპში იასპარეზეს და 34-კაციან ცხრილში ქვედა ნაწილში განლაგდნენ. ჩვენებურთაგან ყველაზე უკეთ **თორნიკე რიჟამაძე** გამოვიდა, რომელმაც 1232 ქულა დააგროვა და 25-ე ადგილზე გავიდა. მას სულ ცოტათი ჩამორჩა **ირაკლი ქვლივიძე** - 1230 ქულა და 26-ე ადგილი. ასევე ერთმანეთის მეზობლად - 29-30-ე საფეხურებზე განლაგდნენ **ლაშა ფხაკაძე** და **თორნიკე ელოშვილი** - პირველმა 1195 ქულა დააგროვა, მეორემ - 1190.

გოგოებში მხოლოდ ერთი მონაწილე გვყავს, **თეონა კუტალაძე**, თუმცა ამ შეჯიბრებაში ბევრი მონაწილე არცაა - 22 ჩუბინი გამოდის, ჩვენებური კი 1318 ქულით მეშვიდეა. ეს შედეგი საკმაოდ ახლოსაა 1350-იან ოლიმპიურ ნორმატივთან, რაც ამ ასაკის სპორტსმენისთვის კარგი შედეგია.

დღეს ეჩმიაძინში პლეი ოფები გაიმართება. კუტალაძე პირველ წრეში ისვენებს, როგორც მისი მომავალი მეტოქე, ფრანგი **მადისონ შეპერსი**. პირველ წრეში ჩვენი ბიჭებიც ისვენებენ, მეორეში კი რიჟამაძე უკრაინელ **ვალენტინ კუცის** ხვდება, ფხაკაძე - სლოვენიელ **კლემენ სტრაჰარს**, ელოშვილი - პოლონელ **პაველ მარზეჩს**, ქვლივიძე - გერმანელ **მაქსიმილიან ვეკმიულერს**.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენს ბიჭებს მერვე შედეგი აღმოაჩნდათ და პლეი ოფში ხვალ სომხებს გაეჯიბრებიან.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი


სოფიო შაფათავა

# ორი სოფიოს იზმირული დუელი

თურქეთის ქალაქ იზმირის საერთაშორისო ტურნირის (25 ათასი დოლარი) პირველივე წრეში ერთმანეთს ქართველები შეხვდნენ - პირველ ნომრად განთესილმა **სოფიო შაფათავამ** (285) დიდ ბრძოლაში დაამარცხა **სოფიო ქვაცაბაია** (385) - 6:7 (2), 6:3, 6:3. პირველივე რაუნდში წააგო მე-4 ნომრად განთესილმა **თათია მიქაძემ** (308), ვისაც ჩეხმა **ევა ჰრდინოვამ** (377) მოუგო - 6:1, 3:6, 7:5. მეორე წრეში შაფათავა „უაილდ ქარდის" მფლობელ იზმირელ **მელის სეზერს** (917) შეხვდება. წყვილთა ბადეში მე-2 ნომრად განთესილმა ქართულმა დუეტმა (შაფათავა, მიქაძე) იოლად მოუგო სლოვენიელ **იაკუპოვიჩსა** და ებრაელ **ხაზანუკს** - 6:2, 6:0. მეოთხედფინალში ჩვენებურები ბულგარელებს (დები, **იულია** და **ლუტფია ველიევები**) შეხვდებიან.

ამერიკულ ლენდისვილში (10 ათასი დოლარი) მეორე საკვალიფიკაციო წრეში დამარცხდა **მაგდა ოქრუაშვილი,** ჩვენებურმა ხორვატ **ბერნარდა პერასთან** 4:6, 3:5-ზე შეწყვიტა თამაში. მეხიკოში ვაჟთა ტურნირში (10 ათასი დოლარი) მოასპარეზე **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (664) ვერაფერს გახდა ტურნირის პირველ ნომერ მოლდოველ **რომან ბორვანოვთან** (290) - 1:6, 0:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

# წარმატებული სტარტი პარიზში

გუშინ პარიზში დაიწყო „დიდი სლემის" წლის მეორე ტურნირის, საფრანგეთის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ბატალიები. შეგახსენებთ, რომ პირველად ამდენი ხნის შემდეგ ასეთ დიდ ტურნირში ქართველი ძირითად ბადეში ითამაშებს - **ანა ტატიშვილმა** (107) ამის უფლება რეიტინგით მოიპოვა. ბადეში გასვლისთვის კიდევ ერთი ჩვენებური იბრძვის - 20 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** (180).

პირველ წრეში მან ყაზახეთის სახელით მოასპარეზე **ზარინა დიასი** (145) დაამარცხა - 6:4, 6:1. ეს მატჩი „როლან გაროსის" ნომერ 15 კორტზე გაიმართა. მეორე წრეში ოქსანა კანადელ **სტეფანი დუბუას** (146) ხვდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

კალათბურთი. საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი. პლეი ოფი

# დარჩა ოთხი გამორჩეული

**1/4 ფინალი**

**სოხუმი-რუსთავი 104:52**

**23:11, 28:3, 12:16, 41:22**

**სოხუმი:** ჩოჩია (3ქ), მეგენეიშვილი (4ქ), ჩერქეზიშვილი (11ქ, 5პ), თავართქილაძე (3პ), ლომიძე (3ქ), მაჩალაძე (8ქ, 7პ, 13მ, 6ჩ), როგავა (5პ), მეხრიშვილი (11ქ, 10მ), სულაბერიძე (6ქ, 5მ), სანაძე (41ქ), კორძაძე (9ქ, 7მ), ძიძიშვილი (8ქ).

**რუსთავი:** მებურიშვილი, გაგნიძე (2ქ), ქიტოშვილი (2ქ, 3პ), არაბული (13ქ, 9მ, 3ჩ, 2დ), ლორთქიფანიძე (5ქ), ჯ. არაბული (5ქ, 5მ), მაისურაძე (4ქ, 5მ), ოქროჭელიძე, დოლიაშვილი (10ქ), ჭიჭიკოშვილი (3ქ), ფხალაძე, ობგაიძე (8ქ, 6მ)

**თსუ-მაქაბი 122:63**

**44:12, 14:13, 26:22, 38:16**

**თსუ:** კობაიძე (5ქ), სუხაშვილი (7ქ), ს. ლეჟავა (2ქ, 11პ), ახალაია (14ქ, 7მ, 3ჩ), მეტრეველი, გაბისიანი, ორმოცაძე (5პ), ბექაური (32ქ, 11მ, 3პ, 4ჩ), ზ. მაისურაძე (17ქ, 7პ), დეკანოიძე (16ქ), ჩქარეული (27ქ, 6მ, 5პ, 3ჩ), სანაია (2ქ)

**მაქაბი:** კალანდაძე (2ქ), სამნიაშვილი, ლეონიძე, გ. რევაზაშვილი (31ქ, 10მ), ბეშქენაძე (11ქ, 8მ), იაკობაშვილი, ფაჩუაშვილი (5მ, 4პ), ფერიაშვილი (19ქ, 13მ, 4დ)

**სტუ-დინამო 94:70**

**22:7, 18:29, 26:18, 28:16**

**სტუ:** ტეტელაშვილი (2ქ), გურაბანიძე (2ქ), ჩიკვილაძე (18ქ, 5მ), ლომოური (25ქ, 14მ, 4პ), ჭოხონელიძე (8ქ, 6მ), ქევხიშვილი, ლობჟანიძე, ლაშქარაძე (4ქ), დვალიშვილი (16ქ, 18მ), ბაქრაძე (19ქ, 10მ, 6პ)

**დინამო:** ვახანია (14ქ, 8მ, 6პ, 3ჩ), ლომიძე (10ქ), ლ. მინაშვილი (9ქ, 3პ), ოკრიბელაშვილი (16ქ, 6მ), მიმინოშვილი, ალხანაიძე (14ქ, 7მ), შიოლაშვილი (4ქ, 5მ), მაჭარაძე, ჭიჭვეიშვილი (3ქ)

საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატის რეგულარული ეტაპი „ქუთაისმა" მოიგო. შესაბამისად, იმერლებმა პირდაპირ მოიპოვეს ნახევარფინალის საგზური. ხოლო რეგულარულში მეორე-მეშვიდე ადგილებზე გასულმა გუნდებმა მეოთხედფინალური სერიის სამი მატჩი ითამაშეს. გაიმარჯვეს ფავორიტებმა.

სტუ-ში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთბაშად ხუთი კალათბურთელია შეკრებილი: **ბექა ჩიკვილაძე, აკაკი დვალიშვილი, აკაკი ლომოური, გივი ბაქრაძე** და **გიორგი ტეტელაშვილი.** მათგან სამმა მეოთხედფინალში ორმაგი დუბლი შეასრულა და გასაკვირი არ არის, რომ ნახევარფინალის გზაზე სტუ-მ „დინამო" ჩამოიშორა.

არანაკლები შემადგენლობა ჰყავს „სოხუმს", რომელმაც მეოთხედფინალში „რუსთავს" შანსი არ დაუტოვა. პირველი ტაიმის შემდეგ სოხუმელები 51:14-ს იგებდნენ. **დუდა სანაძე** სუპერლიგაშიც გამოირჩეოდა სროლის სიზუსტით, თანატოლებში კი შეუჩერებელია: „რუსთავთან" მატჩში მას 41 ქულის ჩასაგდებად 23 წუთი ეყო - 10-დან 6 ორქულიანი, 11-დან 6 სამიანი და 12-დან 11 საჯარიმო გამოიყენა.

ეფექტური სტატისტიკა ჰქონდა „სოხუმის" ფორვარდ **ზურაბ მაჩალაძეს:** 8 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი, 6 ჩაჭრა (22 წუთში).

20-წლამდელთა ჩემპიონატის კიდევ ერთი ფავორიტია თსუ, რომელმაც „მაქაბის" 122:63 აჯობა. ორივე გუნდს ტანმაღალმა კალათბურთელებმა ულიდერეს: თსუ-ელმა **ბექა ბექაურმა** 32 ქულა და 11 მოხსნა გაიფორმა, მაქაბელმა **გიორგი რევაზაშვილმა** 31 ქულას 10 მოხსნა მიამატა.

ვაჟა სიმონიშვილი

საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატი

# ლიდერებმა განიმტკიცეს

**ავერსი-რუსთავი 76:77**

**15:10, 16:19, 23:20, 22:28**

**ავერსი:** ნადირაძე (12ქ), ა. ბაქრაძე, ნ. ბაქრაძე, იაკობიძე (7ქ), თევზაძე (4ქ), გაბისონია (18ქ, 9მ, 4პ, 5ჩ), სამნიაშვილი, ფეიქრიშვილი (6ქ), კვანტალიანი (21ქ, 11მ), ხეთაგური (8ქ, 6მ)

**რუსთავი:** ქობალავა, ჯაჯანიძე (22ქ, 4პ), ოქროჭელიძე (22ქ, 9მ, 3პ), გაგნიძე (12ქ, 17მ, 6პ, 4ჩ, 2დ), ზედელაშვილი (14ქ, 12მ), წიკლაური, ესებუა (4ქ), არაბული (3ქ, 5მ)

**ქუთაისი-ნაკრები 95 93:71**

**29:13, 17:14, 29:16, 18:28**

**ქუთაისი:** იოსელიანი (2ქ), გრძელიძე (21ქ, 5პ, 5ჩ), გ. იაშვილი (6ქ), ტყაბლაძე (9ქ, 7პ), დ. იაშვილი (2ქ), ბერეკაშვილი, ფხაკაძე (11ქ, 7მ), ცირეკიძე (12ქ, 17მ, 3დ), დვალიშვილი (22ქ, 11მ, 4პ), გოგოძე (8ქ), ნაცვლიშვილი, კუხიანიძე

**ნაკრები95:** ამირხანაშვილი (3პ), ლილუაშვილი (11ქ, 7მ, 6პ, 4ჩ), ჯაყელი (6ქ, 5პ), ქობალავა (2ქ), აბულაძე (12ქ, 4პ), ლომთაძე (2ქ), დარახველიძე (9ქ, 12მ, 3პ), პულუზაშვილი (6ქ, 5მ, 3ჩ, 4დ), ლურწკაია (9ქ, 5მ, 4ჩ), ჭიხვარია (4ქ), კენჭიაშვილი (10ქ)

**თბილისი-სოხუმი 40:121**

**9:33, 15:24, 6:36, 10:28**

**თბილისი:** მაჭავარიანი (7ქ, 7მ), ლ. კერვალიშვილი, თ. კერვალიშვილი (5ქ), გონაძე (2ქ), ბადრიძე, ხუციშვილი, ბიჭაშვილი (21ქ, 8მ), ბრაგვაძე (5ქ)

**სოხუმი:** ჩოჩია (9ქ), გაფრინდაშვილი (4ქ, 4ჩ, 7მ), დოლიძე (6ქ, 3ჩ, 9მ), ძიძიგური (12ქ), რ. როგავა (23ქ, 4პ, 5ჩ), დ. როგავა (6ქ, 3ჩ), გოლეთიანი (22ქ, 3პ), მესხი (9ქ, 14მ), ორმოცაძე (2ქ, 3პ), მეგენეიშვილი (14ქ, 5მ, 4პ)

18-წლამდელთა პირველობაზე რეგულარული ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა. გადახედეთ სატურნირო ცხრილს და ნახავთ, რომ რამდენიმე გუნდს უკვე დადებითად აქვს გადაწყვეტილი მეოთხედფინალში თამაშის საკითხი.

ბოლო ტურის შემდეგ პოზიციები კიდევ უფრო განიმტკიცეს ფავორიტებმა „ქუთაისმა", „სოხუმმა" და „რუსთავმა".

რეგულარული ეტაპი 3 ივნისს დასრულდება.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სოხუმი | 14 | 11 | 3 | 1137/791 | 25 |
| 2. ქუთაისი | 14 | 11 | 3 | 1089/851 | 25 |
| 3. რუსთავი | 13 | 8 | 5 | 995/940 | 21 |
| 4. ავერსი | 12 | 8 | 4 | 911/768 | 20 |
| 5. ნაკრები-95 | 13 | 7 | 6 | 891/879 | 20 |
| 6. ზაზა | 12 | 7 | 5 | 807/845 | 19 |
| 7. ორბი | 14 | 4 | 10 | 962/1085 | 18 |
| 8. ფოთი | 13 | 3 | 10 | 874/1076 | 16 |
| 9. თბილისი | 13 | 0 | 13 | 634/1065 | 13 |

ვაჟა სიმონიშვილი

ლეგიონერი

# ჰოპლა ჰოპსისთან

## ასპროცენტიანი ქართველები

მარტის ბოლოს „ოლიმპიაში" მთავარ მწვრთნელად **იურე ჟდოვჩის** ნაცვლად **მირო ალილოვიჩი** დაინიშნა. თავიდან ვერც ახალმა მწვრთნელმა დააბრუნა გუნდი მომგებიან გზაზე - სლოვენიის ჩემპიონატის აუტსაიდერებთან არაერთი მატჩი წააგო, თუმცა მდგომარეობა ნელ-ნელა გამოასწორა და რეგულარული ეტაპის ბოლოს გუნდს ძველი სახე დაუბრუნა.

ბოლოსწინა ტურში „ოლიმპიამ" „ჰოპსის" უმასპინძლა და გამარჯვების იმედი პირველივე ტაიმში დააკარგვინა - 52:29. საფინალო ანგარიშშიც 23-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა, 85:62.

წარმატებაში ქართველებმა 16-ქულიანი წვლილი შეიტანეს. **გიორგი შერმადინმა** 10 ქულა ჩააგდო, ხოლო **ვლადიმერ ბოისამ** - 6. ახლა, უფრო კონკრეტულად მათ მონაგარზე. შერმადინი: 16 წუთი, 10 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა. ბოისა: 13 წუთი, 6 ქულა, 2 მოხსნა, 1 ჩაჭრა. ორქულიანები ორივემ ასპროცენტიანი სიზუსტით ისროლა: ვოვამ 2-დან 2 ჩააგდო, გიორგიმ - 3-დან 3.

ოლიმპიელთა გამარჯვების მთავარი ფაქტორი ფარქვეშ დამაჯერებელი თამაში იყო - მასპინძლებმა „ჰოპსის" მოხსნებში 35:21 აჯობეს.

*- დაცვაში თამაშით კმაყოფილი ვარ. შეტევისას კი მოთმინებით ველოდით მეტოქის შეცდომებს და წარმატებაც ამან განაპირობა,* - განაცხადა ნამატჩევს მირო ალილოვიჩმა.

13 ტურის შემდეგ „ოლიმპია" მეორე-მესამე ადგილებს იყოფს „ჰელიოსთან". ორივეს 9-9 მოგება აქვს. ბოლო ტურში ოლიმპიელებს რთული ბრძოლა ელით სტუმრად (20 მაისს) კრკა-სთან, რომელსაც სლოვენიის ჩემპიონატში ერთი მატჩიც არ წაუგია. თავის მხრივ, არც „ჰელიოსი" გაისეირნებს იოლად - სტუმრად დაუპირისპირდება „ზლატოროგს", რომელსაც ერთით ნაკლები გამარჯვება და „ჰელიოსის" გადასწრების შანსი აქვს. მოკლედ, სლოვენიის ნახევარფინალისთვის გუნდები 20 მაისს დაწყვილდებიან.

ვაჟა სიმონიშვილი



შერმადინი და ბოისა ჰოპსისთან

ქართველი იტალიაში


ამ ტყორცნამ კანტუს სამი ქულა შემატა

# კანტუმ ვარეზე ჩააქნატუნა

## მანუს 11 22-ში

გუშინ ღამით იტალიის ჩემპიონატის პლეი ოფი დაიწყო. შთამბეჭდავად ითამაშეს „კანტუმ" და „დინამომ". პირველმა შინ „ვარეზეს" 78:53 მოუგო, მეორემ სტუმრად „მილანს" სძლია - 71:70.

საშუალება მქონდა „კანტუ"-"ვარეზეს" დაპირისპირებისთვის პირდაპირ ეთერში მიმედევნებინა თვალი. ნამდვილად არ მეგონა, თუ **მანუჩარ მარკოიშვილის** გუნდი მეტოქეს ასეთ დღეს დააწევდა. თუმცა, როგორც ჩანს, „კანტუს" თავკაცი **ანდრეა ტრინჩიერი** იტალიის ჩემპიონატის რეგულარული ეტაპის საუკეთესო მწვრთნელად შემთხვევით არ დაუსახელებიათ. მისი გუნდი შვეიცარიული საათის გამართული მექანიზმივით მუშაობს... თუმცა, სისწრაფეში საათსაც უსწრებს. „კანტუ" იმდენად გააზრებულად თამაშობდა შეტევაში, რომ ვარეზელები დაცვაში შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ, ხოლო ვიდრე სტუმრები იერიშზე გადავიდოდნენ, კანტუელებს მტკიცე დაცვა გამზადებული ჰქონდათ.

მანუჩარმა გუნდი სათადარიგოთა სკამიდან გააძლიერა, 22 წუთში 11 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. მან 7-დან 3 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. 14-14 ქულა მიითვალეს **მაძარინომ** და **მიკოვმა.** „ვარეზეს" რიგებში 10 ქულას მხოლოდ **სტიპჩევიჩი** ასცდა (14).

თვალშისაცემია კანტუელთა შორეული ტყორცნების რეალიზების მაჩვენებელი - 12-დან 8 სამიანი (66.7%). მასპინძლებმა მეტოქეს მოხსნებშიც გვარიანად აჯობეს - 41:29.

მეოთხედფინალური სერიის (სამ მოგებამდეა) მეორე მატჩი ისევ კანტუში 20 მაისს გაიმართება. დღეს კი **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსი" „მონტეპასკის" ეწვევა, ხოლო **მერაბ ბოქოლიშვილის** „აველინო" „ბენეტონს" უმასპინძლებს.

ვაჟა სიმონიშვილი





## ქართული სპორტი

● სუმო. ნაცუ ბაშო. 8-22 მაისი



# ტოჩინოშინის მე-10 ტრიუმფი

10 გამარჯვება 11 დღეში, ასეთია მე-6 მაეგაშირა **ტოჩინოშინის (ლევან გორგაძე)** მონაგარი ნაცუ ბაშოზე, რომლის დასრულებამდე 4 დღეღა დარჩა. გუშინ ჩვენებურმა ჯანიან **ტოიოჰიბიკის** მოუგო. დაჯახებისთანავე ქართველმა უპირატესობა მოიპოვა, მეტოქის მავაში ხელთ იგდო, ოღონდ არახელსაყრელი პოზიციიდან (შიტატე) უტევდა. ლევანმა მაინც გარისკა, მაგრამ მეტოქემ ქართველის ილეთიც მოიგერია და უკეთესი პოზიციაც მიიღო. ამის შემდეგ ტოჩინოშინმა ტოიოჰიბიკის შეტევა ძლივს შეაჩერა და მაინც განახორციელა ჩაფიქრებული შიტატენაგე.

დღეიდან ტოჩინოშინი რიგით მაეგაშირებს ალბათ აღარ შეხვდება, მისი პირველი სერიოზული მეტოქე 25 წლის მონღოლი კომუსუბი **კაკურიუა**, „წეროგველეშაპი" დიდებულად ასპარეზობს ნაცუ ბაშოზე (8-3). ლევანი აქამდე 4-ჯერ შეხვდა კაკურიუს და მხოლოდ ერთხელ მოუგო. დღეს მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ორთაბრძოლაა.

წაგების უფლება აღარ აქვს ელიტის უმძიმეს ფალავან **გაგამარუს (თეიმურაზ ჯუღელი)**, რომელმაც მე-7 მარცხი მონღოლ ვეტერან **კიოკუტენჰოსთან** იწვნია. დღეს გაგამარუ კვლავ მონღოლს შეერკინება - მე-9 მაეგაშირა **ასასეკირიუს**. **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** კი უკვე დაიბევა უარყოფითი ბალანსი, „შავი ზღვა" კვლავ დამარცხდა და რანგში დაქვეითება ელის, შესაძლოა, დივიზიონიდანაც გააგდონ (ამის შესახებ ზუსტად ბაშოს დასრულების მეორე დღესვე გვეცოდინება).

ბაშოს კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს დაუმარცხებელი დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო**. ამჯერად მონღოლმა სეკივაკე **კოტოშოგიკუ** დაამარცხა. მას კვალში 10-10 მოგებით ტოჩინოშინი და ბრაზილიელი **კაისეი** უდგანან, ხოლო ოძეკი **ბარუტოს** 9 მოგება აქვს. ვფიქრობთ, სხვები საჩემპიონო დავაში ვეღარ ჩაერევიან.

**XI დღე**

**მაკუუჩი:** ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ (იორიკირი), ბარუტო-ოკინოუმი (სუკუინაგე), კაიო-ჰარუმაფუჯი (ჰიკაკე), კისენოსატო-კოტოოშუ (უბრძოლველად), კაკურიუ-ტოჩიოძანი (ოშიდაში), ტოიონოშიმა-კიტატაიკი (იორიკირი), გოეიდო-ჰომაშო (კუბინაგე), ამინიშიკი-არანი (ოშიდაში), ტაკეკაძე-ტამავაში (ოკურიდაში), ტოსაიუტაკა-ვაკანოსატო (იორიკირი), **ტოჩინოშინი**-ტოიოჰიბიკი (შიტატენაგე), კაისეი-იოშიკაძე (ცუკიდაში), კიოკუტენჰო-**გაგამარუ** (იორიტაოში), შოტენრო-ტაკამისაკარი (ოშიდაში), ასასეკირიუ-მიაბიამა (უვატედაშინაგე), ვაკაკოიუ-ტოჩინონადა (ოშიდაში), ტოჩინოვაკა-ბუშუიამა (ცუკიოტოში), ტოკიტენკუ-ტაკარაფუჯი (იორიკირი), კიმურაიამა-აკისეიამა (ჰიკიოტოში); **ძურიო:** მასურაუმი-**კოკაი** (ოშიდაში).

**სატურნირო მდგომარეობა**

**11-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა).

**10-1:** ტოჩინოშინი (მაეგაშირა 6), კაისეი (მ 16).

**9-2:** ბარუტო (ოძეკი).

**8-3:** კოტოშოგიკუ (სეკივაკე), კაკურიუ (კომუსუბი), ტოსაიუტაკა (მ 9).

**... 4-7:** გაგამარუ (მ 14).

**XII დღე**

**მნიშვნელოვანი ბრძოლები - მაკუუჩი:** ჰაკუჰო-არანი, ჰარუმაფუჯი-კოტოშოგიკუ, კაიო-ბარუტო, კისენოსატო-ოკინოუმი, ტოიონოშიმა-ტოჩიოძანი, კაკურიუ-**ტოჩინოშინი**, გოეიდო-კაისეი, ჰომაშო-კიტატაიკი, ამინიშიკი-იოშიკაძე, ასასეკირიუ-**გაგამარუ**; **ძურიო:** **კოკაი**-ჰოჩიამა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● უნივერსიადა 2011

# ჯილდოები ცისფერი ბილიკებიდან

საქართველოს „უნივერსიადა 2011"-ის პროგრამით ასპარეზობა დაამთავრეს მოცურავეებმა. მედლების კომპლექტები 7 დისციპლინაში გათამაშდა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საქართველოს ნაკრების წევრმა **გიორგი მთვრალაშვილმა** (საავიაციო უნივერსიტეტი), რომელმაც ბატერფლაიში (50 მ), გულაღმა (50 მ) და კომპლექსურ ცურვაში (100 მ) ოქროს ჯილდოები დაიმსახურა; ორი პირველი ადგილი დაიკავა **ეკატერინე კაჭახიძემ** (ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტი) - 50 მეტრზე თავისუფალი ყაიდითა და ბრასით ცურვაში. თითო „ოქრო" **გიორგი ბუხრიკიძეს** (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 50 მ თავისუფალი ყაიდა) და **ილია მანჯავიძეს** (სამედიცინო უნივერსიტეტი, 50 მ ბრასი) ერგოთ.

რვა სახეობაში დამთავრებული პაექრობების შემდეგ უნივერსიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში 22 მედლით (7 „ოქრო", 9 „ვერცხლი", 6 „ბრინჯაო") საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დაწინაურდა. 16 მედლით (6, 6, 4) მეორე ადგილზეა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელსაც ერთი მედლით (5, 3, 7) ჩამორჩება მესამე ადგილზე მყოფი აგრარული უნივერსიტეტი. უნივერსიადის პროგრამით სტუდენტებმა კიდევ 12 სახეობაში უნდა იასპარეზონ.

**ვაჟა დანელია**

ანზორ გაბიტაშვილი მწუხარებას გამოთქვამს **ნანული პაჭკორიას** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს სიძეს, სპორტის უანგარო ქომაგს **თენგიზ პაჭკორიას** დედის გარდაცვალების გამო.

## ქართული სპორტის ქრონიკაში

### მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

# გურამ კოსტავა



დაიბადა 18. 07. 1937, თბილისში, ფარიკაობა, დაშნა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში (1961, 63), ორგზის მეორე (1959, 66 - გუნდურში) და ორგზის მესამე (1963, 65 - პირადში) პრიზიორი, 1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი გუნდურ ასპარეზობაში და 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადის მესამე პრიზიორი პირად პირველობაში, სსრკ ჩემპიონი პირად ჩათვლაში (1961), 5-გზის მეორე (1960, 61, 62, 64, 68) და 5-გზის მესამე (1957, 58, 60, 65, 67) პრიზიორი, სსრკ თასის მფლობელი (1960). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

### შეხვედრა წარსულთან

# საჭადრაკო პაექრობა ლიტერატურულ სალონებში

მე-19 საუკუნის საქართველოში ჭადრაკის მოყვარულნი უპირატესად ლიტერატურულ სალონებში ხვდებოდნენ ერთმანეთს. ამ საღამოებს საჭადრაკო პაექრობაც ალამაზებდა. მაგალითად, თბილისში ცნობილი იყო მანანა ორბელიანის, ხოლო ქუთაისში - გენერალ გრიგოლ დადიანის სალონი. ალბათ მ. ორბელიანის სალონი აქვს მხედველობაში მწერალ ალექსანდრე ორბელიანს, როცა იხსენებს: „ქართველი ქალები ქალალდსაც ითამაშებდნენ, ნარდსაც და ჭადრაკსაც, მაგრამ ყველას თავის დროზედ".

გადმოცემით, ჭადრაკს უფრო ხშირად თამაშობდნენ გ. დადიანის (1841-1901) სალონში. მისი ხშირი სტუმრები იყვნენ თავადის ქალი სოფელ დენჩიდან ფიტინე ჩიქოვანი-ასათიანისა (1812-1907), რომელიც რაჭა-ლეჩხუმში ცნობილი მოჭადრაკე იყო და სახელგანთქმული პოეტი მამია გურიელი.

თბილისში ძლიერი მოჭადრაკის სახელი ჰქონდა ვექილ ხარლამპი სირბილაძეს (1862-1939), რომელმაც 1920 წელს გაიმარჯვა თბილისის მოჭადრაკეთა ტურნირში. ჭადრაკი უყვარდათ ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ვ. მაჩაბელს, ნ. ნიკოლაძეს, კ. მესხს და სხვ. ამის თაობაზე მრავალი მოგონება არსებობს.

### წიგნის თარო

# ბრწყინვალე...

ქართული ჭადრაკის მდიდარ და საამაყო ისტორიას არაერთი გამოცემა მიეძღვნა, მაგრამ საჭადრაკო კომპოზიციაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის **დავით გურგენიძის** ახალი წიგნი „ქართული ჭადრაკი 1877-2010" განსხვავებულად ორიგინალურია ფორმითაც და შინაარსითაც. ფორმაში მხოლოდ ფორმატს არ ვგულისხმობთ - მხატვრული დონე და ჩინებული დიზაინი წიგნის თვალის შევლებისთანავე იწვევს ინტერესს. ორიგინალურადაა განლაგებული ფოტოები და ტექსტები - ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ტელეეკრანს უცქერი, გამოსახულებას აღიქვამ და ტექსტს ტიტრებში კითხულობ, გვერდით კი ინგლისურ ენაზე თარგმანიც გასდევს.

ისტორია დალაგებულია ქრონოლოგიურად - წლებს წლები მოსდევს და თვალწინ იშლება ქართული ჭადრაკის მთელი ისტორია 1877-2010 წლებში. გამოცემაში ყველასთვის მოიძებნა ადგილი, ავტორს არავინ გამორჩენია, არც მოჭადრაკეთა და არც სხვადასხვა დროს ჭადრაკში მოღვაწეთა ამქრიდან. ბრწყინვალე პოლიგრაფიული დონე, ბრწყინვალე საჩუქარი, ერთ კონად შეკრული ქართული ჭადრაკის მდიდარი და საამაყო ისტორია - ასეთია ეს ნაშრომი, რომელიც ჭადრაკის ეროვნული ფედერაციის მხარდაჭერით და **ნანა ალექსანდრიას** რედაქტორობით გამოიცა.




**თენგიზ თომაშვილი**

### თარიღი

# 19-25 მაისი

**19. 1969 წ.** დაიბადა **დუდუ დადიანი** - კალათბურთი. დაიღუპა 2002 წელს

**19. 1950 წ.** დაიბადა **გურამ ბიგანიშვილი** - აფროსნობა

**19. 2007 წ.** ბუქარესტში **ნესტორ ხერგიანმა** (60 კგ) ძიუდოში მსოფლიოს თასი მოიგო

**20. 1980 წ.** სსრ კავშირის ნაკრებში **ვიტალი დარასელია** და **რამაზ შენგელია** გახდნენ ევროპის ჩემპიონები იუნიორთა შორის

**22. 1990 წ.** დაფუძნდა საქართველოს ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია

**22. 1940 წ.** დაიბადა **ვალერი ლომაძე** - კალათბურთი

**23. 1919 წ.** დაიბადა **ნინო დუმბაძე** - მძლეოსნობა. გარდაიცვალა 1983 წელს

**23. 1971 წ.** დაიბადა **არჩილ ჩოხელი** - სამბო

**24. 1962 წ.** დაიბადა **გიორგი თენაძე** - ძიუდო

**24. 1955 წ.** დაიბადა **თემურ ხუბულური** - ძიუდო

**25. 1990 წ.** შეიქმნა საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი

**25. 1896 წ.** დაიბადა **სიმონ ჯაფარიძე** - ალპინისტი. დაიღუპა უშბაზე 1929 წელს.

**25. 1910 წ.** დაიბადა **პარმენ ლეკიშვილი** - სროლა. გარდაიცვალა 1980 წელს

### დროება წერდა...

„**დიდ** ძალი ხალხი იყო გუშინ წინ, მცხეთობაზედ... ბევრი იქეიფეს, დროება გაატარეს და კიდეც ილოცეს ძველის ტაძრის წინაშე. ხორციც დააკმაყოფილეს და სულიცა. ძველი მამა-პაპური დროს გატარება, ღვინის სმისა და ზურნის გარდა, მხოლოდ ერთიღა იყო: ჭიდაობა. მაგრამ კაი ჭიდაობა კი იყო. რამდენიმე წყვილი ქალაქელი და სოფლელი დააჭიდეს. კარგი საყურებელია კაი ჭიდაობა, თუ მარჯვე ბიჭები არიან მოჭიდავენი: ჯერ ჯარასავით უტრიალებენ ერთმანეთს, თუ სად როგორ ჩავავლო ხელი ჩემს მოწინააღმდეგესო. ერთხელ სცადა, ხელი წაუცდა ან დამპალი ჩოხა ხელში შერჩა; მეორეჯერ სცადა, არ იქნა, ვერ მოიგდო მარჯვედ. უეცრად, ერთის თვალის დახამხამებაში ჰხედავ, რომ ერთი მოჭიდავეთაგანი ეძგერა, წაავლო მეორეს ხელი მკლავებში, გაწვა და სანამ გონზე მოხვიდოდე, თუ რა არისო, მეორეს ფეხები მაღლა აუშვერია და ზევიდამ ძირს იშხლართება.

ექვსჯერ იყო ჭიდაობა და თითქმის ექვსივეჯერ ქალაქის ბიჭებმა დასცეს სოფლელები; არც გასაკვირველია: ქალაქის ბიჭი ხუთი წლიდამ დაწყობილი მუშტი-კრივსა და ჭიდაობას ეჩვევა; სოფლელი კი რა! დღე და ღამე გუთანს ეჭიდება! თავის სანუგეშოთ სოფლელები ამბობდნენ, რომ რაც კაი მოჭიდავე ბიჭები (მეტივეები) გვყავნდა, სულ წავიდნენო, თორემ ჩვენ ვიცით, ვინ დარჩებოდა გამარჯვებულიო..."

**გაზ. „დროება", 1876, №105, 3 ღვინობისთვე, გვ. 2.**

# კროსვორდი




**თარაზულად:** 1. კლასიკურ ჭიდაობაში: მუხლებზე და ხელებზე დგომა; 5. თანამედროვე ქართველი ვაჟი ჩოგბურთელი; 7. 1981 წლის 13 მაისის მატჩში ქართველთა მხრიდან პირველი გოლის გამტანი; 9. ჭადრაკში: მანევრირების ერთ-ერთი სახეობა; 10. თბილისის ყოფილი საფეხბურთო კლუბი; 12. საფრანგეთში მოთამაშე თბილისელი ფრენბურთელი ქალი; 13. უმაღლესი სპორტული წოდება ჭადრაკში; 15. ძალოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 17. ცხენის ჭენება; 20. სპორტული ინვენტარის აღება დროებითი სარგებლობისათვის; 21. კრივში: გვერდიდან დარტყმა მოღუნული ხელით; 23. ფიგურულ სრიალში: ერთბრუნიანი ნახტომის სახეობა; 24. წარსულში ცნობილი სოხუმელი მძლეოსანი ... გუმბა; 25. ლვოვის "კარპატის" ქართველი ნახევარმცველი; 26. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრი; 27. ფეხბურთელი .... ყიფიანი; 28. ნალჩიკის "სპარტაკის" ქართველი თავდამსხმელი.

**შვეულად:** 1. პინგ-პონგის სათამაშო ინვენტარი; 2. საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი; 3. ყოფილი კალათბურთელი და მწვრთნელი ვალერი ...., რომლის ორი ვაჟი ამერიკის კოლეჯების ლიგაში თამაშობს; 4. ცხრათავიანი მწვერვალი სვანეთის კავკასიონზე; 5. ვეტერანი თბილისელი ველომრბოლი, პეტრე...; 6. ქართული ფეხბურთის პირველი თაობის წარმომადგენელი; 8. ჯარჯი ზვიადაურის ბერძნული გვარი; 11. კარატე-დოს საფუძვლები, საბაზო ტექნიკა; 12. სპორტსმენი, რომელმაც უმაღლეს სპორტულ შედეგს მიაღწია; 14. პარტია ჩოგბურთის თამაშში; 16. გარკვეული ნიშნით სპორტსმენთა დაწყობა, განლაგება; 17. საქართველოს მოკრივეთა ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი; 18. შეჯიბრება ავტომობილებით; 19. ყვავილების შეკვრა მედალთან ერთად გადასაცემად; 22. ფოთის საფეხბურთო გუნდი.

**შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი, I ლიგა

# ჯიქები - ლიდერი ყველა ლიგაში



საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში პირველი წრის დასრულებამდე ერთი ტური დარჩა. ამ დროისთვის კიდევ უფრო გამოიკვეთა, ლიდერების „ბათუმი XV“-ისა და თბილისის „ჯიქების“ უპირატესობა დანარჩენებთან შედარებით. უკვე ეჭვიც არავის ეპარება, რომ, უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის სწორედ ისინი იბრძოლებენ.

ორივე გუნდმა მეექვსე ტურში დიდი ანგარიშით მოიგო. „ბათუმი XV“-მ შინ ფოთის „რაინდები“ გაანადგურა - 123:0, ხოლო „ჯიქებმა“ „ცალკარა“ ითამაშეს ოზურგეთში ადგილობრივ „არწივებთან“ - 140:0. მომდევნო ტურში გაირკვევა, ვინ გახდება პირველი წრის გამარჯვებული. „ჯიქები“ ბათუმელ მორაგბეებს თბილისში უმასპინძლებენ და იმ მატჩში გამოჩნდება, ვინ უფრო ღირსია, ელიტაში ითამაშოს.

ლიდერებს ოთხი ქულით ჩამორჩება და მესამე ადგილზეა თბილისის „თი ბი სი“, რომელმაც მე-6 ტურში სატურნირო ცხრილის მეზობელ „ხულიგანას“ ეთამაშა და 12:8 მოუგო. კიდევ ერთ მატჩში ქუთაისის „ბაგრატმა“ შინ დაამარცხა სამოყვარულო კლუბი, თბილისის „დევები“ - 33:5.

### I ლიგა

#### VI ტური

ბაგრატი-დევები 33:5, არწივები-ჯიქები 0:140, ბათუმი XV-რაინდები 123:0, ხულიგანა-თი ბი სი 8:12

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ბათუმი XV - 12 ქულა, 2. ჯიქები - 12, 3. თი ბი სი - 8, 4. ხულიგანა - 6, 5. ბაგრატი - 4, 6. დევები - 4, 7. რაინდები - 2, 8. არწივები - 0.

#### VII ტური

თი ბი სი-ოზურგეთი, დევები-ხულიგანა, რაინდები-ბაგრატი, ჯიქები-ბათუმი XV

A ლიგის გათამაშებაში, რომელიც ორ - A და B ჯგუფადაა გაყოფილი, ქულათა მაქსიმუმი ქუთაისი 1-მა, თბილისის „ჯიქებმა“ და თბილისის „ივერიამ“ დააგროვეს. პირველი წრის დასრულებამდე ერთი ტურილა დარჩა, თუმცა რადგან თბილისში მალე „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის“ გათამაშება იწყება, A ლიგაში შესვენება ცხადდება. ბოლო, მე-7 ტურის შეხვედრები 7 ივნისს ჩატარდება.

ქუთაისი 1 A ჯგუფში გამოკვეთილი ფავორიტია, მას კვალში უდგას თბილისის „თი ბი სი“ და „ლელო“. მე-6 ტურში ქუთათურებმა მორიგი ორი ქულა უბრძოლველად მიითვალეს. მათთან სათამაშოდ თელავის „მუტრუკები“ არ გამოცხადდა.

B ჯგუფს ორი ფავორიტი ჰყავს. თბილისური გუნდები „ივერია“ და „ჯიქები“ პირველი წრის ბოლო ტურში გაარკვევენ ურთიერთობას. მანამდე კი ივერიელებმა უმძიმეს ბრძოლაში სტუმრად დაამარცხეს პატარძეულის „ვეფხვები“, „ჯიქებმა“ კი შინ მშვიდად სძლიეს „ადიგენს“ - 48:8.

### A ლიგა

#### A ჯგუფი

#### VI ტური

ლელო-თი ბი სი 13:19, მუტრუკები-ქუთაისი 1 0:X, ყოჩები-ქუთაისი 2 33:10, ლოკომოტივი-ჭიათურა 55:9

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ქუთაისი 1 - 12 ქულა, 2. თი ბი სი - 10, 3. ლელო - 6, 4. ყოჩები - 6, 5. ლოკომოტივი - 6, 6. ქუთაისი 2 - 4, 7. მუტრუკები - 2, 8. ჭიათურა - 0

#### B ჯგუფი

ჯიქები-ადიგენი 48:8, აკადემია-არმაზი 46:14, ხარები-ხულიგანა X:0, ვეფხვები-ივერია 19:22

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ივერია - 10 ქულა, 2. ჯიქები - 10, 3. აკადემია - 8, 4. ხარები - 6, 5. არმაზი - 4, 6. ვეფხვები - 2, 7. ხულიგანა - 1, 8. ტაო - 0

B ლიგაში, A ლიგასთან შედარებით, გაცილებით მეტი გუნდი ასპარეზობს და, შესაბამისად, უფრო მეტ, სამ ჯგუფში არიან განაწილებულნი. აღსანიშნავია, ერთი კანონზომიერება, - ისევე როგორც სხვა ლიგებში, თბილისის „ჯიქები“ აქაც ლიდერია.

B ლიგის A, B და C ჯგუფებში დაუმარცხებლად ასპარეზობენ „აკადემია“, „ლოკომოტივი“, „ჯიქები“, „თი ბი სი“, „ჭიათურა“ და „ქუთაისი 1“.

### B ლიგა

#### A ჯგუფი

ტორნადო-თორთი 74:0, ლოკომოტივი-წიქარა 68:0, უნივერსიტეტი-ლელო 7:34, ყოჩები-აკადემია 14:29, ხარები-ჯვაროსნები 67:6.

#### სატურნირო მდგომარეობა

1. აკადემია - 10 ქულა, 2. ლოკომოტივი - 10, 3. ლელო - 8, 4. ხარები - 8, 5. ყოჩები - 6, 6. ტორნადო - 4, 7. უნივერსიტეტი - 2, 8. ჯვაროსნები - 2, 9. წიქარა - 0, 10. თორთი - 0

#### B ჯგუფი

არმაზი-ივერია 17:10, ლელო 2-აკადემია 2 22:0, თი ბი სი-კახები 29:5, მიმინო-ჯიქები 6:89

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ჯიქები - 8 ქულა, 2. თი ბი სი - 8, 3. ხულიგანა - 6, 4. არმაზი - 6, 5. ლელო 2 - 5, 6. მიმინო - 3, 7. ივერია - 2, 8. აკადემია 2 - 2, 9. კახები - 0.

#### C ჯგუფი

ბათუმი-ქუთაისი 1 0:58, საჩხერე-სენაკი 7:14, ოზურგეთი-ბაგრატი 24:7, ფოთი-ქუთაისი 3 15:24, ქუთაისი 4-ასპინძა 22:15, ქუთაისი 2-ჭიათურა 55:0.

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ჭიათურა - 10 ქულა, 2. ქუთაისი 1 - 8, 3. ქუთაისი 2 - 8, 4. ბაგრატი - 8. 5. ლომები - 6, 6. ფოთი - 6, 7. ოზურგეთი - 4, 8. ქუთაისი 3 - 4, 9. ჯიხა - 4, 10. ქუთაისი 4 - 2, 11. ჯრუჭი - 0, 12. ბათუმი - 0.

● ახალზელანდიური აკიდო



# კარტერის მომავალი მხოლოდ ოლ ბლექსია

„ოლ ბლექსის“ მგეზავმა **დენ კარტერმა** ახალი ზელანდიის რაგბის კავშირთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. იმ დროს, როცა მისი თანაგუნდელები ერთმანეთის მიყოლებით აწერენ ხელს ხელშეკრულებას ევროპულ კლუბებთან, დენის ეს საქციელი მისმა ქომაგებმა, ადვილი შესაძლებელია, გმირობად შერაცხონ. კარტერის ახალი კონტრაქტი ოთხწლიანია და ის 2015 წლის მსოფლიოს თასის დამთავრებისთანავე იწურება.

*„ეს გადაწყვეტილება დიდი ფიქრისა და განსჯის შედეგია. ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ევროპის სხვადასხვა კლუბიდან რამდენიმე, საკმაოდ მაცდური წინადადება მივიღე. დავაპირე კიდეც რომელიმე მათგანთან კონტრაქტი გამეფორმებინა, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგინე, რომ „ოლ ბლექსის“ კვართს ველარასდროს მოვირგებდი.*

*მესმის, რომ ნაკრებში ადგილი გარანტირებული არავის აქვს, ძალიან კარგი ახალი თაობა მოდის, კონკურენცია დიდი იქნება. ეს კიდევ უფრო მეტად განმაწყობს საბრძოლველად.*

*ოთხი წელი საკმაოდ დიდი დროა, ამიტომ კონტრაქტში გათვალისწინებულია ძალიან მნიშვნელოვანი დეტალები, რომლის მიხედვითაც საშუალება მეძლევა, დროდადრო ევროპულ ან იაპონურ კლუბებშიც ვითამაშო. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, შეიძლება ეს პუნქტი არც გამოვიყენო, მაგრამ რადგან ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, ცხადია, კარგია.“* - თქვა დენ კარტერმა.

მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მგეზავმა ერთხელ უკვე ითამაშა ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ფრანგულ „პერპინიანში“ მისი „მივლინება“ ხუთ კვირას გაგრძელდა და ფეხის მძიმე ტრავმით დასრულდა, რის გამოც დენის ექვსი თვე გაუცდა.

აღსანიშნავია, რომ ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის პარალელურად, კარტერმა კონტრაქტი იმავე ვადით ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზთანაც“ გაახანგრძლივა.

*„ვფიქრობ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე, რითაც ძალიან გახარებული ვარ. ძალიან მიყვარს ახალი ზელანდია და მთელ მსოფლიოში, ამაზე უკეთესი ადგილი არსად არის“* - დაასკვნა მან.

ცხადია, კმაყოფილია ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის პრეზიდენტი **სტივ ტიუც**.

*„ყველა დამეთანხმება, რომ დენ კარტერი დღესდღეობით მსოფლიოს საუკეთესო მგეზავია. ჩვენ დიდი დიპლომატიური მიდგომა დაგვჭირდა, რომ ის ახალი ზელანდიის ნაკრებისთვის შეგვენარჩუნებინა. ამასთან, რამდენიმე პრინციპული საკითხიც დავთმეთ. რა თანხას მიიღებს კარტერი ჩვენგან, ვერ გეტყვით, იმის თქმა კი შეიძლება, რომ ევროპელებს კონკურენცია ვერაფრით გავუწიეთ“* - თქვა მან.

# ჯვაროსნები დანის ქვეშ

ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზისა“ და ახალი ზელანდიის ნაკრების 22 წლის ფულბეკმა **იზრაელ დაგმა** ზე რაგბის გათამაშების შეხვედრაში, რომელშიც მისმა გუნდმა C ჯგუფის ლიდერი, კეიპთაუნის „სტორმერზი“ დაამარცხა, სერიოზული ტრავმა მიიღო, რის გამოც ის, შესაძლოა მსოფლიოს თასის გათამაშებას დააკლდეს.

დაგმა „ოლ ბლექსის“ შემადგენლობაში შარშან ექვსი კეპი მოიხვეჭა, თუმცა წლის ბოლოს ტრავმის გამო ნოემბრის ტესტებზე ველარ ითამაშა. ექიმებმა დაასკვნეს, რომ ოპერაციის გაკეთება აუცილებელია, რის შემდეგაც რეაბილიტაციისთვის სამი თვე დასჭირდება.

მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა, ძალიან პერსპექტიული ახალზელანდიელი მაინც იმედიანადაა.

*„ყველაფერს ვილონებ, რომ რეაბილიტაციის პერიოდში ინსტრუქცია მაქსიმალურად დავიცვა და მოედანზე დაბრუნება დროულად შევძლო. ვფიქრობ, ფორმას მალე აღვიდგენ და მსოფლიოს თასზე თამაშსაც შევძლებ“* - იმედოვნებს იზრაელ დაგი.

აღსანიშნავია, რომ ის „კრუსეიდერზის“ ერთადერთი მორაგბე არ არის, რომელიც ქირურგიულ ოპერაციას ელოდება. თუ **ადამ ვაითლოქმა** ორიოდ დღის წინ უკვე გადაიტანა საკმაოდ მძიმე ოპერაცია, გარემარბი **შონ მეითლენდი** დანის ქვეშ ხვალ უნდა დაწვეს. „კრუსეიდერზის“ ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ დაშავებული მორაგბეები, მაქსიმუმ ოთხ თვეში დაბრუნდებიან მწყობრში.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**




● ლეგიონერები

# ელიტა პერსპექტივაში

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ესპუართა, ანუ სათადარიგო გუნდების გათამაშებაში პლეი ოფის ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართა. **კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონმა“, რომელიც რეგულარული გათამაშების გამარჯვებულია, „პერპინიანს“ - 17: 7 მოუგო და ფინალში გააღწია.

ტულონელებს პირველობისთვის ბრძოლა, **ვიქტორ კოლელიშვილის, გიორგი ჯაშიტაშვილისა** და **გიორგი ჯიმშელაძის** „კლერმონთან“ მოუწევთ, რომელმაც „ტულუზს“ 25:17 სძლია. აღსანიშნავია, რომ „უმცროსი ვულკანების“ ქართველი ლეგიონერების თამაშმა სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო.

ai, როგორ აფასებს ერთ-ერთი მათგანი საქართველოს ნაკრების მესამეხაზელ ვიქტორ კოლელიშვილს.

*„ყურადღებას იპყრობს შერკინების ქართველი მესამეხაზელის ვიქტორ კოლელიშვილის თამაში. მას ეროვნულ ნაკრებში უკვე აქვს მოხვეჭილი რამდენიმე კეპი. ის არის ფიზიკურად ძალიან ძლიერი, სწრაფი, დაცვაში უდრეკი, შესანიშნავად თამაშობს ჰაერში. კარგი, მართლაც ძალიან კარგი მოთამაშეა“.*

მიუხედავად იმისა, მოიგებს თუ არა „კლერმონის“ სათადარიგო გუნდი ჩემპიონატს, მომავალი წლიდან ძირითად გუნდში რამდენიმე მოთმაშის გადაყვანას აპირებენ. ამ სიაში კოლელიშვილიცაა, ასე რომ, გამორიცხული არ არის, ელიტაში კიდევ ერთმა ქართველმა გაიკაფოს გზა.



ვიქტორ კოლელიშვილი

### ესპუარები

#### ნახევარფინალი

| | |
|---|---|
| ტულონი-პერპინიანი | 17:7 |
| კლერმონი-ტულუზი | 25:17 |

#### ფინალი

ტულონი-კლერმონი

msy.gov.ge

ბიბლიოთეკა

კალათბურთი




დრაფტის ლატარია

# პირველი ნომერი კლივლენდისაა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გაიმართა ტრადიციული დრაფტ-ლატარია, რის შემდეგაც გაირკვა 2011 წლის დრაფტზე ახალბედა კალათბურთელის არჩევის მიმდევრობა.

2003 წლის შემდეგ პირველად დრაფტის პირველი ნომერი ერგო „კლივლენდ კავალიერზს". ეს იმის წყალობით მოხდა, რომ ამ ზამთარს „ლოს ანჯელეს კლიპერსთან" განხორციელებული ტრეიდით „კლივლენდს" კალიფორნიული კლუბისგან დრაფტის პირველ რაუნდში არჩევის უფლება ერგო. ლატარიაში პირველი სწორედ ის ბურთი ამოვიდა, რომელზეც „კლიპერსის" სახელი ეწერა. შეგახსენებთ, რომ რვა წლის წინ „კავალიერზმა" დრაფტში პირველ ნომრად **ლებრონ ჯეიმსი** აიყვანა.

თავად „კლივლენდის" ბურთი მეოთხე ნომრად ამოვიდა, ასე რომ, ამ კლუბის ხელმძღვანელობა კმაყოფილი უნდა იყოს ლატარიით.

მომავალი დრაფტის პირველი ათეული ასე გამოიყურება:

1. კლივლენდი
2. მინესოტა
3. იუტა
4. კლივლენდი
5. ტორონტო
6. ვაშინგტონი
7. საკრამენტო
8. დეტროიტი
9. შარლოტი
10. მილუოკი

კრივი

# პაკიაო–მარკესი გადაწყვეტილია

თითქმის გადაწყვეტილია, რომ ფილიპინელი **მენი პაკიაოს** მორიგი მეტოქე მექსიკელი **ხუან მანუელ მარკესი** იქნება. მხარეებმა უკვე მიაღწიეს ზეპირ შეთანხმებას და უახლოეს ორშაბათს მარკესი კონტრაქტს მოაწერს ხელს. ბრძოლა ლას ვეგასში MGM Grand-ზე 12 ნოემბერს გაიმართება. ეს იქნება ამ მოკრივეთა რიგით მესამე დაპირისპირება. პირველი ფრედ დასრულდა, მეორეში კი ქულებით პაკიაომ გაიმარჯვა.

*„ბევრ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი აზრი დაემთხვა,* - ამბობს ფილიპინელი მოკრივის პრომოუტერი **ბოლ არუმი**. - *ჯერ ყველაფერი შეთანხმებული არ არის, ამიტომაც მოლაპარაკებების დეტალებზე კონკრეტული საუბარი არ შემიძლია".*

ჟურნალისტებმა მაინც შეიტყვეს, რომ პაკიაოსა და მარკესის ბრძოლა საშუალედო წონაში (65,3 კგ) გაიმართება. 2009 წელს **ფლოიდ მეივეზერთან** შეხვედრისას მარკესი 64.4 კილოგრამს იწონიდა.

ასევე ცნობილი გახდა, რომ პაკიაოსთან ჩხუბისთვის მარკესს გარანტირებული ჰონორარი - 5 მილიონი დოლარი ერგება.

ცურვა

# ტორპი მზად არ არის

ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი **იან ტორპი**, რომელმაც ცოტა ხნის აქტიური კარიერის განახლება გადაწყვიტა, ჯერ შორს იმ კონდიციებისგან, რომლის წყალობითაც კონკურენტუნარიანი იქნება ლონდონის 2012 წლის თამაშებზე. ამის შესახებ თავად მოცურავემ განაცხადა.

ამჟამად ავსტრალიელი სპორტსმენი შეკრებას გადის შვეიცარიაში. შეგახსენებთ, რომ 28 წლის ტორპმა ოთხწლიანი პაუზის შემდეგ განაახლა კარიერა. მისი მიზანი გაისად ზაფხულის ოლიმპიადაზე წარმატებული გამოსვლაა.

*„საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ ჩემი დღევანდელი მდგომარეობით, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. უბრალოდ მიხარია, რომ ისევ ინტენსიურად ვვარჯიშობ, თუმცა წინ ძალიან დიდი გზაა გასავლელი",* - განუცხადა სააგენტო „როიტერს" ტორპმა.

ავსტრალიელმა, რომელიც რუსი მწვრთნელის **გენადი ტურეცკის** ხელმძღვანელობით ვარჯიშობს, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ლონდონში მხოლოდ 100 და 200 მეტრ დისტანციებზე გაცურავს.

*„სიმართლე გითხრათ, 400 მეტრზე გამოსასვლელად მომზადებას ვერ მოვასწრებ, ამიტომაც უფრო მოკლე დისტანციები ავირჩიე",* - ამბობს 400 მეტრზე ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

ამბები

ჩოგბურთი

## მაღალანაზღაურებადი კომენტატორი

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **ტიმ ჰენმანი** ტელეარხ BBC-ის მიწვევით 2011 წლის უიმბლდონზე კომენტატორად იმუშავებს.

ბრიტანული გაზეთის „დეილი მეილის" ინფორმაციით, ჰენმანი დღეში საშუალოდ 23 ათას დოლარს გამოიმუშავებს. ტიმის საერთო შემოსავალი მთელი უიმბლდონის განმავლობაში დაახლოებით 330 ათასი დოლარი იქნება.

კალათბურთი

## ინდიანა მწვრთნელს ეძებს

„ინდიანა პეისერსის" ხელმძღვანელობა ახალი მწვრთნელის ძიებით არის დაკავებული. კლუბის პრეზიდენტმა **ლარი ბერდმა** აღნიშნა, რომ ამ პოსტზე პოტენციურ კანდიდატთა სიაში **მაიკ ბრაუნი** და **რიკ ადელმანი** შედიან.

„კლივლენდის" ყოფილი დამრიგებელი მაიკ ბრაუნი ადრე „ინდიანაში" მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მუშაობდა. ის 2009 წელს სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა.

ადელმანი ლიგის ისტორიაში მეექვსე მწვრთნელია გამარჯვებების რაოდენობით - 945. გასულ თვეში მან „ჰიუსტონის" მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა.

NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი

# დიადი ნოვიცკი

„დალასმა" **დირკ ნოვიცკის** ფენომენალური სიზუსტის წყალობით გამარჯვებით დაიწყო „ოკლაჰომასთან" სერია. ამიერიდან, გერმანელი პლეი ოფის ეტაპის ახალი რეკორდსმენია ერთ მატჩში გამოყენებული საჯარიმოების რაოდენობით. დირკი 24-ჯერ დადგა საჯარიმოს ხაზზე და 24 ბურთი (!) ჩააგდო. წინა რეკორდი „ბოსტონის" წევრს **პოლ პირსს** ეკუთვნოდა, რომელმაც 2003 წელს „ინდიანასთან" მატჩში 21 საჯარიმო ისროლა უშეცდომოდ.

გარდა ამისა, ნოვიცკი გახდა მეორე კალათბურთელი ისტორიაში, ვინც პლეი ოფში 40-ქულიანი ზღვრის გადასალახად თამაშიდან 15 ტყორცნა იკმარა. პირველმა ეს **ტერი პორტერმა** გააკეთა (14-დან 12 ზუსტი ტყორცნა).

213-სანტიმეტრიანი გერმანელი კიდევ ერთი მაჩვენებლით შევიდა ისტორიაში, თუმცა ეს არა მარტო მისი, არამედ კონკურენტ **კევინ დურანტის** დამსახურებაცაა, ვინც მატჩი 40 ქულით დაასრულა. 2002 და 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატების საუკეთესო მოთამაშეებმა უნიკალურ სიაში დაიდეს ადგილი - ეს მესამე წყვილია, რომლის კალათბურთელებმა (თითოეულმა) 40 ან მეტი ქულა დააგროვეს. მანამდე ასეთი რამ გააკეთეს **დოჰერტიმ** (40) და **პეტროვიჩმა** (40) 1992 წელს, აგრეთვე **აივერსონმა** (48) და **ო'ნილმა** (44) 2001 წელს.

„ოკლაჰომას" მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ამ გუნდის გამთამაშებელი **რასელ უესტბრუკი** გახდა, რომელმაც ისევ დაივიწყა თავისი მთავარი მოვალეობა და გაუმართლებლად ხშირად აილო თამაში საკუთარ თავზე. 18-დან 14 გამოყენებული საჯარიმო კარგი შედეგია, ისევე როგორც 20 ქულა, მაგრამ თამაშიდან ტყორცნების გამოყენების რეალიზაცია (12 აცილებული სროლა) კატასტროფული იყო.

რაც შეეხება უშუალოდ თამაშის მსვლელობას, ის გაცილებით მხიარული იყო, ვიდრე „მაიამისა" და „ჩიკაგოს" სერიის პირველი მატჩი. ვერ ვიტყვით, რომ ორივე გუნდი თავს საშინლად იცავდა, მაგრამ იმ სალამოს შეტევა დაცვას აშკარად სჯობდა, რაზეც ჯამში დაგროვილი 233 ქულა მეტყველებს, ისევე როგორც 55 პერსონალური და 79 შესრულებული საჯარიმო.

პირველი ტაიმი თითქმის თანაბარი გამოვიდა. თითქმის, რადგან ექვსქულიანი უპირატესობის მოპოვების შემდეგ „ოკლაჰომამ" ზედიზედ ექვსი შეტევა გააფუჭა და მეტოქეს 16:1 გაქცევის საშუალება მისცა.

მესამე მეოთხედში „ოკლაჰომამ" დაცვაში კარგი თამაშით სცადა ინიციატივის მოპოვება და თავიდან ეს გამოუვიდა კიდეც, მაგრამ, როგორც კი მასპინძლებს გაუჭირდათ, 132 წუთში 13:3 სპურტის განხორციელება შეძლეს. მეოთხე მეოთხედში „კოვბოებს" ძალიან დაეხმარა **ხოსე-ხუან ბარეას** 12 ქულა (საწყის 5 წუთში!), რაც შეხვედრის უპრობლემოდ ჩამთავრების გარანტია გახდა. მართალია, ერთ მომენტში დურანტის მონდომებით „თანდერმა" 6 ქულამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ აქ სცენაზე ისევ ნოვიცკი გამოვიდა - **ჯეისონ კიდის** პასებით ორი საშუალო ტყორცნა გამოიყენა და ოთხი საჯარიმო ჩააგდო, რითაც ახალგაზრდა მეტოქეებს ბრძოლის ყველანაირი სურვილი მოუსპო.

გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ მატჩში „დალასის" რეზერვისტების შედეგიანობამ. მასპინძლების სათადარიგოთა სკამმა 53 ქულა დააგროვა, „ოკლაჰომას" სათადარიგოებმა - 22 ქულა. მარტო **ჯეისონ ტერიმ** (რვიდან ოთხი სამქულიანი) მიითვალა უფრო მეტი ქულა, ვიდრე ერთად აღებულმა „თანდერის" ყველა რეზერვისტმა.

**დასავლეთი**

| დალასი–ოკლაჰომა | 121:112 |
|---|---|

**20:27, 35:21, 35:31, 31:33**

**დ**: ნოვიცკი (48+6 მოხსნა+4 პასი+4 დაფარება), ტერი (24), ბარეა (21), მერიონი (11+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), კიდი (3+11 პასი+3 ჩაჭრა), ჩენდლერი (3+8 მოხსნა+2 დაფარება), ჰეივუდი (3), სტოიაკოვიჩი (3), სტივენსონი (3), ბრიუერი (2).

**ო**: დურანტი (40+8 მოხსნა+5 პასი+2 დაფარება), უესტბრუკი (20+3 პასი), იბაკა (17+6 მოხსნა), ჰარდენი (12+4 პასი), პერკინსი (7+5 მოხსნა), სეფოლოშა (6), კუკი (6), კოლისონი (4+5 მოხსნა).

**სერია**: 1-0




დირკ ნოვიცკი

NHL პლეი ოფი. 1/2 ფინალი

# თრილერი ბოსტონში

11 გოლი იხილა მაყურებელმა „ბოსტონისა" და „ტამპა ბეის" სერიის მეორე მატჩში. ეს იყო ნამდვილი თრილერი უამრავი გოლით, სახიფათო მომენტებით, გაძევებებითა და ყინულის თითოეულ სანტიმეტრზე ბრძოლით.

შინ პირველი მატჩის წაგების შემდეგ „ბოსტონს" უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა, არადა, მეტოქე ბრწყინვალე ფორმაში შევიდა - „ტამპას" პლეი ოფში ზედიზედ რვა მატჩი ჰქონდა მოგებული.

თუმცა „ლაითნინგმა" ზედიზედ მეცხრე გამარჯვება ვერ მოახერხა, არადა, სტუმრებისთვის ყველაფერი კარგად დაიწყო - მე-13 წამზე **ადამ ჰოლი** კარის უკან ბარიერზე ასხლეტილ შაიბას დაუდარაჯდა და ანგარიში გახსნა.

„ბოსტონმა" პირველ შესვენებამდე 6 წუთით ადრე გაათანაბრა ანგარიში, როცა რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა, მაგრამ ადგილობრივ გულშემატკივრებს სიხარული დიდხანს არ დასცალდათ. „გასახდელში" გოლმა **მარტინ სენტ ლუისის** შესრულებით ხასიათი გაუფუჭა ბოსტონელებს.

შესვენებამ მასპინძლებზე ძალიან კარგად იმოქმედა. შარშანდელი დრაფტის მეორე ნომერმა **ტაილერ სეგუინმა** ბრწყინვალე სოლო გარღვევის შემდეგ შანსი არ დაუტოვა **დუეინ როლოსონს**, ხოლო სულ მალე **დენის საიდენბერგმა** ბრწყინვალე პასი მიაწოდა **დევიდ კრეისის** და ჩეხმა „ბოსტონი" წინ გაიყვანა. როლოსონი „ტამპას" ვერ შველოდა, სამაგიეროდ, შესანიშნავად გამოიყურებოდა მასპინძლების მეკარე **ტიმ ტომასი**.

სტუმრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ნაადრევად დანებება არ ისურვეს, მიუხედავად იმისა, რომ სეგუინმა დუბლი შეასრულა და თავისიანები ორი შაიბით გაიყვანა წინ. „ტამპას" კაპიტანმა **ვენსან ლეკავალიემ** გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა და სხვაობა ისევ მინიმალური გახდა.

მაგრამ „ლაითნინგის" ჰოკეისტებმა მეორე პერიოდში სეგუინის გარდა კიდევ ერთ ჰოკეისტს ვერ „მოუარეს" - **მაიკლ რაიდერმა** დუბლი შეასრულა. როლოსონმა ისევ ვერ გადაარჩინა თავისი გუნდი და მესამე პერიოდში **მაიკ სმიტს** დაუთმო ადგილი.

როლოსონის შემცვლელმა თავისი სამუშაო „ხუთიანზე" შეასრულა. ბოლო 20 წუთში „ბოსტონის" შედეგიანი შეტევა აღარ გვინახავს, სტუმრებმა კი ორჯერ აიღეს „ბოსტონის" კარი. თავიდან **სტივენ სტემკოსმა** გამოიჩინა თავი, შემდეგ კი „ბრუინზის" კარში კურიოზული გოლი გავიდა. ლეკავალიეს დარტყმის შემდეგ შაიბა ჯერ ერთ ძელს მოხვდა, კარის ხაზზე გაცურდა და მეორე ძელს შეეხო, მაგრამ კარში მაინც არ შევიდა. მეკარის საჯარიმოსთან შექმნილ ქაოსში ყველაზე მოხერხებული **დომინიკ მური** აღმოჩნდა და მან 6:5 გახადა ანგარიში.

„ტამპას" მატჩის გადასარჩენად დრო საკმარისი ჰქონდა, ბოლოს მეკარეც მოხსნა და წინა ხაზის მეექვსე მოთამაშე აამოქმედა, მაგრამ ტიმ ტომასის ბრწყინვალე თამაშს ვერაფერი მოუხერხა. ახლა, სერია „ტამპას" მოედანზე ორი მატჩით გაგრძელდება.

| ბოსტონი–ტამპა ბეი | 6:5 |
|---|---|

**1:2, 5:1, 0:2**

გოლები: 0:1 ა. ჰოლი-1 (ლეკავალიე-8, ტომპსონი-3), 1:1 ჰორტონი-6 (საიდენბერგი-6, ტ. კაბერლე-4), 1:2 სენტ ლუისი-7 (სტემკოსი-3, ლეკავალიე-9), 2:2 სეგუინი-2 (რაიდერი-5), 3:2 კრეისი-6 (საიდენბერგი-7, ჰორტონი-6), 4:2 სეგუინი-3 (ჰორტონი-7, მაკუეიდი-4), 4:3 ლეკავალიე-6 (სენტ ლუისი-9, სტემკოსი-4), 5:3 რაიდერი-3 (სეგუინი-2, ტ. კაბერლე-5), 6:3 რაიდერი-4 (კ. კელი-4, სეგუინი-3), 6:4 სტემკოსი-5 (ჰედმანი-5, ა. ჰოლი-4), 6:5 მური-3 (ლეკავალიე-10, ბერგენჰაიმი-2).

**სერია**: 1-1



სეგუინის პირველი გოლი

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჩოგბურთი

# დელ პოტრო პარიზში მიდის

გადაწყდა, რომ ამერიკის ღია პირველობის ყოფილი ჩემპიონი, არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო** მონაწილეობას მიიღებს წლევანდელ როლან გაროსზე, რომელიც კვირას აიღებს სტარტს. ამის შესახებ თავად 22 წლის ჩოგბურთელმა განაცხადა, ვინც მიმდინარე რეიტინგში 27-ე ადგილს იკავებს.

*„ძალიან დიდ ძალისხმევად დამიჯდა, მაგრამ მაინც მივაღწიე ამას - საფრანგეთის ღია პირველობაზე მივდივარ“*, - შეატყობინა თავის ფანებს დელ პოტრომ.

წელს ხუან მარტინმა ორი ტურნირის მოგება მოასწრო - მთავარი პრიზი დაიმსახურა დელრეი ბიჩსა და ესტორილში. მადრიდის მასტერსში მას მესამე წრეში **რაფაელ ნადალთან** უნდა ეთამაშა, მაგრამ ბოლო მომენტში ტრავმის გამო ვერ შეძლო კორტზე გასვლა. სამედიცინო გამოკვლევამ მარცხენა ბარძაყის კუნთის დაზიანება დააფიქსირა.

საფრანგეთის ღიაზე დელ პოტროს საუკეთესო შედეგი ნახევარფინალია - მან 2009 წელს ფინალში გასასვლელი მატჩი ხუთ სეტში წააგო მომავალ ჩემპიონ **როჯერ ფედერერთან.**

■ ■ ■

დელ პოტროსგან განსხვავებით, პრობლემები აქვს ამერიკელ **ენდი როდიკს**, რომელმაც, შესაძლოა, ტრავმის გამო გამოტოვოს როლან გაროსი. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა გუშინ გამოიტანა განაცხადი ნიცას ტურნირიდან. ამერიკელმა ჩოგბურთელმა ტრავმა რომის მასტერსის დროს მიიღო.

*„ჯერჯერობით მზად არ ვარ სათამაშოდ, რადგან რომის ტურნირზე მხარი დავიზიანე. ასეთი ტრავმით ნიცას ტურნირზე გამოსვლა დიდი რისკი იქნებოდა, რადგან სულ მალე როლან გაროსი და უიმბლდონი იწყება. როგორც ჩანს, საფრანგეთის ღია პირველობაზე გამოსვლის არც ისე დიდი შანსი მაქვს“*, - განაცხადა როდიკმა.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე როლან გაროსიდან მოიხსნენ არგენტინელი **დავიდ ნალბანდიანი** და ჩილელი **ფერნანდო გონსალესი**, ქალთა ბადეში ვერ ვიხილავთ ამერიკელ დებს **- სერენა და ვენუს უილიამსებს.**



ხუან მარტინ დელ პოტრო

ინტერვიუ ნოვაკ ჯოკოვიჩთან

# გრუნტის მეფე ნადალია

**რომის მასტერსის მოგების შემდეგ სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა ინტერვიუ მისცა ფრანგულ გაზეთ „ეკიპს“, სადაც მან თავი შორს დაიჭირა „გრუნტის მეფის“ ტიტულისგან, კომენტარი გაუკეთა საკუთარ რეკორდებს, აგრეთვე გამოაცხადა, რომ ოთხი დღე კორტს ახლოსაც არ გაეკარება.**

**- ნოვაკ, ზედიზედ ორჯერ დაამარცხეთ რაფაელ ნადალი გრუნტის კორტზე. ხომ არ მოვიდა დრო გამოვაცხადოთ გრუნტის ახალი მეფის დაბადება? ბოლო ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ნადალი ერთი თავით მაღლა იდგა ყველაზე.**

- მოდით, ამ საკითხში სიცხადე შევიტანოთ: გრუნტის მეფე ნადალია. ამ საფარზე ის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეა. დიახ, ბოლო რვა დღის განმავლობაში მას ორჯერ მოვუგე, რაც ჩემთვის დაუჯერებელი მიღწევაა და ის დამაჯერებლობას მმატებს როლან გაროსის წინ. მე ჯერ მხოლოდ რამდენიმე ტურნირი მოვიგე ამ სეზონში, რაფა კი გრუნტზე რამდენიმე წელია დომინირებს.

**- როგორც ჩანს, დღეს თქვენ მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე ხართ.**

- მადლობა. სინამდვილეში მეც გაკვირვებული ვარ იმით, რასაც ბოლო დროს მივაღწიე. ორჯერ მოვუგე მსოფლიოს პირველ ნომერსა და გრუნტის საუკეთესო სპეციალისტს. ეს საოცარია. დღემდე ვტკბები ამ წარმატებით. მაგრამ დიდი ხანი ეიფორიაში ყოფნას არ ვაპირებ. სულ მალე როლან გაროსი იწყება და მისთვის კარგად მომზადებაა საჭირო.

**- ზედიზედ 37 შეხვედრა მოიგეთ. შეგიძლიათ შეაფასოთ ეს მიღწევა?**

- ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია გავხდე საჩოგბურთო ისტორიის ნაწილი ისეთ მოთამაშეებთან ერთად, როგორებიც არიან ფედერერი, ნადალი, მაკინროი ან ლენდლი. მათაც ჰქონიათ დაახლოებით ანალოგიური სერიები. არ ვიცი, შესაძლოა, ეს თამამად ჟღერს, მაგრამ მეჩვენება, რომ ბევრი ადამიანი მოხარულია იმ ფაქტით, რომ დიდ ტურნირებზე გამარჯვებისთვის მხოლოდ რაფა და როჯერი არ იბრძვიან.

**- თქვენი მიღწევებიდან რომელს მიიჩნევთ ყველაზე მნიშვნელოვნად? ნადალთან ორ გამარჯვებას, რეიტინგში მოსალოდნელ პირველობას თუ გამარჯვებათა სერიას, რომელიც უკვე ოთხი თვეა გრძელდება?**

- ყველაზე ამაყი ვარ იმის გამო, რომ გრუნტზე თამაში ვისწავლე. იმისთვისაც, როგორ ვიბრძოდი ამ ტურნირებზე და როგორ ვუგებდი უძლიერეს მოთამაშეებს. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ გრუნტზე ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შემიძლია. ვიცი, რომ თუ ასე გავაგრძელებ თამაშს, შედეგი აუცილებლად იქნება.

**- რაფა ყოველთვის ხაზს უსვამს სრულყოფისკენ მუდმივ სწრაფვას. დღეს ის იმდენად კარგად თამაშობს, რომ რთული დასაჯერებელია თქვენი ლიდერობა.**

- ცოტათი ხმამაღალი ნათქვამი იქნება ის, რომ კიდევ უფრო უკეთ თამაში შემიძლია. მადრიდსა და რომში მართლაც ყველაფერი გამომდიოდა. ყველანაირი დარტყმა მიზანს აღწევდა, უკეთესად ვაწვდიდი... ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ადრე ყოველთვის მაკლდებოდა რამდენიმე იოლი ქულა, რომელიც შეიძლება მოწოდებამ მოგიტანოს. თუმცა უკეთესობისკენ სწრაფვა ყოველთვის უნდა არსებობდეს.

**- თავად როგორ ახსნით თქვენს ფენომენალურ გარღვევას?**

- ამის შესახებ უკვე არაერთხელ ვთქვი. ყველაფერი დევისის თასიდან დაიწყო. ჩემს თამაშში გარკვეული ცვლილებები მოხდა და ეს ყველაფერი ჯიუტმა და მონდომებულმა ვარჯიშმა მოიტანა. ადრეც მომიგია დიდი ტურნირები, მაგრამ მთავარი, რაც მაკლდა - სტაბილურობა იყო. არ მქონდა ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა უძლიერესი მოთამაშეების წინააღმდეგ. როჯერთან და რაფასთან „დიდი სლემისა“ და მასტერსების ბოლო რაუნდებში მხოლოდ იმის გამო ვაგებდი, რომ საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი მეპარებოდა. დევისის თასის მოგებამ დაუჯერებელი იმპულსი მომცა. ახლა საერთოდ არ ვფიქრობ დამარცხებაზე, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ გამარჯვება შემიძლია.

**- ხომ არ გეჩვენებათ, რომ მოთამაშეები უკვე შიშით ხვდებიან თქვენთან კორტზე შეხვედრას?**

- არ მგონია, რომ აქამდე მივიდა საქმე. მე არ მჩვევია მეტოქის შეუფასებლობა. წინასწარ ვიქმნი განწყობას იმისთვის, რომ კორტზე გავიდე, ვაჩვენო საუკეთესო თამაში და გავიმარჯვო.

**- ATP-ის ტურის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძალიან ცოტა თავისუფალი დრო გაქვთ. როგორ გაატარებთ იმ დღეებს, რომელიც როლან გაროსამდეა დარჩენილი?**

- უახლოესი ოთხი დღე ჩოგანს არ გავეკარები. ბოლო დროს საკმარისი სათამაშო პრაქტიკა მივიღე და დღეს მხოლოდ დასვენება მჭირდება. შემდეგ კი დავიწყებ მზადებას გრუნტის ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირისთვის.

**- რამდენად რთულია თვეების განმავლობაში ასეთი ფორმის შენარჩუნება?**

- ეს იოლი არ არის. მსოფლიოს ყველა საუკეთესო ჩოგბურთელი, მათ შორის მეც, გარკვეული ზეწოლის ქვეშ იმყოფება. რა თქმა უნდა, ამას თანდათან ეჩვევი და ახლა უკვე ვიცი, რა უნდა გავაკეთო სხვადასხვა სიტუაციაში. საერთოდ, მიყვარს ჩოგბურთის თამაში, ჩემი ძირითადი სამუშაო - მოგებაა, ამიტომაც ყოველთვის კორტზე გასვლისას მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ჯოკოვიჩი და მისი შეყვარებული კანის კინოფესტივალზე

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| ზენიტი-ბაიერნი | 2:4 |

**ინგლისი — I ლიგა**

| | |
|---|---|
| ჰადერსფილ.-ბორნმუთი | 2:2 პენ. 7:5 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ბორდო-პსჟ | 1:0 |
| ლილი-სოშო | 1:0 |

**შოტლანდია — I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ეირი-ბრეჩინი | 1:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალბიონი-ანენი | 3:1 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ნორდსილანდი-რანდერსი | 2:1 |

**შვედეთის თასი**

| | |
|---|---|
| კარლსტადი-ჰალმსტადი | 1:4 |

**საბერძნეთი — პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| პანათინაიკ.-ოლიმპიაკოსი (პ) | 3:0 |
| პაოკ-აეკ | 2:1 |

**კვიპროსის თასი**

| | |
|---|---|
| აპოლონი-ომონია | 1:1 პენ. 2:3 |

**რუსეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ენისეი-ლ. ენერგია | 2:1 |
| სიბირი-ს. ენერგია | 2:2 |
| გაზოვიკი-მორდოვია | 1:1 |
| ურალი-კამაზ | 2:3 |
| ჩერნომორეცი-ალანია | 0:1 |
| ჟემჩუჟინა-გაზპრომი | 1:0 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| აკადემიკ-ლოკომოტივი (პ) | 1:2 |
| ჩერნო მორე-კალიაკრა | 2:0 |
| ჩერნომორეცი-ბეროე | 0:2 |
| ცსკა-პირინი | 2:2 |
| ლევსკი-სლავია | 3:0 |
| ლოვეჩი-მონტანა | 4:1 |
| სლივენი-ლოკომოტივი (ს) | 0:2 |
| რაკოვსკი-მინიორი | 2:2 |

**ლატვია**

| | |
|---|---|
| დაუგავა-გულბენე | 2:0 |
| იეგლავა-ფკ იურმალა | 0:2 |
| იურმალა-ვენტსპილსი | 0:3 |
| მეტალურგსი-ოლიმპსი | 4:1 |

**ლიტვა**

| | |
|---|---|
| ატლანტასი-სუდუვა | 0:2 |
| კრუოია-კლაიპედა | 2:0 |
| ბანგა-მაჟეიკიაი | 0:1 |
| შიაულიაი-კაუნასი | 2:1 |
| ჟალგირისი-ეკრანასი | 0:1 |

**აზერბაიჯანი**

| | |
|---|---|
| ბაკუ-ინტერი | 0:1 |
| აზალ-ყარაბახი | 3:1 |
| ნეფთჩი-ხაზარი | 1:1 |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| დეპ. კიტო-დეპ. კუენსა | 3:1 |
| ოლმედო-ემელეკი | 2:1 |

**პარაგვაი**

| | |
|---|---|
| სერო პორტენო-გუარანი | 0:0 |

**პერუ**

| | |
|---|---|
| სენსიანო-სან მარტინი | 3:2 |
| ინტი გასი-კოლეგიო | 4:0 |
| სპ. კრისტალი-ლეონი | 0:2 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| სკაილაინერსი-ალბა | 80:81 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| კანტუ-ვარეზე | 78:53 |
| მილანი-სასარი | 70:71 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ნანსი-ტულონი | 68:64 |
| შალონი-ვილერბანი | 98:74 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ნიცა**

| | |
|---|---|
| რიბა-**დოგოპოლოვი** | 6:7, 6:7 |
| ბერლოკი-**ალმაგრო** | 7:6, 4:6, 3:6 |
| **ჰაასე**-სტახოვსკი | 6:2, 6:4 |
| **ფერერი**-სეპი | 6:3, 6:2 |
| რასელი-**ჰანესკუ** | 5:7, 2:6 |
| **ანდუხარი**-ბენეტო | 6:3, 6:4 |
| **გულბისი**-ისტომინი | 6:3, 4:6, 6:3 |
| **ბერდიხი**-მანარინო | 6:1, 6:4 |

**WTA. ბრიუსელი**

| | |
|---|---|
| **პენგი**-სპირსი | 6:2, 6:0 |
| ვოსკობოევა-**ზვონარევა** | 6:2, 4:6, 3:6 |
| **მორიტა**-დელაკუა | 1:6, 6:0, 7:5 |
| **არვიდსონი**-იანკოვიჩი | 3:6, 6:3, 6:3 |
| ვან უიტვანკი-**ვიკმაიერი** | 6:7, 4:6 |
| **სკიავონე**-ფალკონი | 6:4, 6:4 |
| **დულგერუ**-ზაკოპალოვა | 6:3, 6:2 |
| **ვოზნიაცკი**-ლეპჩენკო | 6:4, 7:6 |

**WTA. სტრასბური**

| | |
|---|---|
| **კირილენკო**-პოუს ტიო | 6:3, 3:6, 7:6 |
| ჟანგი-**პეტკოვიჩი** | 1:6, 3:6 |
| კორნე-**პეტროვა** | 6:2, 2:6, 2:6 |
| **ლუჩიჩი**-დოკიჩი | 6:2, 6:2 |
| ფორეტც გაკონი-**ჰრადეცკა** | 2:6, 4:6 |
| **ჰანტუხოვა**-იოჰანსონი | 6:4, 6:2 |
| **მედინა გარიგესი**-იოვანოვსკი | 6:2, 6:0 |

**მს. ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| კოლშრაიბერი-**ხ. ტრავერო** | 4:6, 6:2, 3:6 |
| მ. გონსალესი-**სიოდერლინგი** | 1:6, 4:6 |

TV პროგრამა

**19 მაისი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-სოშო.
**13:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-პსჟ.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).
**21:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:00** იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ჯენოა.
**00:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-დეპორტივო.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მარსელი.
**12:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ჩიკაგო-მაიამი. II მატჩი.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ნიცა. საფრანგეთი (LIVE).
**19:00** კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი“. მე-3 ადგილისათვის. რეალი-მონტეპასკი.
**21:30** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. კლერმონი-ბეარიცი.
**23:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ჩიკაგო-მაიამი. II მატჩი.
**05:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. დალასი-ოკლაჰომა. II მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**05:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. დალასი-ოკლაჰომა. II მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**13:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ნიცა. საფრანგეთი (LIVE).
**19:25** მინი-ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. დინამო-სიბირიაკი. მეორე მატჩი (LIVE).
**02:55** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. უნივერსიდადი-პენიაროლი. საპასუხო მატჩი (LIVE).
**05:25** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. სერო პორტენო-ხაგუარესი. საპასუხო მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**14:55** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. გუნდური ჩემპიონატი. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**18:55** რუსეთის ჩემპიონატი. სპარტაკი-ენისეი (LIVE).

**SPORT+**

**22:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. პლეი ოფი. ბორუსია (მ)-ბოხუმი. I მატჩი (LIVE).
**04:00** ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ტამპა ბეი-ბოსტონი. III მატჩი (LIVE).

**EUROSPORT**

**16:30** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XII ეტაპი. იტალია (LIVE).
**19:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ბრიუსელი. ბელგია (LIVE).
**01:05** ველოსპორტი. კალიფორნიის ტური. V ეტაპი. აშშ (LIVE).

**EUROSPORT-2**

**15:00** ჩოგბურთი. საჩვენებელი ტურნირი. II დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
**16:45** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ბრიუსელი. ბელგია (LIVE).
**22:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. პლეი ოფი. ბორუსია (მ)-ბოხუმი. I მატჩი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეიტინგი



უსაინ ბოლტი

# ყველაზე მარკეტინგულები

ბრიტანულმა ჟურნალმა SportsPro Media-მ ივნისის ნომერში შეაფასა მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენთა ბოლო სამი წლის მარკეტინგული შესაძლებლობები. კომერციულად ყველაზე მიმზიდველი ათლეტი იამაიკელი მორბენალი **უსაინ ბოლტი** აღმოჩნდა, რომელმაც პირველი ადგილი ჩამოართვა კალათბურთელ **ლებრონ ჯეიმსს**.

რეიტინგი შედგენილია დროის ამ მომენტისთვის გაფორმებული სარეკლამო კონტრაქტების მიხედვით. თუმცა კლასიფიკაცია საკამათო და არაერთმნიშვნელოვანია. მაგალითად, შარშან რუსმა ჩოგბურთელმა **მარია შარაპოვამ** 70-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა კომპანია „ნაიკთან", მაგრამ ამის მიუხედავად, მოკრძალებულ 22-ე ადგილს იკავებს და ბევრით ჩამორჩება ამჟამინდელ პირველ ჩოგანს **კაროლინ ვოზნიაცკის**. ცნობისთვის, „ნაიკთან" კონტრაქტი სარეკორდოა ჩოგბურთში. მანამდე უფრო სარფიანი ხელშეკრულება ამერიკელ **ვენუს უილიამსს** ჰქონდა - „რიბოკთან" 40 მილიონი. შარაპოვა დღეს ყველაზე შემოსავლიანი ჩოგბურთელია - **როჯერ ფედერერსა** და **რაფაელ ნადალზეც** კი. ესპანელი ამ სიაში მე-16 ადგილზეა, ფედერერი კი პირველ ორმოცდაათეულში ვერ მოხვდა.

გამოცემებმა - Sports Illustrated-მა და New York Daily-მ ცოტა ხნის წინ მსგავსი რეიტინგი გამოაქვეყნეს და ის სერიოზულად განსხვავდება ინგლისელების ვარიანტისგან.

ამ სიის ლიდერი ბოლტი ამერიკელების ვარიანტში პირველ 50-ს შორის არ შედის. ორივეგან **ტაიგერ ვუდსი** და ლებრონ ჯეიმსი ლიდერობენ, რომლებსაც ზურგს უმაგრებს „ნაიკთან" მრავალმილიონიანი ხელშეკრულებები.

1. უსაინ ბოლტი (იამაიკა, მძლეოსნობა)
2. ლებრონ ჯეიმსი (აშშ, NBA)
3. კრისტიანო რონალდო (პორტუგალია, ფეხბურთი)
4. ლეონელ მესი (არგენტინა, ფეხბურთი)
5. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, ფორმულა-1)
6. კარმელო ენტონი (აშშ, NBA)
7. სებასტიან ფეტელი (გერმანია, ფორმულა-1)
8. მაიკლ ფელპსი (აშშ, ცურვა)
9. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია, ჩოგბურთი)
10. მაჰენდრა სინგჰ დჰონი (ინდოეთი, კრიკეტი)
11. იაო მინი (ჩინეთი, NBA)
12. ჯესიკა ენისი (ბრიტანეთი, მძლეოსნობა)
13. კობი ბრაიანტი (აშშ, NBA)
14. შონ უაიტი (აშშ, სნოუბორდი)
15. დუეინ უეიდი (აშშ, NBA)
16. რაფაელ ნადალი (ესპანეთი, ჩოგბურთი)
17. ნეიმარი (ბრაზილია, ფეხბურთი)
18. ტომ ბრედი (აშშ, ამერიკული ფეხბურთი)
19. ლიუ სიანი (ჩინეთი, მძლეოსონბა)
20. მენი პაკიაო (ფილიპინები, კრივი)
21. რორი მაკილროი (ჩრ. ირლანდია, გოლფი)
22. მარია შარაპოვა (რუსეთი, ჩოგბურთი)
23. ალექსანდრ ოვეჩკინი (რუსეთი, ჰოკეი)
24. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, ფორმულა-1)
25. ალბერტ პუჰოლსი (დომინიკის რ, ბეისბოლი)
26. რიო იშიკავა (იაპონია, გოლფი)
27. სიდნი კროსბი (კანადა, ჰოკეი)
28. უეინ რუნი (ინგლისი, ფეხბურთი)
29. ტაისონ გეი (აშშ, მძლეოსნობა)
30. კევინ დურანტი (აშშ, NBA)
31. ჯო მაიუერი (აშშ, ბეისბოლი)
32. ენდი მიურეი (ბრიტანეთი, ჩოგბურთი)
33. ლინ დანი (ჩინეთი, ბადმინტონი)
34. ბრაიან უილსონი (აშშ, ბეისბოლი)
35. მარკ კევენდიში (ბრიტანეთი, ველოსპორტი)
36. ტრევის პასტრანა (აშშ, მოტოსპორტი)
37. მარკ სანჩესი (აშშ, ამერიკული ფეხბურთი)
38. დანიკა პატრიკი (აშშ, ავტოსპორტი)
39. ვალენტინო როსი (იტალია, მოტოსპორტი)
40. ანდერსონ სილვა (ბრაზილია, ორთაბრძოლები)
41. დეილ ერნჰარდტი (აშშ, ავტოსპორტი)
42. ლინდსი ვონი (აშშ, მთის თხილამურები)
43. დენ კარტერი (ახ. ზელანდია, რაგბი)
44. ტიმ ტიბოუ (აშშ, ამერიკული ფეხბურთი)
45. სემ ბრედფორდი (აშშ, ამერიკული ფეხბურთი)
46. იუ დარვიში (იაპონია, ბეისბოლი)
47. მესუთ იოზილი (გერმანია, ფეხბურთი)
48. დერონ უილიამსი (აშშ, NBA)
49. იუვრაი სინგჰი (ინდოეთი, კრიკეტი)
50. სამუელ ეტოო (კამერუნი, ფეხბურთი)

ფორმულა 1

# ნახეთ სენა

## ფილმის ხილვა რეკომენდირებული არ არის ალენ სპორტის გულშემატკივრებისთვის

დოკუმენტურმა ფილმმა „სენამ" დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. საინტერესოა, როგორ გამოიყურება ფორმულა 1-ის ლეგენდარული პილოტი დიდ ეკრანზე?

ფილმის მიმართ აჟიოტაჟი გასაგებია: ბოლო ღირებული ფილმი („გრანპრი") ავტოსპორტის თემაზე ჯერ კიდევ 1966 წელს გადაიღეს. უკანასკნელი ათწლეულის პრემიერებმა კი არ გაამართლეს მაყურებლის მოლოდინი.

სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი **აირტონ სენა** ცოტა ხნის წინ ოფიციალურად აღიარეს ყველა დროის საუკეთესო პილოტად: ჟურნალმა „ავტოსპორტმა" გამოკითხა ფორმულა 1-ის ყველა პილოტი (ძველი და ახალი) და როგორც მოსალოდნელი იყო, ბრაზილიელმა რეიტინგში პირველი ადგილი დაიკავა. თუნდაც ამ მიზეზით ფილმის ნახვა აუცილებელ კულტურულ ღონისძიებად ითვლება ფორმულა 1-ის ნებისმიერი გულშემატკივრისთვის. აირტონის საკარტინგო რბოლების არქივი, ოჯახთან ერთად სენას დასვენების კადრები, ბრაზილიაში საყოველთაო სიყვარულის ვიდეო-დადასტურება და პილოტის ყველაზე დაძაბული რბოლების მომენტები - ეს ყველაფერი დაუჯერებელ ემოციურ და დრამატულ ფონს ქმნის. გულშემატკივარს უჭირს თავის შეკავება. **რონ დენისი** „სენას" ხილვის შემდეგ 10 წუთი ვერ იკავებდა ცრემლებს.

სამწუხაროდ, ფილმს უარყოფითი მხარეებიც აქვს. არსებობს სურათის ორი ვერსია - ორიგინალური და შემოკლებული. „გრძელი" ვერსია დატვირთულია ჟურნალისტების ნაკლებად შინაარსიანი ინტერვიუებით. ისინი სენას ტრაგედიაში მხოლოდ დამკვირვებლის როლში იყვნენ. ნამდვილი ადამიანები, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ სენას ბედის განსაზღვრაში, ფილმში ცოტანი არიან - რონ დენისი და **ალენ პროსტი**. ასეთი მაღალი დონის ფილმისთვის ეს უპატიებელი შეცდომაა. აირტონის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ ეკრანებზე რამდენიმე დოკუმენტური ფილმი გამოვიდა უფრო მოკრძალებული ბიუჯეტით, მაგრამ მათი რეჟისორები გაცილებით სერიოზულად მიუდგნენ რეალური პიროვნებების შერჩევას: სენას შესახებ იხსენებდნენ **ფრენკ უილიამსი, გერჰარდ ბერგერი** და ექიმთა გუნდის ის წევრებიც კი, რომლებიც სენას ბოლო გზაზე აცილებდნენ ბოლონიაში.

მოკლე ვერსია უფრო სასიამოვნო საყურებელია, რადგან მოსაწყენი ინტერვიუები იქ თითქმის არ არის. მაგრამ ფორმულა 1-ის ნამდვილი გულშემატკივარი ვერ იპოვის ფილმში თავისთვის ახალ კადრებს. ამ მხრივ, ერთადერთი სიახლეა ჩანაწერები სენას საარქივო ფონდიდან და **როლანდ რატცენბერგის** ავარიის აქამდე გამოუქვეყნებელი ფოტოები, რომლებიც ტრიბუნებიდან არის გადაღებული.

გაოცებასა და აღშფოთებას იწვევს დოკუმენტალისტთა მუდმივი მცდელობა **ალენ პროსტი** ფორმულა 1-ის მთავარ „ბოროტად" გამოიყვანონ. ფილმის დასაწყისიდანვე კადრსმიღმა ხმა გვატყობინებს: 1984 წელს მონაკოს გრანპრიზე (ეს თითქმის საფრანგეთია) ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია (შტაბბინა - პარიზში, პრეზიდენტი - წინააღმდეგობის ყოფილი გმირი **ჟან-მარი ბალესტრი**) დაეხმარა ფრანგ ალენ პროსტს გამარჯვებაში, როცა ნაადრევად დაასრულა ეტაპი წვიმის გამო.

ალენ პროსტი (მისი სიტყვებით) ჯერ კიდევ 1982 წლიდან ერთგვარი შიშით ეპყრობოდა წვიმის რბოლებს, როცა ჰოკენჰაიმზე წვიმიანი რბოლის დროს კინაღამ ორივე ფეხი დაკარგა **დიდიე პირონიმ**. 1984 წელს მონაკოში მან ჟესტების დახმარებით ითხოვა გრანპრის შეჩერება. რბოლის დირექტორმა **ჟაკი იქსმა** (წარსულში „წვიმის რბოლების" სპეციალისტმა) დამოუკიდებლად, ფედერაციასთან კონსულტაციის გარეშე მიიღო წითელი დროშის გამოფენის გადაწყვეტილება. ბრაზილიის ავტოსპორტის კლუბმა პროტესტი შეიტანა, საერთაშორისო ფედერაციამ იქსი 7 ათასი დოლარით დააჯარიმა თვითნებური გადაწყვეტილების გამოტანისთვის და ხუთი წლით აუკრძალა რბოლებზე დირექტორის პოსტზე მუშაობა.

ეტაპის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა. მონაკოში რბოლა საკმაოდ პირქუში იყო: უკვე პირველ მოსახვევში **პატრიკ ტამბემ** ფეხი მოიტეხა. კოკისპირულად წვიმდა. საფრანგეთისადმი და პროსტისადმი აბსოლუტურად ნეიტრალური BBC-ის კომენტატორი **მარი უოკერი** თავად გაკვირვებული იყო - რატომ აქამდე არ გამოფინეს წითელი დროშა? ჟურნალისტი ვერ იხსენებდა რბოლისთვის ასეთ რთულ პირობებს. სხვათა შორის, მოგვიანებით პროსტმა აღიარა, რომ ეტაპის ბოლოს მუხრუჭებს პრობლემები შეექმნა და სენა რომ დაწეოდა, ფრანგი წინააღმდეგობას არ გაუწევდა.

ფილმის აქცენტია - ფორმულა 1-ის ზედმეტი პოლიტიზირება. პრეზიდენტი ჟან-მარი ბალესტრი „გამძლარ" ბიუროკრატად არის გამოყვანილი, რომელიც საკუთარი პიროვნების მნიშვნელობით ზედმეტად გაბღენძილია. მისი ციტატა - „საუკეთესო გადაწყვეტილება - ჩემი გადაწყვეტილებაა" - კარგად დადასტურებაა იმისა, თუ რატომ იყო საერთაშორისო ფედერაცია წლების განმავლობაში ქრონიკულად არაეფექტური სტრუქტურა და თავის არაკომპეტენტურობას „უსაფრთხოებისთვის ზრუნვით" ნიღბავდა. ბალესტრის მემკვიდრემ **მაქს მოსლიმ** გადაწყვიტა, არაფერი შეეცვალა ფედერაციის ფეოდალურ სტრუქტურაში და დღემდე ასე რჩება.

პროსტთან მეტოქეობისა და ავტორიტეტულ ბალესტრისთან პოლიტიკური ბრძოლის ფონზე, აირტონ სენა უნაკლო გმირად არის გამოყვანილი, რომელიც მუხთალი მეტოქეების მიერ დაგებული მახეების გადალახვით იყო დაკავებული. თუმცა ცხოვრებაში ბრაზილიელი საკმაოდ წინააღმდეგობრივი ფიგურა გახლდათ: ხანდახან მის გარშემო ისეთი დავა ატყდებოდა, რომელსაც შურით შეხედავდა მუდმივად უსიამოვნებებში გახვეული **ლუის ჰემილტონი**. აირტონის აგრესიული მანერა ბევრ კონკურენტს არ მოსწონდა. დოკუმენტურ ფილმში შეგიძლიათ იხილოთ, რამდენად „ჩამჭრელ" კითხვებს უსვამს სენას **ჯეკი სტიუარტი** და როგორ უხეშად და ყოველგვარი პატივისცემის გარეშე პასუხობს მას ბრაზილიელი.

აირტონამდე სტარტის დროს მარჯვნივ-მარცხნივ გადაადგილება, კონკურენტების გზის ჩაჭრა მიღებული არ იყო, მაგრამ ბრაზილიელს ეს დიდად არ აღელვებდა. ტრასაზე მისი ცალკეული მანევრები ძალიან ჰგავდა **რუბენს ბარიკელოსა** და **მიხაელ შუმახერს** შორის შარშანდელ ინციდენტს და ყოველთვის დიდ პოლემიკას იწვევდა. სენამ „ლოტუსის" გუნდიდან გააგდებინა **ელიო დე ანჯელისი** და არ დაუშვა, რომ **პიტერ უორის** გუნდში მისულიყო **დერეკ უორვიკი**. პროსტის გარდა, რომელიც ფილმში სენას მთავარ კრიტიკოსად გამოდის, აირტონს სხვადასხვა დროს კონფლიქტი ჰქონდა **ნიკი ლაუდასთან, ნაიჯელ მენსელთან, მიკელე ალბორეტოსთან**, მიხაელ შუმახერთან... 1993 წელს **ედი ირვაინთან** ეპიზოდისას საქმე ჩხუბამდე მივიდა.

ღირს კი ყველა იმ ეპიზოდის გახსენება, რომელიც საბოლოოდ ჩაბარდა ფორმულა 1-ის არქივს? შესაძლოა, ეს ზედმეტიც იყოს: ცხოვრებიდან ადრე წასული და გაღმერთებული ჩემპიონი სამუდამოდ დარჩება ნამდვილ ლეგენდად. ის არასოდეს შეცდება, არ წააგებს მუდმივად თავის ახალგაზრდა მეწყვილესთან, აღარ შეიქმნება საჯინიბოდან გაშვების უხერხული მომენტი, როცა გუნდმა მას პერსპექტიული ბიჭი ამჯობინა. აირტონ სენა სამუდამოდ დარჩება თანამედროვე ფორმულა 1-ის ოქროს ფონდად და ვერანაირი დოკუმენტური კინემატოგრაფია ამ ფაქტს ეჭვქვეშ ვერ დააყენებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

